

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს  
პრობაციის სამსახურის ოფიცრებთან და პრობაციონერებთან  
ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საჭიროებების  
შეფასება

ხარისხობრივი კვლევის ანალიზი

თბილისი  
2014

## სარჩევი

შესავალი.....	3
ნაწილი I (პრობაციის ოფიცრები).....	4
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.....	4
ურთიერთობა პრობაციონერებთან და მათდამი დამოკიდებულება.....	12
დამოკიდებულებები პრობაციის სამსახურისადმი.....	27
ძირითადი მიგნებები და დასკვნები (ოფიცრები).....	29
<i>სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები და სამუშაო გარემო.....</i>	<i>29</i>
<i>სამუშაო პირობების შეფასება.....</i>	<i>29</i>
<i>სპეციფიურ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება და</i>	
<i>უფლებების/მოვალეობების ცოდნა.....</i>	<i>30</i>
<i>ურთიერთობა პრობაციონერებთან და მათდამი დამოკიდებულება.....</i>	<i>31</i>
<i>პრობაციონერის რისკებისა და საჭიროებების კვლევა, დასაქმების შესაძლებლობა</i>	<i>33</i>
<i>პრობაციის ბიუროს მიერ პრობაციონერებისათვის შეთავაზებული ტრენინგები,</i>	
<i>გადამზადების კურსები, სხვა სერვისები.....</i>	<i>34</i>
ნაწილი II (პრობაციონერები).....	37
სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.....	37
პრობაციის სამსახურთან ურთიერთობის გამოცდილება.....	41
პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის გამოცდილება.....	48
ძირითადი მიგნებები და დასკვნები (პრობაციონერები).....	56
<i>სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.....</i>	<i>56</i>
<i>დასაქმება, შემოსავალი.....</i>	<i>56</i>
<i>ჯანმრთელობის საკითხები და ქიმიურ ნივთიერებზე დამოკიდებულება.....</i>	<i>57</i>
<i>პრობაციის სამსახურთან ურთიერთობის გამოცდილება, პრობაციის სამსახურის</i>	
<i>დანიშნულებისა და პრობაციონერთა უფლება-მოვალეობების ცოდნა.....</i>	<i>58</i>
<i>პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.....</i>	<i>60</i>
<i>პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის გამოცდილება.....</i>	<i>60</i>
<i>პრობაციონერების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილება პრობაციის სამსახურის</i>	
<i>მიერ.....</i>	<i>62</i>
რეკომენდაციები.....	65
დანართი No 1 - ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიის	
სახელმძღვანელო კითხვარი პრობაციის ოფიცრებისათვის.....	67
დანართი No 2 - ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიის	
სახელმძღვანელო კითხვარი პრობაციონერებისათვის.....	75

## შესავალი

აღნიშნული კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების დაარსება ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის“ ფარგლებში. პროექტის განმახორციელებლები არიან საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი“, უკრაინის ოფისი.

### კვლევის მიზანი:

- პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საჭიროებების შესწავლა;
- პრობაციის ოფიცრების საჭიროებების, ასევე, მათ საქმიანობაში არსებული ბარიერების გამოვლენა, რათა მოხდეს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების წარმატებით დანერგვა;
- კვლევის შედეგების დამუშავების შედეგად მიღებული მიგნებებისა და დასკვნების საფუძველზე შემუშავებული იქნას შესაბამისი რეკომენდაციები;
- კვლევის საბოლოო შედეგების საფუძველზე შექმნილი იქნას სპეციალური გზამკვლევი პრობაციის სისტემაში დასაქმებული პერსონალისათვის სოციალური და სამედიცინო სერვისების ეფექტური მიწოდების კუთხით.

**კვლევის ჩატარების გეოგრაფიული არეალი:** კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 სხვადასხვა ქალაქში - თბილისი, ბათუმი (აჭარის რეგიონი), ქუთაისი (იმერეთის რეგიონი), ზუგდიდი (სამეგრელოს რეგიონი).

**კვლევის სამიზნე ჯგუფები:** გამოკითხულ იქნენ შესაბამის ქალაქებში პრობაციის ბიუროს ოფიცრები და თვითონ პრობაციონერები. თითოეულ ქალაქში ჩატარდა 5 ჩაღმავებული ინტერვიუ პრობაციის ოფიცრებთან და ხუთი ჩაღმავებული ინტერვიუ პრობაციონერებთან, ასევე, თითო-თითო ფოკუსირებული დისკუსია თითოეულ სამიზნე ჯგუფთან. სულ ჩატარებული იქნა ორმოცი ჩაღმავებული ინტერვიუ და რვა ფოკუსირებული დისკუსია.

**კვლევის მეთოდოლოგია:** გამოყენებული იქნა ჩაღმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის მეთოდები წინასწარ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) მეშვეობით. როგორც პრობაციის ოფიცრებისათვის, ასევე, პრობაციონერებისათვის შემუშავებულ იქნა განსხვავებული კითხვარები.

**კვლევის ანგარიშის ავტორები:** სერგო ჩიხლაძე, ნინო წერეთელი, ვაჟა კასრელიშვილი.

## ნაწილი I (პრობაციის ოფიცრები)

### სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

#### ა) ძირითადი ინფორმაცია

კვლევის მონაწილეთა ასაკი მერყეობს 24-დან 51 წლამდე. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა არის 40 წლამდე. კვლევის მხოლოდ 3 მონაწილე არის 40 წელზე მაღალი ასაკის.

კვლევის ყველა მონაწილე არის უმაღლესი განათლებით. უმეტესობას მიღებული აქვს იურიდიული განათლება. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტია განათლებით ეკონომისტი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრობაციის ოფიცრად მუშაობისათვის არ არის აუცილებელი იურიდიული განათლების ქონა, რასაც თვითონ რესპონდენტებიც აღნიშნავენ:

*„-\*: ჩვენს სამსახურში არ არის აუცილებელი იყო იურისტი, რომ იმუშაო“ (თბილისი, ჩადრმავებული ინტერვიუ # 1, 11-12).*

კვლევის მონაწილეთა პრობაციის ოფიცრად მუშაობის სტაჟი მერყეობს 1-დან 9 წლამდე. დატვირთვა არის სრული სამუშაო დღე დილის 10-დან საღამოს 6-მდე. პრობაციის ოფიცრად მუშაობის დაწყებამდე რესპონდენტთა უმეტესობას აქვს სხვადასხვა სამსახურში მუშაობის სტაჟი. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ნამუშევარი აქვს ძირითადად საჯარო სტრუქტურებში, როგორცაა სახალხო დამცველის აპარატი, სასამართლო და ა.შ. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტს აქვს კერძო სექტორში („ჯეოსელი“) და არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება.

#### ბ) სამუშაო პირობების შეფასება

ყველა გამოკითხულს აქვს თავისი სამუშაო მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. არცერთ რესპონდენტს არ გააჩნია ინდივიდუალური სამუშაო ოთახი. როგორც წესი, ერთ ოთახში სხედან 4-დან 10 კაცამდე (გამომდინარე ოთახის სიდიდიდან). უმეტეს შემთხვევაში ოფიცრები ოთახს იყოფენ სხვა ოფიცრებთან და ზოგჯერ სოციალურ მუშაკებთან:

*„(რ.5) არის დიდი ოთახები... ნუ სხვადასხვა ფართის ოთახებია, ზოგი 20 კვადრატია, ზოგი 12-ია... ამ ოთახებში ვართ გადანაწილებული, ზოგან 4 კაცი, ზოგან 6... უბნების მიხედვით არის ძირითადად...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 22-24).*

*\*- ნიშნავს რესპონდენტს, + ნიშნავს ინტერვიუერს.*

„ოთახები დაკომპლექტებულია რაიონების მიხედვით, ოთახში ზის 6 და 8 თანამშრომელი. 8 უფრო იშვიათია, 1 ან 2 ოთახი თუ იქნება ესეთი. უმეტესად ოთახში ზის 6 ოფიცერი. ყველა ვართ პრობაციის ოფიცერი და ერთი და იგივე საქმეს ვაკეთებთ“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 13-15).

ერთ ოფიცერზე გადათვლით, სამუშაო ადგილის ფართი არ აღემატება 5-6 კვადრატულ მეტრს:

„- : გაქვთ თქვენი პირადი სამუშაო ადგილი?

- : დიახ, მაქვს.

- : აი, დაახლოებით რა ფართია?

- : დაახლოებით 5 კვადრატია- მაგიდა და კარადა“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 32-35).

ზოგ შემთხვევაში ერთ ოთახში მყოფი პრობაციის ოფიცრების სამუშაო ადგილები ტიხრებითაა გამოყოფილი, რაც უფრო მეტ სიმყუდროვეს ქმნის ოფიცრისა და პრობაციონერის შეხვედრის დროს, რადგანაც ამ შეხვედრის ვიზუალიზაცია ოთახში მყოფი სხვა კოლეგების მხრიდან არ ხდება, მაგრამ ბოლომდე მყუდრო გარემო არ იქმნება, რადგანაც ხმის იზოლაციის საშუალება არ არის:

„- : აი, დარბაზია დიდი, სადაც ათნი ვზივართ სულ, მგონი მე-10 კანცელარიის მუშაკია, არ ვიცი ზუსტად, არასოდეს დამითვლია. უფროსი ცალკე კაბინეტშია, ყველას ჩვენი მაგიდეები, ინდივიდუალური სამუშაო კომპიუტერები, ინდივიდუალური კომპიუტერები, გადატიხრული გვაქვს ისე, რომ ხელს ერთმანეთს არ ვუშლით, ანუ ჩვენთვის ვართ ყველა“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #3, 19-23).

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან არასრულწლოვანთა საქმეების პრობაციის ოფიცრები. ერთ ოთახში ზის 3 ან 4 ადამიანი. გარდა ამისა, მათ აქვთ ცალკე პრობაციონერებთან გასაუბრების ოთახიც, თუმცა, ეს ოთახი ხშირად დაკავებულია და ოფიცრები ვერ სარგებლობენ ამ სივრცით. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, პრობაციონერთან გასაუბრება უწევთ მაინც თავიანთ კაბინეტებში, რომელთაც იყოფენ სხვა თანამშრომლებთან:

„- : ანუ ხომ არის 2 ოთახი, ერთში მე ვზივარ და 2 სოც. მუშაკი და კიდევ მეორე ოთახი, სადაც 4 სოც.მუშაკი ზის და კიდევ არის ერთი პატარა ოთახი, სადაც ტარდება ინდივიდუალური გასაუბრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ოთახი ხშირად დაკავებულია, ბევრი გასაუბრებები აქვთ. მე გასაუბრება უმეტესად მაინც მიწევს ჩემს ოთახში“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 26-30).

რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათთვის გამოყოფილი სამუშაო ფართი და პირობები სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს:

„-: სამუშაოში ხელი არ გეშლება, შენი მაგიდა გაქვს და გყოფნის... (დანარჩენები თავს აქნევენ დასტურის ნიშნად) (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 31-32).

ინდივიდუალურ ჩაღრმავებულ ინტერვიუებში რესპონდენტთა უმეტესობა მაინც აღნიშნავს, რომ გამოყოფილი ფართი არ არის საკმარისი და არ ქმნის იმის პირობას, რომ პრობაციონერი ბოლომდე გაიხსნას ოფიცერთან და ისაუბროს გარკვეულ პირად საკითხებზე:

„-: არის ისეთი პირადული შეკითხვები რომლებზეც შეიძლება არ წამოგყვეს პროპაციონერი, როცა ოთახში კიდევ ზის 4 კაცი... კარგი იქნებოდა, რომ იყოს ფართი. არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ვთხოვთ კოლეგებს, რომ დატოვონ ოთახი... პროპაციონერთან ინტერვიუსთვის რომ ცალკე ოთახი იყოს კარგი იქნება. როგორც ვიცი, გეგმაში არის. (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 20-26).

„-: პროპაციონერი უფრო ადვილად იხსნება, თუ ვატარებთ განმარტოვებით და აბსოლუტურად დაცული იქნება ნებისმიერი, არც სხვა გაიგებს, არც . . .“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 61-63).

„-: დაკმაყოფილებით რომ აკმაყოფილებს [ფართი] ამას ვერ ვიტყვი, თუმცა, ზოგჯერ ოფიცრები ერთმანეთს ვეხმარებით, მაგრამ როცა ახალი პროპაციონერი მოდის..... შეიძლება ჩაიკეტოს, რადგან პირადულ საკითხებზე გვიჩვენებს საუბარი“ (ზუგდიდი, 5, 20-24).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რეგიონში პრობაციის ბიუროს ოფისები სარემონტო მდგომარეობაშია. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ შეიძლება არაკომფორტულმა გარემომ უარყოფითი როლი ითამაშოს პროპაციონერის დამოკიდებულებაზე ბიუროსთან ან ოფიცერთან:

„-: რა იცით? გარემოს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, როცა შემოდის პროპაციონერი და ხედავს იქ რაღაც იატაკი ვერ არის, და რაღაცა და აი ორშაბათიდან გამოცხადდება ტენდერი, მოგვიჩვენებს ორშაბათიდან 1 თვე ალბათ დისკომფორტში ყოფნა, მაგრამ საბოლოოდ . . . გარემო, გარემო, გარემო აუცილებლად . . .“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 617-621).

რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, შესაძლებელი რომ იყოს პრობაციის ოფიცერთან ინდივიდუალური ვიზიტი (დამსწრეების გარეშე), ყველა ოთახში დაყენებულია ვიდეო თვალი და მოსასმენი აპარატურა და სრული ანონიმურობა და სიმყუდროვე მაინც ვერ იქნება დაცული:

„-: საერთოდ პრობლემა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ პრობლემა რომც არ იყოს, ჩვენს ოთახებში აყენია ვიდეო თვალი და მოსასმენი აპარატურა, შესაბამისად მე ეხლა იქ ერთი

ვიჯდები თუ ჩემს უკან მთელი არმია მოისმენს საუბარს, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს მსჯავრდებულისთვის“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 45-48).

### გ) სპეციფიურ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება და უფლებების/მოვალეობების ცოდნა

პრობაციის ოფიცრის სამსახურში აყვანის წესი სტანდარტულია და გავლილი აქვს ყველა მონაწილეს ერთნაირად. პირველ ეტაპზე ცხადდება ვაკანსია საჯარო სამსახურის კანონის მოთხოვნის შესაბამისად. მსურველებს შეაქვთ თავიანთი კანდიდატურები. შემდეგ წარმოებს კანდიდატების შერჩევა და ხდება მათთან გასაუბრება. წარმატებულ კანდიდატები საწყის ეტაპზე გადიან პრობაციის ოფიცრის სასწავლო საბაზისო კურსს, რაც არასაპატიმრო და სასჯელაღსრულების კანონში არის მითითებული. კურსი არის ორკვირიანი, მისი დასრულების შემდეგ ბარდება გამოცდა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კანდიდატი ინიშნება პრობაციის ოფიცრად გამოსაცდელი ვადით. ბაზისური კურსის გავლა ხდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან არსებულ სასწავლო ტრენინგ-ცენტრებში თბილისსა და რუსთავში:

„-: ჯერ გასაუბრება იყო, კანდიდატად შერჩევა, დაგვნიშნეს გამოსაცდელი ვადით. კანონში წერია, რომ ყველა, ვინც დაინიშნება, გავლილი უნდა ქონდეს საბაზისო მომზადების კურსი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სააგენტოში. ახლები ვიყავით სამნი, გავიარეთ სტაჟირება, შემდეგ გაგვავზავნეს კურსზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვნიშნეს თანამდებობებზე, მანამდე გამოსაცდელი ვადით ვიყავით“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #2, 28-33).

ბაზისური კურსი მოიცავს როგორც თეორიულ მასალას (კანონმდებლობა, ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა, ოქმის გამოწერის წესები და სხვ.), ასევე გარკვეულ პრაქტიკულ მეცადინეობებს „ქეისების“ განხილვის სახით:

„- (რ.6): ანუ, გვიტარებდნენ, კანონებს გვიკითხავდნენ. ანუ განმარტებები ამ კანონების; სამსახურში გამოყენება; ქსელთან მუშაობა ელექტრონულ სისტემასთან, ანუ პრინციპში გვასწავლიდნენ იმას... ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოწერა და ყველა ის პროცედურა თუ გნებავთ ის სააღსრულებო ოქმის გამოწერა; ანუ ყველა ის პროცედურა, რაც სამსახურში უნდა გამოვიყენოთ, გავიარეთ იქ“ (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 127-131).

„-: კი, კი პრაქტიკულიც შედის, იყო ქეისები, მაგალითები, გვქონდა კაზუსების დადგენაზე, ინდივიდუალურად ჩვენ ან ოფიცრის მხარეს ვიჭერდით ან მსჯავრდებულის და მან ჩართულები ვიყავით, თამაშის სახით“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 97-99).

პრობაციის ოფიცრად მუშაობის დაწყების შემდეგ მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგები და გადამზადების კურსები. მონაწილეები ასახელებენ ტრენინგებს ისეთ თემებზე, როგორცაა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სტრესის მართვა, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, სოც. მუშაკისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, აივ/შიდსი, მოტივაციური ინტერვიუს წარმართვა:

*„-: ეს იყო ეფექტურ კომუნიკაციაზე, კომპიუტერის უნარ-ჩვევებზე, სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, იყო სტრეს-მენეჯმენტზე, ეხლა ბოლოს გავდივარ მოტივაციურ ინტერვიუზე, თვითონ პრობაციის დასავლური ღირებულებების შესაბამისობა ქართველთან და ევროპაში აპრობირებული პრობაციის სისტემა ამაზეც იყო ტრენინგები, ესეც ევროკავშირის დაფინანსებით იყო“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 35-40).*

რამდენიმე რესპონდენტს გავლილი აქვს ტრენინგები საქართველოს ფარგლებს გარეთაც:

*„-: გავიარე სპეციალური ტრენინგები, საზღვარგარეთაც ვიყავი, კერძოდ ამერიკაში, სამინისტრომ დამაფინანსა. თებერვალში დავინიშნე და მარტში წავედი რამოდენიმე ოფიცერი და ბიუროს უფროსები, სადაც გავიარე პირველად ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვა. როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი ორი კვირის განმავლობაში“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 20-23).*

გავლილი ტრენინგებიდან მონაწილეთა უმრავლესობას უჭირს რომელიმე კონკრეტული, ყველაზე წარმატებული ტრენინგის გამოყოფა. ამავე დროს ამბობენ, რომ წარუმატებელი ტრენინგი არ ყოფილა და რომ ყველა ტრენინგი მეტ-ნაკლებად იყო სასარგებლო:

*„-: რა ვიცი, ესე ვერ გამოვყოფ. საკმაოდ ბევრი ტრენინგები გამივლია“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #2, 31-32)*

რესპონდენტთა ნაწილი ასახელებს ტრენინგებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ და რომლებიც ყველაზე მეტად წარმატებულად მიაჩნიათ:

*„-: ფსიქოლოგიური ტრენინგი მე, მაგალითად, ყველაზე მეტად მომეწონა. კომუნიკაცია, პესტიკულაციით და ჯდომის მანერით ინფორმაციის მიღება, როგორ უნდა დასვა შეკითხვა, მან საინტერესო ტრენინგი იყო. ვისურვებდი, რომ ესეთი ტრენინგი იყოს პერიოდულად“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 50-53).*

ტრენინგებს უმეტეს შემთხვევაში ატარებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ზოგჯერ ტრენინგის ინიციატივას ახდენს პრობაციასთან არსებული სასწავლო ცენტრი. კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა ამბობს, რომ, მიუხედავად იმისა,



რომ ტრენინგები გარკვეული პერიოდულობით ტარდება სხვადასხვა თემებზე, ეს არ არის საკმარისი. რესპონდენტებს აქვთ სურვილი, უფრო მეტ ტრენინგებს დაესწრონ:

„-: საკმარისი არასდროს არ არის, რაც მეტს გაივლი, მით უფრო საჭიროა. მას მერე წელიწადში სამ-ოთხჯერ მიტარებენ ჩემ სამინისტროში ტრენინგებს, რა თქმა უნდა ბევრჯერ მეორდება, მაგრამ მე ეს მჭირდება განახლებისთვის და ყოველი ტრენინგის შემდეგ სულ ახლებურად ვუდგები ჩემს სამსახურს. ტრენინგებს გვიტარებს ჩვენი სასწავლო ცენტრი და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის სახელწოდება არ მახსოვს (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 33-38).

ზოგიერთ თემებზე რესპონდენტები ისურვებენ, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია და დაესწრონ მეტ ტრენინგებს. ძირითადად, ესაა ფსიქოლოგიური განხრის ტრენინგები და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ტრენინგები:

„-: ფსიქოლოგიაზე, კომუნიკაციაზე ალბათ ცუდი არ იქნებოდა“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 43).

„-: კარგი იქნებოდა კომუნიკაციასთან დაკავშირებით, სტრესის მართვასთან დაკავშირებით და ყველაზე მნიშვნელოვანი, მე ვფიქრობ, რომ თითოეული ოფიცრისთვის არის, ეს არის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ტრენინგი, იმიტომ რომ გარკვეული ცვლილებები შევიდა ბოლო პერიოდში კანონში და სასურველი იქნებოდა, რა თქმა უნდა, უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 63-67).

ერთი რესპონდენტი განსაკუთრებულად გამოყოფს ტუბერკულოზზე ტრენინგის აუცილებლობას, რადგანაც ყოფილ მსჯავრდებულებს ხშირად აქვთ ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმები და მან არ იცის, როგორ დაიცვას თავი ასეთ პრობაციონერებთან ურთიერთობის დროს:

„- (რ.1): იცით, მე მყავს მსჯავრდებულები, რომლებიც, რომ მოდიან, ახვლებენ და ზოგი ამბობს, ტუბერკულოზი მაქვსო. კარგი იქნებოდა რაიმე ტრენინგი, ინსტრუქცია, როგორ უნდა მოვიქცე თავის დაცვის მიზნით... სხვა არაფერი მომდის ეხლა თავში...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 81-84).

გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ ცდილობს ტრენინგებზე მიღებული ცოდნის გამოყენებას და მათ გადმოღებას ყოველდღიურ მუშაობაში. ზოგი მათგანი აღიარებს, რომ ცდილობს, მაგრამ კარგად არ გამოსდის, რის მიზეზადაც ისინი ასახელებენ ტრენინგების ხანმოკლეობას:

„-: ნუ, ახლა, რომ ვითხრა, რომ ძაან ვიყენებ არა. . . შეუძლებელია ახლა ორდღიანი ტრენინგით, თუმცა არის გამოცდილება, რამდენმა გაიარა ჩემს ხელში, ვისთან როგორ

*უნდა ვუიერთო რო ის გააკეთებინო, რაც შენ გინდა. ხანდახან არ გამომდის ახლა, მარა ყოველთვის ვცდილობ“ (ბათუმი, ჩალრმავეებული ინტერვიუ # 4, 225-228).*

*„-: ეხლა რომ გავდივარ მოტივაციურ ინტერვიუზე სწორედ ეს არის. როცა პრობაციონერი რაღაცა დეპრესიულია, უნდა დაუსვა ღია კითხვები, საჭიროა კომუნიკაციის ტექნიკების ცოდნა“ (ზუგდიდი, ჩალრმავეებული ინტერვიუ # 4, 157-159).*

კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილის განცხადებით, უფრო მოსახერხებელია პრობაციონერის გადამისამართება მისი საჭიროების მიხედვით ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან ან სხვა რელევანტურ პროფესიონალთან:

*„-: ინტერვენციას თქვენ ახდენთ თვითონ, თუ უფრო ადვილია გადაამისამართოთ ფსიქოლოგთან, სოც. მუშაკთან ან კიდევ სადმე სხვა ადგილას. . . თქვენ თვითონ ინტერვენციას არ ახდენთ, როგორც გავიგე, მთავარია რეფერირება?“*

*- ხო, მთავარი არის რეფერირება, ხო“ (ბათუმი, ჩალრმავეებული ინტერვიუ # 3, 288-291).*

პრობაციის ოფიცრის მოვალეობაში შედის შემდეგი მოვალეობები: მასზე მიწერილი საქმის გაცნობა, მსჯავრდებულის გაფრთხილება აღრიცხვაზე დადგომასთან დაკავშირებით. თუ ვერ დაუკავშირდა მსჯავრდებულს, ხდება ინფორმაციის გადამოწმება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, ასევე, ინფორმაციის გადამოწმება იმ კუთხით, ეს კონკრეტული პირი ხომ არ გარდაიცვალა ან ხომ არ დატოვა ქვეყანა. ამის შემდეგ, თუ მაინც ვერ მოხერხდა პრობაციონერის ადგილმდებარეობის დადგენა, ცხადდება მასზე ძებნა.

მას შემდეგ, რაც პრობაციონერი გამოცხადდება ბიუროში და მოხდება ოფიცერთან შეხვედრა, დგება ინდივიდუალური გრაფიკი პრობაციონერისათვის. როგორც წესი, პრობაციონერი უნდა გამოცხადდეს კვირაში ერთხელ და დააფიქსიროს თავისი თავი. გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას გამოეწერება ჯარიმა. თუ ამან სისტემატური ხასიათი მიიღო, პრობაციის ოფიცერს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, რომ პირობითი სასჯელი შეეცვალოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდით. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი არის ინვალიდი და შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი. ამ შემთხვევაში მისი გამოცხადება ხდება 3 თვეში ერთხელ. ასევე, პრობაციონერს, გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში (და თუ ამის ნებართვას ის მიიღებს პრობაციისგან), შეიძლება ყოველკვირეული გამოცხადების ნაცვლად თვეში ერთხელ გამოცხადება დაუწესონ:

*„-: როგორც წესი, ვხვდებით [პრობაციონერებს] კვირაში ერთხელ. თუ ამის საჭიროება არის. თუ არ არის, უბრალოდ მოდიან გადიან რეგისტრაციას და ბრუნდებიან უკან. ძირითადად ესეთი საჭიროებები არის უფრო თავში, თუ გამოიკვეთა პრობლემური საკითხები და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭირო არის დახმარება, ჩარევა ან ა. შ. (ბათუმი, ჩალრმავეებული ინტერვიუ #2, 231-234).*

პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობა გაწერილია შიდა დებულების მიხედვით და ამას არეგულირებს სპეციალური კანონი:

„- (რ.7): ეს არის კანონი „არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ და შიდა დებულებები (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 87-88).

რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ დანიშვნის შემდეგ დეტალურად ეცნობიან თავიანთ მოვალეობებს და ხელს აწერენ შინაგანაწესზე, მაგრამ პრობაციის ოფიცრის საქმიანობის დეტალური აღწერა იქ არ არის. ამ დოკუმენტში არის ზოგადად გაწერილი ბიუროს ფუნქცია:

„-: კი, როცა ბრძანება მოვიდა, საჭირო საბუთების წარმოდგენის შემდეგ უკვე შინაგანაწესს ხელი მოვაწერეთ, ფიცი დავდეთ, სტანდარტული პროგრამა“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #3, 126-127).

„-: შიდა დებულება არსებობს, მაგრამ პრობაციის ოფიცრის საქმიანობის დეტალური აღწერა იქ არ არის. ამ დოკუმენტში არის ზოგადად გაწერილი უფრო ბიუროს ფუნქცია“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია # 5, 88-89).

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ ხელი არაფერზე მოუწერია:

„- (რ.1): არა, ეგეთი არაფერი გვაქვს, მაგას გვასწავლიან, როცა პრაქტიკებს გავდივართ, ანუ სტაჟირებისას...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 95- 96).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია სამუშაო ანაზღაურებით. მათი თქმით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, არ აქვთ დაბალი ხელფასი და არის ზრდის ტენდენციაც. რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ პრემიაც აუღიათ. სულ რამოდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ ხელფასი საკმარისი არ არის და გამოთქვა სურვილი, რომ მისი ოდენობა გაზრდილიყო:

„-: ძალიან ნორმალური, მე ვფიქრობ. ჩვენთან რაც შემოსავლება საქართველოში, მე ვფიქრობ, ძალიან კარგი“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 217-218).

„-: დღესდღეობით რასაც ვაკეთებ, არ მიწუწუნია ამ ხელფასზე. ხელფასის მატებაც იყო, პრემიებიც არის დღესასწაულებზე (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 95-96).

„-: ...მეტ-ნაკლებად. საქართველოს პირობებში ეს ხელფასი საკმარისი არ არის. მაგრამ არის ზრდის ტენდენცია და ..“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 92-93).

## **ურთიერთობა პრობაციონერებთან და მათდამი დამოკიდებულება**

პრობაციის თითოეული ოფიცრის დაქვემდებარებაში იმყოფება სხვადასხვა რაოდენობის პრობაციონერები და მათი რიცხვი მერყეობს 50-დან 130-მდე. უმეტესობას ჰყავს 70-90 პრობაციონერი. ერთ პრობაციის ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ბოლო 2 წლის განმავლობაში:

„-: 90 მიახლოებით, ადრე 200 -მდე მყავდა“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 76).

„-: ეხლა იმასთან შედარებით, რაც მყავდა (ანუ მყავდა 600), ეხლა 130 რა მოსატანია, თუმცა ესეც დასავლეთის წესებით ბევრია“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 62-63).

რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ პრობაციონერთა ამჟამინდელი რაოდენობა არის სავსებით მისაღები და მათი აზრით, ისინი გადატვირთულები არ არიან. თუმცა, უმეტესობა ასევე ახსენებს, რომ მათ იციან ევროპული სტანდარტები, რომლის მიხედვითაც ერთ ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების ოპტიმალური რიცხვი არის 35:

„- (რ.2): თავიდან ისე ჩანს, რომ ბევრია, მაგრამ მუშაობის პროცესში ხვდები, რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს 300 იქნება, თუ 50... მე 700-იც მყოლია, მაგრამ მერე რა, მაინც ყოველ დღე სამუშაოზე ხარ, შენი სამუშაო ეგ არის, დილიდან 6-6:30-მდე შაბათ-კვირის გარდა... რამეს რომ ვერ ასწრებდე, ეგრე არ არის, ასწრებ ჩვეულებრივ...(თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 257-261).

„-: მე ამჟამად მყავს 73. ეს ძველ პერიოდთან შედარებით ბევრი არ არის, მაგრამ, მაგალითად, ევროპის ქვეყნებში ერთ ოფიცერს ყავს მაქსიმუმ 35 პრობაციონერი“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 95-97).

პრობაციის ოფიცერთა მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ ერთ ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების რაოდენობა არის მაღალი და რომ ეფექტური მუშაობისათვის მიზანშეწონილია, ჰყავდეთ არაუმეტეს 30-35 პრობაციონერისა:

„-: 30-35 მაქსიმუმ. თუ გინდა, კარგად იმუშაო, ყველა გაიცნო, ოჯახებს ეკონტაქტო, მეგობრებს, ეს არის საუკეთესო ვარიანტი. ევროპაშიც ეგრეა“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 81-82).

რესპონდენტების განცხადებით, ყველა პრობაციონერს პირველივე შეხვედრაზე ეძლევა თავისი ოფიცრის ტელეფონის ნომერი. მათი თქმით, ეს მათ მოვალეობაში შედის, რომ იყვნენ მუდმივად ხაზზე, იმ შემთხვევაში, რომ თუ პრობაციონერს რამეზე დარეკვა დაჭირდა, თავისუფლად შეძლოს ზარის განხორციელება თავის ოფიცერთან:

„-: ჩვენი ტელეფონი გათიშულ რეჟიმში არასოდეს არ არის, ანუ 24 საათის რეჟიმშია და როცა სურვილი აქვთ, რეკავენ ყოველთვის. მას არასამუშაო დღეებშიც შეუძლია“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 214-216).

„-: პირველივე შეხვედრაზე მათ იციან ჩემი სახელი, ტელეფონის ნომერი და შეუძლიათ მომმართონ, თუ საჭიროა“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 112-113).

რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ პრობაციონერებს შეუძლიათ დაურეკონ თავიანთ ოფიცრებს სხვადასხვა საკითხებზე: მისამართის შეცვლა, ბიუროში გამოცხადების წესის დაზუსტება, სამსახურის დაწყება ან მიტოვება, საზღვარგარეთ წასვლაზე გასაცემი ნებართვის პროცედურების დადგენა და სხვ.:

„-: კი, ისინი ზოგადად გაფრთხილებულები გვყავს, რამეს თუ შეიცვლიან, შეგვატყობინონ. დაიწყო სამსახური, მიატოვა სამსახური, შეიცვალა მისამართი. . . მაგრამ თუ დიდი ხანი არ გვაქვს პრობაციონერთან შეხება, ამ შემთხვევაში ჩვენ ვურეკავთ და ვეკითხებით (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 113-116).

რესპონდენტების თქმით, თავის მხრივ ოფიცრებიც უკავშირდებიან საკმაოდ ხშირად მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ პრობაციონერებს. ძირითადად, თუ საჭიროა რამე დამატებითი სახის ინფორმაციის მოპოვება პრობაციონერზე, ან არის პრობაციონერისათვის რელევანტური ტრენინგის შეთავაზების საშუალება, ან თუ საჭიროა საზოგადოებისათვის სასარგებლო ღონისძიებაზე მათი დასწრება:

„-: ჩვენ თუ რაიმე ტრენინგებია, ან დამატებით გვჭირდება რაიმე ინფორმაციის მოძიება, ან კიდევ აქციები რომ არის დასუფთავების, ტაძარში მიგვყავს თუ აქვთ სურვილი“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #5, 93-95).

„- (რ.3): აი, ეხლა ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი პრობაციონერებს შორის, და დავიბარეთ და შევთავაზეთ, ვისაც უნდოდა, იმან მიიღო მონაწილეობა...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 165-169).

რესპონდენტები აცხადებენ, რომ ზოგჯერ ისინი ურეკავენ პრობაციონერის ოჯახის წევრებს და ეს შეთანხმებულია თვითონ პრობაციონერთან:

„-: ნებაყოფლობითია. ეხლა მე მამას დავურეკე ჩემი მსჯავრდებულის და ვუთხარი რო, 21 წლის ბიჭი იყო და რო თქვენს ვაჟთან დაკავშირებით მინდა გესაუბროთ თქო, და არა არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და პირიქით, მოვიდა კიდევ, მე ვუთხარი არ შეწუხდეთ მოვალ-თქო, მაგრამ არა, მოვიდა თვითონ და ვისაუბრეთ საჭირო საკითხებზე, რაც მე მინდოდა მამისაგან გამეგო და . . . ანუ ეს არის ნებაყოფლობითი და თუ მშობელს არ სურს საუბარი, არავინ არ დააძალებს, რომ . . .“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 163-169).

რესპონდენტები ერთხმად აცხადებენ, რომ არსებობს ოქმი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობის შესახებ. ამ ოქმს პრობაციონერს აცნობენ პირველივე ვიზიტზე. თავდაპირველად ხდება მისი ზეპირი სახით გაცნობა, შემდეგ კი უკვე ამ ოქმზე პრობაციონერს აწერინებენ ხელს. უმრავლესობის თქმით, ხელმოწერილი ოქმის ორიგინალს იტოვებენ პრობაციაში, ხოლო პრობაციონერს შეუძლია ასლის გადაღება და თან წაღება. რესპონდენტები აქვე იმასაც დასძენენ, რომ ხშირ შემთხვევაში, პრობაციონერები მექანიკურად აწერენ ხელს ამ ოქმს, ისე, რომ დეტალურად არც კითხულობენ, შიგნით რა წერია. ასევე, იშვიათად მიაქვთ თან ამ ოქმის ასლი:

*„-: არა, ხელმოწერილ დოკუმენტს ვიტოვებთ ჩვენ. ანუ თვითონ გაეცნობა, შეუძლია წაიკითხოს, ჯერ ზეპირად ვუხსნი, მერე გადაიკითხვას, ზოგი არც კითხულობს და ისე აწერს ხელს. მაგრამ ვეუბნები, რომ ეს ის არის, რაზეც ახლა გელეპარაკეთ. აწერს ხელს და ბუკლეტებს ვაძლევ თან. ხელმოწერილ დოკუმენტს ვიტოვებ ჩემთვის ყოველთვის“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 258-261).*

*„-: უფლება-მოვალეობებს რა თქმა უნდა ვაცნობთ, იქ არის გაწერილი პუნქტებად, მუხლები, პუნქტები, თავისი უფლებები და მოვალეობები. დაახლოებით სამფურცლიანი დოკუმენტი არის, ამას ვუყვები მთლიანად თავიდან ბოლომდე, თუ რამე კითხვა გაუჩნდება, მისვამს საუბრის ბოლოს, იმასა ვუმარტავ რასაკვირველია, ორთავე ვაწერთ ხელს, ზოგს მიაქვს, ზოგს არა აქვს სურვილი წაიღოს, ვისაც აქვს, ვატან, რა თქმა უნდა“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 286-291).*

გარდა ზეპირი ახსნა-განმარტებისა და დოკუმენტზე ხელმოწერისა, პრობაციის ოფიცრების თქმით (განსაკუთრებით რეგიონებში), ისინი ყველა პრობაციონერს ატანენ სპეციალურ ბუკლეტს, რომელშიც ასევე დეტალურად არის გაწერილი პრობაციონერის უფლება-მოვალეობები:

*„-: ბუკლეტები რაც გამოგვიგზავნა სააგენტომ, ყველას ვატან პრინციპში. თავისი სურვილით, მერე რაც უნდა, ის უქნას (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 294-296).*

*„-: შემდგომ ხელმოწერით ვაფიქსირებთ ამას და შემდგომ ვატანთ კიდო სახლში ბუკლეტს, რომ კიდევ ერთხელ გადახედე და წაიკითხე ყველაფერი“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 306-307)*

კვლევის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, უფლება-მოვალეობების გაცნობისა და პრობაციონერთან პირველადი კონტაქტის დამყარების შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს პრობაციონერის საჭიროებებისა და რისკების შეფასება. ამის კვლევა შეიძლება დაიწყოს პირველივე შეხვედრაზე, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტთა თქმით, მათ ურჩევნიათ, რომ ამ საჭიროებების კვლევა და შესაბამისი კითხვარის შევსება მოხდეს თანმიმდევრულად, ეტაპობრივად, მსჯავრდებულის რამდენიმე ვიზიტის შემდეგ. ოფიცრების განმარტებით, დიდი

მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად გაიხსნება პრობაციონერი და რამდენად გულახდილი საუბარი ექნება თავის ოფიცერთან:

*„-: უბრალოდ თუ დავინახეთ, არ იხსნება პრობაციონერი, ან ბოლომდე არ გვითხრა სათქმელი, გვაქვს რამოდენიმე ეტაპი. 1 თვის შემდეგ, 1 კვირის შემდეგ... ვაცლით ცოტა ხანს და მერე ვავსებთ“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 76-78).*

რისკების შეფასების დროს გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორცაა განათლება, დასაქმება, დანაშაულის სიმძიმე, პირველადი დანაშაულია თუ განმეორებითი, ოჯახური მდგომარეობა, საკონტაქტო წრე, დამოკიდებულება ალკოჰოლთან და აზარტულ თამაშებთან, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება და სხვ. ამ ფაქტორების მხედველობაში მიღების შემდეგ დგინდება, რამდენად დაბალი ან მაღალი რისკი აქვს პრობაციონერს მომავალში დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის კუთხით:

*„-: ვიწყებთ იქედან, რომ ვიკვლევთ დანაშაულებრივ დინამიკას, რეციდივია, პირველადი დანაშაულია, მისი განათლება, სამუშაოებრივი გამოცდილება, ოჯახური მდგომარეობა, დამოკიდებულება ნარკოტიკებთან, სასმელთან, აზარტულ თამაშებთან; კიდევ არის პიროვნული - რამდენად დარწმუნებულია საკუთარ თავში, როგორ იწინიებს, თუ არა დანაშაულს თუ პირიქით თვლის, რომ მართალი ვარ 100%-ით. ჰოდა მაგის მიხედვით ვაკეთებთ დასკვნებს“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 104-109).*

რესპონდენტთა თქმით, რისკებისა და საჭიროებების კითხვარის შევსება ხდება ელექტრონულად:

*„- (რ.2): ჩვენთან არსებობს მსჯავრდებულების ელექტრონული საქმე. ყველა მსჯავრდებულს აქვს თავისი ელექტრონული საქმე და იქ არის რისკებისა და საჭიროებების შეფასების გვერდი, სადაც ხდება პირდაპირ ელექტრონულად შევსება“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 318-319).*

ზოგიერთი რესპონდენტი აფიქსირებს, რომ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ იკრიბებიან ოფიცერი, ფსიქოლოგი და სოც. მუშაკი და ახდენენ საბოლოო დასკვნის გამოტანას რისკების დონის შესახებ. რესპონდენტთა უმეტესობა კი აცხადებს, რომ ამ რისკების შეფასება მხოლოდ პრობაციის ოფიცრის კომპეტენციაა და შეფასება ხდება მათი გამოცდილებიდან გამომდინარე:

*„-: მოკლედ ჩვენი გამოცდილებიდან და ზოგადად ჩვენი შეხედულებიდან კეთდება რისკის შეფასება. რაიმე სტანდარტი არ არის“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 249-257).*

კვლევის მონაწილეთა თქმით, ასევე მათი შეფასებით ხდება პრობაციონერის გადამისამართება ფსიქოლოგთან ან სოც მუშაკთან, გამომდინარე მათი საჭიროებებიდან:

„-: და ჩემი დასკვნის შემდგომ, თუ გამოვკვეთე რომ არის რაიმე პრობლემა შემდეგ ვაკეთებ შეთანხმებას და ამ საკითხზე, გადავამისამართებ ფსიქოლოგთან, სოც მუშაკთან და შემდგომ უკვე ვმუშაობ ამ პრობაციონერთან ამ პრობლემის აღმოფხვრის კუთხით. თუ პრობლემა არაა ძალიან კარგი. ამ შემთხვევაში დასკვნას, ამ ეტაპზე მსჯავრდებულს არ გამოეკვეთა რაიმე პრობლემა, რომელიც საჭიროებს ჩვენგან რეაგირებას, და შემდეგ ეტაპობრივად 3 თვის მერე, 5 თვის მერე კიდევ მექნება შეხვედრა და თუ იქნება რამე კიდევ მოვახდენთ რეაგირებას“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 289-295).

მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაციისა, პრობაციონერის პირად საქმეში იღება ისეთი საბუთები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ავტობიოგრაფია, გაფრთხილება, რომელიც პრობაციონერს ეგზავნება ბიუროში გამოსაცხადებლად, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშის ფორმები. მთელი დოკუმენტაცია, როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი სახით ხელმისაწვდომია პრობაციის ოფიცრისთვის, სოციალური მუშაკისთვის, ასევე, სამსახურის უფროსებისათვის:

„- (რ.8): პრობაციის თანამშრომლებისთვის, ოფიცრებისთვის და სოც. მუშაკებისთვის, სამსახურის უფროსისთვისაც რა თქმა უნდა“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 347-348).

გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ ელექტრონული ბაზა, სადაც არის ყველა პრობაციონერის მონაცემი, მიერთებულია პოლიციის ელექტრონულ ბაზასთან და მასზე წვდომა აქვთ პოლიციის სხვადასხვა დეპარტამენტებს, მათ შორის, სასაზღვრო პოლიციას:

„-: შემყავს ელექტრონულ პროგრამაში, ნუ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ გვაქვს ელექტრონული პროგრამა ე-დოკი, სადაც შეყვანილია ყველა პირობითი მსჯავრდებულის მონაცემი, რაც გვაქვს განაჩენში, ეს პროგრამა, მე რამდენადაც ვიცი საერთოა პოლიციისთვის, სასაზღვრო პოლიციისთვის და არის დახურული და პაროლის საშუალებით შევდივართ“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 80-83).

კითხვაზე, რამდენად შეუძლია პრობაციონერს შეიცვალოს ოფიცერი, იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის წარმოიშვება რაიმე სახის წინააღმდეგობა ან უთანხმოება, მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ ამის შესახებ მათ არ სმენიათ. მათი ინფორმაციით, პრობაციონერს ჯერ არ მოუთხოვია (რამდენადაც მათ იციან) თავისი ოფიცრის შეცვლა:

„-: ასეთი არ ყოფილა ნამდვილად. მე პირადად არასოდეს არ მქონია ასეთი“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 259).



კვლევის მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც არის მოხსენიებული პრობაციონერის მხრიდან პრობაციის ოფიცრის აცილების პროცედურები:

„- (რ.6): ანუ არსად არ წერია, რომ პრობაციონერს შეუძლია აცილება მისცეს პრობაციის ოფიცერს, მაგრამ თუ რაღაც მსგავსი კონფლიქტი შედგა, ამ პროცესის დარეგულირება, ჩემი აზრი თუ გინდათ, სულ არ წარმოადგენს პრობლემას“ (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 410-413).

კვლევის მონაწილეთა თქმით, ყველა ოთახში დგას სათვალთვალო კამერები და ოფიცრის პრობაციონერთან ურთიერთობა ფიქსირდება. შესაბამისად, თუ რამე დარღვევა ან გადაცდომა იქნა დაფიქსირებული ოფიცრის მხრიდან, მათი ვარაუდით, მოხდება რეაგირება უფროსობის მხრიდან.

„- (რ.3): ყველა ოთახში დგას კამერები, რომლებიც ხმას აფიქსირებენ და ნებისმიერი ჩვენი ურთიერთობა მსჯავრდებულთან ფიქსირდება და ალბათ ფასდება..“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 102-103).

მონაწილეების თქმით, პრობაციონერები ყველაზე ხშირად მათ მიმართავენ დასაქმების პრობლემებით:

„-: დახმარებისთვის მოუმართვით დასაქმებისთვის, ყველაზე ხშირი ეს არის“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 277-284).

მონაწილეები აცხადებენ, რომ დასაქმება ზოგადად პრობლემაა საქართველოში, მით უმეტეს, პრობაციონერებისა და ყოფილი პატიმრებისათვის. შესაბამისად, გაძნელებულია პრობაციონერთა დასაქმება. ოფიცრებს მოჰყავთ მაგალითები, როდესაც დაუსაქმებიათ ან ხელი შეუწყვიათ პრობაციონერების დასაქმებისათვის, თუმცა, თვითონვე აღნიშნავენ, რომ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის. ძირითადად ისინი საქმდებიან ისეთ სფეროებში, როგორცაა მშენებლობა, გზების დაგება, სამრეცხაო, მანქანის ტექნომსახურება და ა.შ.:

„+ : დაახლოებით რამდენი პრობაციონერი დაგისაქმებიათ?  
-: დაახლოებით ათი პრობაციონერი, რაც ვმუშაობ, იმ დროის განმავლობაში.  
+ : სად ასაქმებთ ძირითადად?  
-: სამშენებლო ფირმები, დასუფთავების სამსახური, ავტოსამრეცხაოები“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 309-313).

„-: კი, იყო რამოდენიმე შემთხვევა დასაქმების, სხვათა შორის... მშენებლობაზე იყო, ჩემი არ ყოფილა და ზუსტად არ მახსოვს. პროფილაქტიკაში იყო კიდევ რაღაც, თუ არ ვცდები და ა. შ. ხშირი არ არის ეს...“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 412-414).

„-: აი, მაგალითად, წელს აპრილის თვეში იყო ვაკანსიები, გზების დაგებაზე მუშებს თხოულობდნენ, სადაც დავასაქმეთ ორი პრობაციონერი“ (ზუგდიდი, ჩალრმავებული ინტერვიუ # 2, 80-82).

ერთ-ერთ ოფიცერს მოყავს შემთხვევა, როდესაც თვითონ პრობაციონერმა შექმნა მცირე საწარმო და იქ დაასაქმა სხვა პრობაციონერები:

„-: ახლახან იყო შემთხვევა, რომ თვითონ პრობაციონერმა შექმნა საწარმო და მოგვცა ინფორმაცია, სხვებს დავასაქმებო, და 6 კაცი დაასაქმა... (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 215-218).

მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ბიზნეს-სტრუქტურები ერიდებიან პრობაციონერების დასაქმებას თავიანთ ორგანიზაციებში. ამათ ისინი ხსნიან გაზრდილი კონკურენციით და ნასამართლევი პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმის არსებობით. კონკურენციაში ისინი გულისხმობენ, რომ ქვეყანაში ისედაც მაღალია დაუსაქმებელი ადამიანების რიცხვი და ყველა ორგანიზაციას, მით უმეტეს ბიზნეს-ორგანიზაციას, ურჩევნია არანასამართლევი პირის დასაქმოს, ვიდრე ნასამართლეობის მქონე:

„-: რა ხდება იცით, რაღაც ერთგვარი სტიგმატიზაცია არის საზოგადოებაში, და სიმართლე რომ გითხრათ, იმ ხალხისაც მესმის, ბიზნესს ვგულისხმობ, ნასამართლეობასთან დაკავშირებით. ნუ არიდებენ თავს ნასამართლევი პირის დასაქმებას და იმისი ბრალია ეგეც, რომ რესურსიც ძალიან დიდია და არანასამართლევი პირის აყვანაც თავისუფლად შეუძლია ნასამართლეობის არმქონე პირები დაასაქმოს, ვიდრე ნასამართლევი“ (ბათუმი, ჩალრმავებული ინტერვიუ #2, 528-533).

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც პრობაციონერს სთავაზობენ დასაქმების შესაძლებლობას და ისინი უარს ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე საკმაოდ აქტიურად აქვთ გაცხადებული, რომ სურდათ დასაქმება:

„-: დიახ, ბევრი შემთხვევა გვქონია. იცით რატომ? რომ გავედით, ვიშოვეთ მუშების ადგილი და მშენებლობაზე და ეს არ უნდათ, ქართული მომენტია. აი, უთქვამთ, მენეჯერად ვიმუშავებ. . . მუშად არა, ხოდა მენეჯერად არ იღებენ პრობაციონერებს. კერძო სტრუქტურას მით უმეტეს ვერ დაავალდებულებ“ (თბილისი, ჩალრმავებული ინტერვიუ # 2, 216-219).

კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ იქ, სადაც სოციალური მუშაკებიც არიან მიმაგრებული პრობაციონერზე, მეტი შანსია, რომ მოიძებნოს პრობაციონერის დასაქმების ვარიანტები:

„-: ჩვენთან სოციალური მუშაკებიც რომ მუშაობენ, რესურსი მეტია და შესაბამისად მეტი ტრენინგები და დასაქმებები შეიძლება შევთავაზოთ პრობაციონერებს. სოც. მუშაკებს უფრო თავისუფალი გრაფიკი აქვთ, ვიდრე ოფიცრებს და მათ შეუძლიათ, იარონ და მოიძიონ ეს ადგილები პრობაციონერებისთვის“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 146-150).

ოფიცერთა უმეტესობა აცხადებს, რომ პრობაციონერთა დასაქმებაზე ზრუნვა არ არის მათი პირდაპირი მოვალეობა. ეს მათ არცერთ დოკუმენტში არ უწერიათ, როგორც ვალდებულება და რომ მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომ იარონ და ეძებონ მათთვის სამსახური:

„+ : ესეც გამოდის არის თქვენი კეთილი ნება? სამუშაო აღწერაში არ წერია.  
- : დიახ, არაფერში არ წერია უბრალოდ ვეხმარებით პრობაციონერებს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 163-164).

გარდა დასაქმებისა, პრობაციონერები მიმართავენ ოფიცრებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა იურიდიული და სამედიცინო დახმარება, ან გარკვეულ სოციალურ საკითხებზე. ამ შემთხვევაში ხდება პრობაციონერების გადამისამართება სოც. მუშაკთან:

„- : აი განცხადების დაწერა, მაგალითად. სკოლაში ან ოჯახში თუ რამე პრობლემა აქვს, ურეკავენ სოც. მუშაკს“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია # 3, 118-119)

იურიდიული საკითხებიდან ოფიცრები, ძირითადად, აღნიშნავენ, რომ პრობაციონერებს აინტერესებთ ნასამართლეობასთან დაკავშირებული საკითხები, როდის და როგორ შეიძლება ნასამართლეობის მოხსნა, შეწყალებაზე განაცხადის დაწერა, პირადობის მოწმობის აღების წესი, მართვის მოწმობის დაბრუნება, შპს-ს გახსნის პროცედურა და სხვა:

„- : ისე, ზოგადად, ახლა მოგვმართავს უშუალოდ ჩვენს სამუშაო საკითხებთან დაკავშირებით, როდის ეხსნება ნასამართლეობა, რა არის ნასამართლეობა, ასეთ საკითხებზე კი, ანუ, ან შესაძლებელია, იყო შემთხვევა, რომ რა გავაკეთო შეწყალებაზე განცხადებას ვერ ვწერ, რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე. ესეთი კითხვები, რა თქმა უნდა, ყოველთვის არის“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 452-456).

„- : ჩემს პრაქტიკაში ერთადერთჯერ იყო, რომ შპს აინტერესებდა და გავურკვეიე საჯარო რეესტრში“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 427-428).

თუ რამე იურიდიულ საკითხზე ოფიცერი ვერ ეხმარება პრობაციონერს, ხდება მისი გადამისამართება სახაზინო ადვოკატთან ან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში:

„- : თუ არის შესაძლებელი, რომ დავეხმაროთ ჩვენ თვითონ ვეხმარებით, თუ არადა სახაზინო იურიდიული დახმარების ის რომ არის, და ადვოკატთა ასოციაცია

*ახალგაზრდულიც. სახაზინო ადვოკატები რომ არიან. შეიძლება რომ იქაც გადავამისამართოთ, იქაც გაგცემენ სრულ პასუხს, უფრო დაწვრილებით ინფორმაციას“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 384-388)*

იურიდიულ და სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნის რიცხვი გაცილებით გაიზარდა ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ოფიცრები აწვდიან სპეციალურ ბუკლეტებს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ პრობაციონერებს და ყოფილ პატიმრებს:

*„-: ყოფილა, რომ იურიდიული დახმარებაც მოუთხოვია, სამედიცინო დახმარებაც იყო. ეს ახლა დაიწყეს უფრო. ადრე დახმარებაზე არ მომართავდნენ. და რაც ჩვენ დავიწყეთ ინფორმაციის მიწოდება, არასამთავრობო ორგანიზაციის თაობაზე, ეს დარიგებები რომ დავიწყეთ... (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 332-335).*

კვლევის მონაწილეთა თქმით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრობაციონერებისათვის სხვადასხვა სახის ტრენინგების შეთავაზებას. შეთავაზებული ტრენინგების სახეობები სხვადასხვაა:

*„-: მანქანის ტარების (თეორიული კურსი)...კიდევ იყო, იმათმა ჩაატარეს ტრენინგები C ჰეპატიტიზე“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 414-416).*

*„-: აი, მაგალითად, ცოტა ხნის წინ ჩატარდა გენდერულ თანასწორობაზე ტრენინგი, ასევე ინფექციურ დაავადებებზე - ჰეპატიტებზე, აივ/შიდსზე, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ჩავატარეთ ტრენინგები, ასევე აღმზრდელობითი ტრენინგი საქართველოს ისტორიის შესახებ და თავისი კინოც ვაჩვენეთ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 288-291).*

კვლევის მონაწილეების თქმით, ტრენინგებში მონაწილეობის რაიმე კრიტერიუმი არ არსებობს. ოფიცრები თვითონ წყვეტენ, რომელმა პრობაციონერმა რომელ ტრენინგში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ძალზე იშვიათია, რომ თვითონ პრობაციონერმა მოითხოვოს რაიმე ტრენინგში მონაწილეობის მიღება. პრობაციონერები უფრო ინტერესდებიან ტრენინგებით, როდესაც მათ უხსნიან, რომ ეს შეიძლება დადებითად წაადგეს მათ საქმეს (ძირითადად რეჟიმის შემსუბუქების კუთხით):

*„- (რ.6): ...სუბიექტურად ვწყვიტავთ, ვიცით, ვინ ვინ არის, რა ფსიქოლოგიის ტიპია და ა.შ., მაგაზე არაფერი ინსტრუქცია არ არის...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 226- 227).*

ოფიცრების თქმით, ხშირია პრობაციონერების მხრიდან ტრენინგში მონაწილეობაზე უარის თქმაც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მანამდე ნათქვამი ჰქონდეს, რომ სურს ტრენინგის გავლა:

*„-: ბევრი ამბობს, მაგალითად, რომ უნდათ სამსახურის დაწყება, ნებისმიერის, მერე როცა რეალურად შესთავაზებენ რამეს, მერე უკვე არ უნდათ. ტრენინგებზეც იგივეა. ამბობენ მინდა ამის სწავლა, მერე ერთი თვის მერე, როცა კონკრეტულად ეუბნები, რომ ჯგუფს კრიბავ რაღაც ტრენინგისთვის, შეიძლება ბავშვმა [არასრულწლოვანი პრობაციონერი] გითხრას, არა, აღარ მინდა, გადავიფიქრე“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 157-163).*

ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ადგილას, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ტრენინგის ორგანიზატორი. ყველაზე ხშირად მაინც ტრენინგებს სთავაზობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ შემთხვევაში ტრენინგი ტარდება არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში ან დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (სადაც ეს ხელმისაწვდომია). თუ ორგანიზატორია პრობაციის ბიურო, მაშინ ტრენინგი ტარდება ბიუროების ოფისში, ძირითადად, საკონფერენციო დარბაზში:

*„-: საკონფერენციო დარბაზში ვიკრიბებით, იყო შემთხვევა ჩავატარეთ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. 3-ჯერ მაქ გავაკეთეთ“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 399-400).*

ყველა სახის ტრენინგში პრობაციონერის მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, როგორც აცხადებს გამოკითხულთა უმეტესობა. თუმცა, მონაწილეთა მცირე რიცხვი თბილისიდან ამბობს, რომ ტრენინგში მონაწილეობაზე სისტემატურად უარის შემთხვევაში, პრობაციონერს შეიძლება დაუმძიმონ რეჟიმი და კვირაში ერთხელ პრობაციაში გამოცხადების ნაცვლად დაიბარონ კვირაში სამჯერ. მონაწილეები აზუსტებენ, რომ ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერმა განაცხადა ტრენინგში მონაწილეობაზე თანხმობა, (მით უმეტეს, თუ ეს თანხმობა წერილობითია) და შემდეგ კი არ წავიდა ტრენინგზე. ოფიცრები აცხადებენ, რომ რაიმე განაწესი, თუ რა სანქციები უნდა მიიღონ და როდის, პრობაციონერის ტრენინგებზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, არ არსებობს. გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალურად პრობაციის ოფიცერი, უფროსთან შეთანხმებით:

*„-: თუ ამ პირობას არ შეასრულებს, ანუ განაცხადა თანხმობა და არ წასვლის შემთხვევაში, დაუმძიმდება რეჟიმი და ხელს აწერს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 186-187).*

*„-: ჩვენ ვწყვიტავთ სუბიექტურად, მაგრამ უფროსთან შეთანხმებით“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 174-175).*

მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერებს ბოლო წლის მანძილზე გაუვლიათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, ადგილად ასახელებენ ტრენინგის თემებს და შესაბამის ციფრებს:

„+ : ბოლო წლის განმავლობაში თქვენმა რამდენმა პრობაციონერმა მიიღო მონაწილეობა ამ ტრენინგებში, თითოეული თქვენგანის პრობაციონერებმა? 2014 წლის განმავლობაში?

- (რ.2): 40 დაახლოებით.

- (რ.3): 20.

- (რ.5): 30“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 441-445).

„+ : თუ გაიხსენებთ, ბოლოს როდის ჩატარდა მსგავსი ტრენინგი?

- : ორშაბათს.

+ : რა ტრენინგი იყო?

- : დაავადებებზე იყო, თანადგომა ატარებდა ამ ტრენინგს.

+ : ტრენინგებში პრობაციონერების მონაწილეობა ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?

- : ყველა ტრენინგში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, რა თქმა უნდა.

+ : ბოლო წლის განმავლობაში თქვენმა რამდენმა პრობაციონერმა მიიღო მონაწილეობა მსგავს ტრენინგში?

- : დაახლოებით ათმა“ (ქუთაისი, ჩაღმავებული ინტერვიუ # 3, 215-223).

ოფიცრები აცხადებენ, რომ პრობაციონერებს სთავაზობენ, ასევე, პროფესიული გადამზადების კურსებსაც, როგორცაა ჭრა-კერვის, დურგლის, ბუღალტრის მოსამზადებელი კურსები:

„- : კი, ბლექსი კოლეჯი რომ არის, არა, მაგათ აქვთ, ჯერ-ჯერობით მაგათთანაც გავაფორმეთ ხელშეკრულება. და პრობაციონერი მსურველები გადავამისამართეთ და კიდევ იყო. დემოკრატიის ინსტიტუტში არის რაღაც კურსები, მართვის მოწმობის, ბუღალტერიის და იქ გადავამისამართეთ პრობაციონერები“ (ბათუმი, ჩაღმავებული ინტერვიუ #1, 440-444).

„- : ქალებს ასწავლეს ჭრა-კერვა, და ერთს აჩუქეს საკერავი მანქანა, ერთ პრობაციონერს წისქვილი გაუკეთეს, და ზოგიერთებს სამუშაო ინსტრუმენტები აჩუქეს, თუმცა ზოგიერთმა გაყიდა“ (ზუგდიდი, ჩაღმავებული ინტერვიუ #2, 184-186).

კვლევის მონაწილეების თქმით, არასრულწლოვანი პრობაციონერები უფრო აქტიურად ერთვებიან გადამზადების კურსებში, ვიდრე ზრდასრულები. მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ ზრდასრულ პრობაციონერებს არ სურთ რამდენიმე თვე გაიღონ და დაესწრონ პროფესიული გადამზადები კურსებს. ზოგ მათგანს, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების მქონეებს, ეხამუშებათ და უკადრისობენ პროფესიული გადამზადების კურსებში მონაწილეობას:

„- : არის პროფესიის შემსწავლელი კურსები, 3-თვიანი გვექონდა და გავუშვით ბავშვები [არასრულწლოვანი პრობაციონერები]. მან ბევრი არის, სხვათა შორის, 6-7 კლასის განათლებით. მათთვის უმჯობესია, რამე ხელობა ისწავლონ. რომ ვეუბნებით, სწავლა გააგრძელე ,არ აქვთ სურვილი და პირობები. შეიძლება გზის ფულიც არ ქონდეს, რომ

სკოლაში იაროს, ამიტომ უმეტესობა გეუბნება, რომ უნდა მუშაობა, რომ ფული ქონდეს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 136-141).

„-: კი, ბევრი იყო. ჩემი მსჯავრდებულები უარს ამბობდნენ ძირითადად, იმიტომ რომ განათლება ქონდათ და პროფესია ქონდათ და არ უნდოდათ არაფრის შეცვლა. ან ზოგიერთი ასაკიანი იყო და რალა დროს ხელობის შესწავლააო. რამოდენიმე დურგალი იყო, გვექონდა შემოთავაზება 3-თვიანი კურსი დურგალზე და უარი თქვეს, ვარო და რატო უნდა 3 თვე დავკარგო და რალაცაო. პირდაპირ სამუშაოზე უფრო თანხმდებოდნენ ბევრი. ვერაფრით სასწავლო ცენტრში ვერ მივიყვანეთ, უარს ამბობდნენ. მაგრამ ვიცით, რომ რამოდენიმე მივიდა და იყო ჯგუფი ჩვენი პრობაციონერებისა. ძირითადად არასრულწლოვნები უფრო, ანუ არ არიან ჯერ ჩამოყალიბებული, არც პროფესია, არც ხელობა არა აქვთ, ისინი უფრო იღებენ მონაწილეობას“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 439-448).

ინფორმაციას ტრენინგებზე და გადამზადების კურსებზე პრობაციის ოფიცრები იღებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციიდან, დასაქმების სააგენტოსგან, რომელთანაც პრობაციის ბიუროს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, ასევე, იყენებენ პირად სანაცნობო წრეს. რაიმე სახის ჩამონათვალი ან სია, როგორც ოფიცრების უმეტესობა აცხადებს, არ არსებობს. მონაწილეებს უჭირთ, დაასახელონ კონკრეტული ორგანიზაციები, რომლებიც ტრენინგების ან სხვა რაიმე სერვისების კუთხით დახმარებას სთავაზობენ პრობაციონერებს. მონაწილეთა ნაწილი მაინც ასახელებს შემდეგ ორგანიზაციებს: დემოკრატიის ინსტიტუტი, თანადგომა, საია, დასაქმების სააგენტო, GCRT. ასევე, ასახელებენ იმ სერვისებს, რომლებსაც ისინი პრობაციონერებს სთავაზობენ:

„-: დასაქმების სააგენტოსთან გვაქვს მემორანდუმი გაფორმებული და ყოველთვის მაგენი გვაწვდიან ინფორმაციას და კურსების შესახებ მაგენმა მოგვაწოდეს ინფორმაცია. თანადგომამაც თავიანთი ბიულეტენები და ფსიქოლოგიური დახმარება.... თქვენ თვითონაც გვაცნობთ ამის შესახებ“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #3, 458-462).

„-: ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს სთავაზობენ, მატერიალურადაც ეხმარებიან, ასეთია ბავშვთა სოფელი, ვთქვათ, არ ჰქონდა მსჯავრდებულს საწოლი, გადასცეს მას საწოლი და კარადა, სკამები. ჯი-სი-არ-თი ეხმარება ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, ,თანადგომა“-შიც ანალიზების გაკეთება არის უფასო“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 252-257).

მონაწილეების თქმით, ისევე, როგორც დასაქმების შემთხვევაში, ტრენინგებისა და სპეციალური კურსების მოძიებაც არ შედის პრობაციის ოფიცრის პირდაპირ მოვალეობაში. მსგავს თემებზე უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნიათ სოც. მუშაკებს, როგორც რესპონდენტები ამბობენ:

„-...ახლობლებს უთქვამთ, რაღაც ტრენინგები არისო არასამთავრობოში, ძირითადად ნარკომანებისთვის, და დამირეკია, შემითანხმებია და გამიშვია მსჯავრდებულები, მაგრამ ეს სულ არ ხდება, ჩვენს სამუშაოში ეგ არ შედის, სპეციალურად მოძიება...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 239-242).

„-: მეც შემიძლია შევთავაზო, მაგრამ ინფორმაცია უფრო აქვთ სოც.მუშაკებს. მათი სამმართველო მოიპოვებს გარკვეულ რესურსებს და მერე ამათ აწვდის ინფორმაციას. (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 126-1128).

რამდენიმე ოფიცერი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ პირადად მიყვება პრობაციონერს ტრენინგზე დასარეგისტრირებლად:

„-: მე წავიყვანე პრობაციონერი. ანუ იქ დარეგისტრირებაშიც დაეხმარნენ, გავესაუბრე ტრენერს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 139-140).

მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მსგავსი ტრენინგები და გადამზადების კურსების გავლის შემდეგ დასაქმებული პრობაციონერების რიცხვი არ არის დიდი:

„-: ერთი შემთხვევა მაქვს, როდესაც მოხდა დასაქმება, სხვა შემთხვევა არც მაქვს და ვერ ვიტყვი, რამდენად კმაყოფილები არიან“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 337).

ოფიცრების განმარტებით, არ არსებობს კმაყოფილების რაიმე სახის კითხვარი ან მონიტორინგის მექანიზმი, თუ რამდენად კმაყოფილია პრობაციონერი გავლილი ტრენინგით ან გადამზადების კურსით. უმეტეს შემთხვევაში ამის გამორკვევა ხდება პრივატულ, არაფორმალურ ვითარებაში, თუ თვითონ პრობაციონერმა მისცა უკუკავშირი ჩატარებულ ტრენინგზე, ან ოფიცერმა თუ ჰკითხა ტრენინგის მონაწილეს მისი აზრი ტრენინგის შესახებ.

კვლევის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ საკმაოდ დადებითი და გულთათი დამოკიდებულება აქვთ თავის დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერებთან. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ არანაირი საჩივარი ან პრეტენზია პრობაციონერის ან მათი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ოფიცერზე არ შემოსულა. რამდენიმე ოფიცერი აცხადებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად ახლო და თბილი ურთიერთობა ყალიბდება ოფიცერსა და პრობაციონერს შორის, რომ პრობაციის ვადის გასვლის შემდეგაც პრობაციონერი ურეკავს და ეკონტაქტება თავის ყოფილ ოფიცერს. რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ დანაშაულის ტიპი და სიმძიმე არ თამაშობს არანაირ როლს მათ დამოკიდებულებაზე პრობაციონერისადმი:

„-: არ იცვლება. პრინციპში, ეს ხომ ციხე არ არის, აქ დასჯა არ არის, ჩვენ გვინდა გამოსწორება“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #4, 154-155).



„-...იმათგანაც დადებითი დამოკიდებულებაა. რამდენი ხანია ვმუშაობ და არასდროს მქონია ან საჩივარი ან პრეტენზია პრობაციონერის ან მშობლის მხრიდან (თბზ, 186-188).

„-: შეცდომა ვის არ დაუშვია, ყველა შეიძლება გამოსწორდეს...“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 569-573).

რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ პრობაციონერების უმეტესობას აქვს ნდობის გარკვეული დონე თავისი ოფიცრის მიმართ. თუმცა, აქვე დასძენენ, რომ სრული ნდობა ყველა საკითხში ვერ იქნება, გამომდინარე მათი ურთიერთობის სპეციფიკიდან:

„-: მე ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში რაღაც დოზით აქვთ ნდობა. მაგრამ ძალიან მონდომებულები არიან და ნდობით აღჭურვილები არიან ჩვენს მიმართ მე-თქი, ვერ ვიტყვი. მაინც დამოკიდებულება არის მათი თავისებური“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 573-576).

„-: იცით, მე ვფიქრობ, რომ კი, ნდობით არიან გამსჭვალულები, შეიძლება 100%-დან ყველა ერთნაირი არ იყოს, არიან პრობაციონერები სხვა ფსიქიკის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ნდობა 90% აქვთ, მისი ოფიცრის მიმართ, ვინც მისი ოფიცერია“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 518-520).

ოფიცრების თქმით, პრობაციონერის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა არასდროს დარღვეულა და ეს კანონით არის დაცული:

„-: საერთოდ კანონი იცავს მსჯავრდებულის პერსონალურ ინფორმაციას და შესაბამისი ინფორმაციის გაცემა მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეიძლება“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 373-375).

პრობაციის ოფიცერთა თქმით, ნდობა განსაკუთრებით იზრდება, როდესაც გარკვეულ აქტივობებში, როგორცაა ექსკურსია, ფილმის ჩვენება, ლიტერატურული საღამო, პრობაციონერი და მისი ოფიცერი ერთად იღებენ მონაწილეობას. ასევე, განსაკუთრებული ურთიერთობა ყალიბდება მაშინ, როდესაც პრობაციის ოფიცერი პირადად მიყვება პრობაციონერს და ეხმარება ადგილზე საქმის მოგვარებაში:

„-: აი შეიძლება, რომ ექსკურსია მოვუწყოთ ბოტანიკურ ბაღში, ან დელფინარიუმში, ეგერ გონიოს ციხეზე გვყავდა გაყვანილი. ბოტანიკურ ბაღში გვყავდა პოეტები წყვანილი და ბუნებაში ლიტერატურული საღამო მოვაწყვეთ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 458-460).

„-: კი, კრიზისული ინტერვენციის ცენტრში გავყევი, იქ იყო ექიმი, გამოვედი. კმაყოფილი დარჩა. მეგონა, რომ რამე ჩარევა დასჭირდებოდა, და თქვა, რომ არაო. ექიმსაც დაადასტურა, რომ არა აქვს რაღაცა რაღაცა და არ საჭიროებს. თვითონაც

*კმაყოფილია ეს კაცი, დღემდე, როცა მოდის ხოლმე. მაგის შემდეგ, ასე რომ ვთქვათ, ჩვენი ურთიერთობა უფრო კარგი გახდა“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 400-404).*

რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები იდგმება პრობაციონერთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით, ეს არ არის საკმარისი. მათი აზრით, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ ამ საკითხს ბოლომდე მისდოს:

*„-: საკმარისი, ვფიქრობ, რომ არ არის, მეტი რესურსი რომ იყოს, უკეთესი იქნება“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 196-202).*

*„-: არა, სახელმწიფოს ამხელა რესურსი არ აქვს, მაგრამ უნდა იყოს სარეაბილიტაციო ცენტრები და სერიოზული პროგრამები ნარკომანებისთვის, სამუშაო ადგილები, რომ დასაქმდნენ. ვისაც მართლა ძალიან უნდა სამსახური და შემოსავალი, რომ დასაქმდნენ. დასაქმება ჭირდებათ ძალიან, მართლა ძაან უჭირთ. ამის გამო მართლა გაიმეორებს დანაშაულს, აბა შვილს რომ შია . . .“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 209-213).*

რესპონდენტთა თქმით, არასრულწლოვან პრობაციონერთა უმეტესობა არის გაჭირვებული ოჯახებიდან. მათ არ აქვთ იმის საშუალება, რომ თვითონ მოიძიონ ან მოძიების შემთხვევაში გადაიხადონ საფასური სასწავლო კურსებისათვის, ტრენინგისათვის ან ახალგაზრდების შემთხვევაში გადაიხადონ სპორტული წრის საფასური:

*„-: უმეტესად გაჭირვებული ოჯახებიდან არიან. თუ მათ რამის სწავლა უნდათ უმეტესად ყველაფერი არის ფასიანი. ჩვენ თუ გვინდა რამე უფასოდ ვიპოვოთ, თუ არ არის, ფიზიკურად ვერ ნახავ. და რომ იყოს ამ ბავშვებისთვის მეტი შესაძლებლობა და საშუალება, კარგი იქნებოდა. შევძლებდით, რომ მეტს დავხმარებოდით. ვგულისხმობ სასწავლო კურსებს, ტრენინგებს, ხელობის შემსწავლელ კურსებს, სპორტული წრეები“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 196-202).*

რესპონდენტთა თქმით, განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა ამ მხრივ ბოლო წლის მანძილზე. სააგენტომ მიავლინა ფსიქოლოგი ყველა ბიუროში, ფორმდება მემორანდუმები სხვადასხვა უწყებებთან, უფრო პერმანენტული ხასიათი მიიღო ტრენინგებმაც:

*„-: საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, ჩემის აზრით, თუნდაც ეს სარეაბილიტაციო სამმართველოს შექმნა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამას, აფორმებენ მემორანდუმებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ითხოვენ სერვისებს“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 483-487).*

„- : სააგენტომ გადაწყვიტა, რომ ფსიქოლოგი ყოლოდა ყველა ბიუროს და უკვე ორი თვეა, რაც მუშაობს ფსიქოლოგიც“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 315-316).

„- : ბოლო ერთი წელია, რაც უფრო გააქტიურდა [ტრენინგები], ადრეც იყო, მაგრამ ასეთი პერმანენტული ხასიათი არ ჰქონდა“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 286-288).

რესპონდენტთა ნაწილი მთავარ გარდამტეხ ფაქტორად, რომელმაც შეიძლება გააიოლოს პრობაციონერთა საზოგადოებაში რესოციალიზაცია, მიიჩნევს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების გაჩენას:

„- : მთავარია დასაქმდეს, საკუთარი შემოსავალი გაუჩნდეს და ამის მოგვარების შემდეგ უფრო ადვილად მოგყვება და უფრო ადვილად იღებს სხვა სერვისებს“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 402-404).

რესპონდენტები სახელმწიფოსთან ერთად, არასამთავრობო სექტორს და კერძო ბიზნესსაც აკისრებენ ვალდებულებას, რომ მონაწილეობა მიიღონ პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესში:

„- : ალბათ უფრო სახელმწიფომ, ყველამ, არასამთავრობოებმაც, კერძო კომპანიებმაც ...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 204-205).

„- : პირველ რიგში სახელმწიფომ და საზოგადოებაც მერე იზრუნებს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 130).

## **დამოკიდებულებები პრობაციის სამსახურისადმი**

რესპონდენტთა უმეტესობა მკაფიოდ აყალიბებს პრობაციის სამსახურის როლს და მოვალეობებს:

„- : ხელი შევუწყობ მათ რესოციალიზაციას. ადამიანი, რაღაცა რომ მოხდა, ისევ უნდა დააბრუნო საზოგადოებაში. უნდა მოხდეს ხელისშეწყობა. დავებმარო, იქ რა შეცდომა დაუშვა, თუ უსაქმურობის გამო ჩაიდინა რამე, იმაში მივეხმარო...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 87-90).

ყველა რესპონდენტი გადაჭრით აცხადებს, რომ არანაირ ზეწოლას ან შანტაჟს მათზე სამუშაოს შესრულების პროცესში ვინმეს მხრიდან (არც უფროსობის, არც თანამშრომლების და არც თვითონ პრობაციონერის მხრიდან) ადგილი არ ჰქონია:

„+: ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამ სამსახურში განუხორციელებიათ თქვენზე ზეწოლა, მანტაჟი რაიმე ინფორმაციის მიღების მიზნით?  
-: თამამად შემიძლია ვთქვა არა“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 250-252).

## **ძირითადი მიგნებები და დასკვნები (ოფიცრები)**

### **სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები და სამუშაო გარემო**

კვლევაში მონაწილე პრობაციის ოფიცერთა უმრავლესობა არის 40 წლამდე ასაკის. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას მიღებული აქვს იურიდიული განათლება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრობაციის ოფიცრად მუშაობისათვის არ არის აუცილებელი იურიდიული განათლების ქონა, რასაც თვითონ რესპონდენტებიც აღნიშნავენ.

კვლევის მონაწილეთა პრობაციის ოფიცრად მუშაობის სტაჟი მერყეობს 1-დან 9 წლამდე. დატვირთვა არის სრული სამუშაო დღე, დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე. პრობაციის ოფიცრად მუშაობის დაწყებამდე მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ნამუშევარი აქვთ ძირითადად საჯარო სტრუქტურებში.

**დასკვნა:** ოფიცერთა უმეტესობა არის ახალგაზრდა ასაკის (40 წლამდე). უმრავლესობას პრობაციაში სამსახურამდე აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება.

### **სამუშაო პირობების შეფასება**

ყველა გამოკითხულს აქვს თავისი სამუშაო მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, მაგრამ არცერთ რესპონდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო ოთახი. როგორც წესი, ერთ ოთახში 4-დან 10 ადამიანამდეა განთავსებული. ერთ ოფიცერზე გადათვლით, სამუშაო ადგილის ფართი არ აღემატება 5-6 კვადრატულ მეტრს. უმეტეს შემთხვევაში ოფიცრები ოთახს იყოფენ სხვა ოფიცრებთან და ზოგჯერ - სოციალურ მუშაკებთან.

ზოგ შემთხვევაში არსებობს პრობაციონერებთან გასაუბრების ცალკე ოთახიც, თუმცა, ეს ოთახი ხშირად დაკავებულია და ოფიცრები ვერ სარგებლობენ ამ სივრცით. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, პრობაციონერთან გასაუბრება უწევთ მაინც თავიანთ კაბინეტებში, რომელსაც იყოფენ სხვა თანამშრომლებთან, რაც ვერ ქმნის სათანადო პირობებს იმისთვის, რომ პრობაციონერი ბოლომდე გაიხსნას ოფიცერთან და ისაუბროს გარკვეულ პირად საკითხებზე.

ზოგიერთ რეგიონში პრობაციის ბიუროს ოფისები არის სარემონტო მდგომარეობაში, რაც ქმნის დამატებით დისკომფორტს, როგორც ოფიცრის მუშაობისთვის, ასევე, უარყოფითად მოქმედებს პრობაციონერის დამოკიდებულებაზე ბიუროსთან ან ოფიცერთან.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია სამუშაო ანაზღაურებით. მათი თქმით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, არ აქვთ დაბალი ხელფასი და

არის ზრდის ტენდენციაც. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი თვლის, რომ ხელფასი საკმარისი არ არის და გამოთქვამს სურვილი, რომ მისი ოდენობა გაიზარდოს.

**დასკვნა:** პრობაციის ოფიცრისთვის გამოყოფილი სამუშაო ფართი არ არის საკმარისი და არ ქმნის იმის პირობას, რომ პრობაციონერი ბოლომდე გაიხსნას ოფიცერთან და ისაუბროს გარკვეულ პირად საკითხებზე. კონფიდენციალობის მომენტი ვერ არის დაცული ბოლომდე. ზოგ რეგიონში პრობაციის ბიუროს სარემონტო ოფისი არ ქმნის მუშაობისთვის კომფორტულ გარემოს. პრობაციის ოფიცრები კმაყოფილები არიან თავიანთი სახელფასო ანაზღაურებით, რაც დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე.

### **სპეციფიურ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება და უფლებების/მოვალეობების ცოდნა**

პრობაციის ოფიცრის სამსახურში აყვანის წესი სტანდარტულია და ყველა მონაწილეს ერთნაირად აქვს გავლილი. გასაუბრების შემდეგ წარმატებული კანდიდატები საწყის ეტაპზე გადიან პრობაციის ოფიცრის სასწავლო საბაზისო ორკვირიან კურსს. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კანდიდატი ინიშნება პრობაციის ოფიცრად გამოსაცდელი ვადით. ბაზისური კურსის გავლა ხდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან არსებულ სასწავლო ტრენინგ-ცენტრებში თბილისსა და რუსთავში. ბაზისური კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილსაც.

ოფიცრად დანიშვნის შემდეგ, პრობაციის ოფიცერთა უმრავლესობას გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორცაა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, სტრესის მართვა, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, სოც. მუშაკისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, აივ/შიდსი, მოტივაციური ინტერვიუს წარმართვა. მიუხედავად იმისა, რომ გავლილ ტრენინგებს ყველა დადებითად აფასებს, ოფიცრების უმრავლესობას უჭირს რომელიმე კონკრეტული, ყველაზე წარმატებული ტრენინგის გამოყოფა. ოფიცერთა ნაწილი ყველაზე მეტად მოთხოვნად და საინტერესო ტრენინგებად ასახელებს ფსიქოლოგიური განხრის ტრენინგებს და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ტრენინგებს.

პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობა გაწერილია შიდა დებულებაში და ამას არეგულირებს სპეციალური კანონი. რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ დანიშვნის შემდეგ დეტალურად ეცნობიან თავიანთ მოვალეობებს და ხელს აწერენ შინაგანაწესზე, მაგრამ პრობაციის ოფიცრის საქმიანობის დეტალური აღწერა იქ არ არის. ამ დოკუმენტში ზოგადად არის გაწერილი უფრო მეტად ბიუროს ფუნქცია. მხოლოდ რამდენიმე ოფიცერი ამბობს, რომ სამსახურში აყვანის მომენტში ხელი არაფერზე მოუწერია.

რესპონდენტთა უმეტესობა მკაფიოდ აყალიბებს პრობაციის სამსახურის როლს და მოვალეობებს. ყველა რესპონდენტი გადაჭრით აცხადებს, რომ არანაირ ზეწოლას ან

შანტაჟს მათზე სამუშაოს შესრულების პროცესში არავის მხრიდან (არც უფროსობის, არც თანამშრომლების და არც თვითონ პრობაციონერის მხრიდან) ადგილი არ ჰქონია.

**დასკვნა:** პრობაციის ოფიცრის სამუშაოზე აყვანის პროცესი და პროცედურები სტანდარტულია და საერთოა ყველა ოფიცრისათვის. ოფიცრის სამსახურში აყვანა საკმაოდ გამჭირვალე პროცესია და რეგულირდება კანონით. ოფიცრის მოსამზადებელი საბაზისო სასწავლო კურსი საკმაოდ ხანმოკლეა და ვლინდება დამატებითი ტრენინგების ჩატარების საჭიროება.

პრობაციის ოფიცრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ კარგად იცის მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, რომლებსაც ისინი ეცნობიან ოფიცრად დანიშვნის წინ. რესპონდენტთა თქმით, პრობაციის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა, როგორც ცალკე დოკუმენტი არ არსებობს და ისინი ხელს აწერენ შინაგანაწესს.

ოფიცრებმა კარგად იციან პრობაციის სამსახურის როლი და მოვალეობები. არცერთ მათგანს არ შექმნია პრობლემა უფროსობის ან სხვა ძალოვანი უწყების მხრიდან სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებაში.

## **ურთიერთობა პრობაციონერებთან და მათდამი დამოკიდებულება**

ერთ პრობაციის ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ბოლო 2 წლის განმავლობაში. ამჟამად პრობაციის თითოეული ოფიცრის დაქვემდებარებაში მყოფი პრობაციონერების რიცხვი მერყეობს 50-დან 130-მდე. უმეტესობას ჰყავს საშუალოდ 70-90 პრობაციონერი. ოფიცერთა უმეტესობის განცხადებით, მათზე მიმაგრებული პრობაციონერების რიცხვი არ არის დიდი, მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იციან, რომ ევროპული სტანდარტებით მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 30-35 ადამიანს.

პრობაციონერებს პირველივე ვიზიტზე აცნობენ დოკუმენტს „ოქმი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობის შესახებ“. თავდაპირველად ხდება მისი ზეპირი სახით გაცნობა, შემდეგ კი უკვე ამ ოქმზე პრობაციონერს აწერინებენ ხელს. რესპონდენტები აქვე იმასაც დასძენენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, პრობაციონერები მექანიკურად აწერენ ხელს ამ ოქმს, ისე, რომ დეტალურად არც კითხულობენ, თუ შიგნით რა წერია. ასევე, იშვიათად მიაქვთ თან ამ ოქმის ასლი. არსებობს, ასევე, სპეციალური ბუკლეტები, სადაც აღწერილია პრობაციონერის უფლება-მოვალეობები და ისინი ხელმისაწვდომია პრობაციის ბიუროებში. რესპონდენტების განცხადებით, ყველა პრობაციონერს პირველივე შეხვედრაზე აძლევენ ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაციას (სახელი, გვარი, ტელეფონი) იმ შემთხვევისთვის, რომ, თუ პრობაციონერს რაიმე საკითხზე დარეკვა დაჭირდა, თავისუფლად შეძლოს ზარის განხორციელება თავის ოფიცერთან.

პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, კვლევის მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც არის მითითებული პრობაციონერის მხრიდან პრობაციის ოფიცრის აცილების პროცედურების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ, თუ სურვილი ექნა, პრობაციონერს შეუძლია, შეიცვალოს მისი პრობაციის ოფიცერი. ოფიცერთა განცხადებით, ასეთი კონფლიქტის შესახებ მათ არ სმენიათ.

კვლევის მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას საკმაოდ დადებითი და გულითადი დამოკიდებულება აქვს თავის დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერებთან. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ არანაირი საჩივარი ან პრეტენზია პრობაციონერის ან მათი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ოფიცერზე არ შემოსულა. რამდენიმე ოფიცერი აცხადებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად ახლო და თბილი ურთიერთობა ყალიბდება ოფიცერსა და პრობაციონერს შორის, რომ პრობაციის ვადის გასვლის შემდეგაც პრობაციონერი ურეკავს და ეკონტაქტება თავის ყოფილ ოფიცერს. რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ დანაშაულის ტიპი და სიმძიმე არ თამაშობს არანაირ როლს მათ დამოკიდებულებაში პრობაციონერისადმი.

პრობაციის ოფიცერთა თქმით, ნდობა განსაკუთრებით იზრდება, როდესაც გარკვეულ აქტივობებში, როგორცაა ექსკურსია, ფილმის ჩვენება, ლიტერატურული საღამო, პრობაციონერი და მისი ოფიცერი ერთად იღებენ მონაწილეობას. ასევე, განსაკუთრებული ურთიერთობა ყალიბდება მაშინ, როდესაც პრობაციის ოფიცერი პირადად მიყვება პრობაციონერს და ეხმარება ადგილზე საქმის მოგვარებაში.

რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები იდგმება პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით, ეს არ არის საკმარისი. მათი აზრით, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ ამ საკითხს ბოლომდე მისდოს.

რესპონდენტთა თქმით, განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა ამ მხრივ ბოლო წლის მანძილზე. სააგენტომ მიაღწინა ფსიქოლოგი ყველა ბიუროში, ფორმდება მემორანდუმები სხვადასხვა უწყებებთან, უფრო პერმანენტული ხასიათი მიიღო ტრენინგებმაც.

**დასკვნა:** ერთ ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ევროსტანდარტებით არის გათვალისწინებული. პრობაციონერს პირველივე ვიზიტზე აცნობენ უფლება-მოვალეობას - თავდაპირველად ზეპირად, შემდეგ კი შესაბამის საბუთზეც აწერინებენ ხელს. უმეტეს შემთხვევაში, ამ ოქმზე ხელმოწერა ხდება მექანიკურად, ისე, რომ პრობაციონერი არც კითხულობს, თუ რა წერია დოკუმენტში. ასევე, პრობაციონერები არ ითხოვენ ქსეროასლს თან წასაღებად. ყველა პრობაციონერს თავიდანვე ეძლევა თავისი ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია და შეუძლია, დაუკავშირდეს მას ნებისმიერ დროს.



პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში არ არსებობს დეტალურად გაწერილი პროცედურების ალგორითმი.

პრობაციის ოფიცრები საკმაოდ კეთილგანწყობილნი არიან თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი პრობაციონერების მიმართ. ოფიცრები არ განასხვავებენ პრობაციონერებს ჩადენილი დანაშაულის ტიპისა და სიმძიმის მიხედვით. კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობა უფრო ამყარებს ნდობას პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის.

ბოლო წლის მანძილზე გააქტიურდა მუშაობა პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით. მივლინებული იქნა ფსიქოლოგები ყველა ბიუროში, ფორმდება მემორანდუმები სხვადასხვა უწყებებთან, გაიზარდა ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები პრობაციონერთა რესოციალიზაციის კუთხით არ არის საკმარისი და ეს ნაკლოვანება, ძირითადად, უკავშირდება ფინანსების შეზღუდულობას.

### **პრობაციონერის რისკებისა და საჭიროებების კვლევა, დასაქმების შესაძლებლობა**

უფლება-მოვალეობების გაცნობისა და პრობაციონერთან პირველადი კონტაქტის დამყარების შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს პრობაციონერის საჭიროებებისა და რისკების შეფასება. ამის კვლევა შეიძლება დაიწყოს პირველივე შეხვედრაზე, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტთა თქმით, მათ ურჩევნიათ, რომ ამ საჭიროებების კვლევა და შესაბამისი კითხვარის შევსება მოხდეს თანმიმდევრულად, ეტაპობრივად, მსჯავრდებულის რამდენიმე ვიზიტის შემდეგ. ოფიცრების განმარტებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად გაიხსნება პრობაციონერი და რამდენად გულახდილი საუბარი ექნება თავის ოფიცერთან.

რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ ამ რისკების შეფასება მხოლოდ პრობაციის ოფიცრის კომპეტენციაა და შეფასება ხდება მათი გამოცდილებიდან გამომდინარე. ზოგიერთი რესპონდენტი აფიქსირებს, რომ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ იკრიბებიან ოფიცერი, ფსიქოლოგი და სოც. მუშაკი და ახდენენ საბოლოო დასკვნის გამოტანას რისკების დონის შესახებ.

პრობაციონერები ყველაზე ხშირად მიმართავენ პრობაციას დასაქმებაში ხელშეწყობის მოთხოვნით. ოფიცრებს მოჰყავთ მაგალითები, როდესაც დაუსაქმებიათ ან ხელი შეუწყვიათ პრობაციონერების დასაქმებისათვის, თუმცა დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის. ძირითადად საქმეებიან ისეთ სფეროებში, როგორცაა მშენებლობა, გზების დაგება, სამრეცხაო, ავტომანქანის სარემონტო სახელოსნო და ა.შ. მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ბიზნეს-სტრუქტურები ერიდებიან პრობაციონერების

დასაქმებას თავიანთ ორგანიზაციებში. ამას ისინი ხსნიან გაზრდილი კონკურენციით და ნასამართლევი პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმით.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც პრობაციონერებს სთავაზობენ დასაქმების შესაძლებლობას და ისინი უარს ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე საკმაოდ აქტიურად აქვთ გაცხადებული, რომ სურდათ დასაქმება.

**დასკვნა:** პრობაციონერის საჭიროებებისა და რისკების კვლევა იწყება პირველივე დღიდან და ხორციელდება თანმიმდევრულად, ეტაპობრივად. პრობაციონერის ოფიცერთან გახსნილობა და მის მიმართ ნდობა არის წამყვანი ფაქტორები რისკების და საჭიროებების ადეკვატური შეფასებისათვის. რისკების შეფასება ძირითადად პრობაციის ოფიცრის პერეოგატივას და ფსიქოლოგისა და სოც. მუშაკის ჩართვა ყოველთვის არ ხდება.

ყველაზე ხშირად პრობაციონერები ბიუროს მიმართავენ დასაქმების მოთხოვნით. არის შემთხვევები, როდესაც პრობაცია ეხმარება პრობაციონერს დასაქმებაში, თუმცა ეს ხშირად ვერ ხერხდება. ძირითადად საქმეებიან მშენებლობაზე და სამომსახურებო სფეროებში. ხშირად შეთავაზებულ სამსახურს პრობაციონერები თავილობენ და უარს ამბობენ დასაქმებაზე. აღსანიშნავია, რომ ხშირად პრობაციონერები თავიანთ ცოდნას და უნარებს არარეალურად აფასებენ. განსაკუთრებით გამწელებულია პრობაციონერთა დასაქმება კერძო და ბიზნეს-სტრუქტურებში, რაც, გარდა საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და უარყოფითი დამოკიდებულებისა ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერებისადმი, უკავშირდება ზოგადად ქვეყანაში არსებულ დასაქმების პრობლემას.

### **პრობაციის ბიუროს მიერ პრობაციონერებისათვის შეთავაზებული ტრენინგები, გადამზადების კურსები, სხვა სერვისები**

ოფიცრები ხშირად სთავაზობენ პრობაციონერებს სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას. კვლევის მონაწილეების თქმით, ტრენინგებში მონაწილეობის რაიმე კრიტერიუმი არ არსებობს. ოფიცრები თვითონ წყვეტენ, რომელმა პრობაციონერმა რომელ ტრენინგში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ძალზე იშვიათია, რომ თვითონ პრობაციონერმა მოითხოვოს რაიმე ტრენინგში მონაწილეობის მიღება. პრობაციონერები უფრო ინტერესდებიან ტრენინგებით, როდესაც მათ უხსნიან, რომ ეს შეიძლება დადებითად წაადგეს მათ საქმეს (ძირითადად რეჟიმის შემსუბუქების კუთხით).

ყველა სახის ტრენინგში პრობაციონერის მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, როგორც აცხადებს გამოკითხულთა უმეტესობა. თუმცა, ზოგიერთი მონაწილე ამბობს, რომ ტრენინგში მონაწილეობაზე სისტემატურად უარის მიღების შემთხვევაში, პრობაციონერს შეიძლება დაუმძიმონ რეჟიმი და კვირაში ერთხელ პრობაციაში

გამოცხადების ნაცვლად დაიბარონ კვირაში სამჯერ. ოფიცრების განმარტებით, კმაყოფილების რაიმე სახის კითხვარი ან მონიტორინგის მექანიზმი იმისა, თუ რამდენად კმაყოფილია პრობაციონერი გავლილი ტრენინგით ან გადამზადების კურსით, არ არსებობს.

ტრენინგების გარდა, პრობაციონერებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების კურსებს. არასრულწლოვანი პრობაციონერები უფრო აქტიურად ერთვებიან გადამზადების კურსებში, ვიდრე ზრდასრულები. მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ ზრდასრულ პრობაციონერებს არ სურთ, რამდენიმე თვე გაიღონ და დაესწრონ პროფესიული გადამზადების კურსებს. ზოგ მათგანს, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების მქონეებს, ეხამუშებათ და უკადრისობენ პროფესიული გადამზადების კურსებში მონაწილეობას.

ინფორმაციას ტრენინგებზე და გადამზადების კურსებზე პრობაციის ოფიცრები იღებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციიდან, დასაქმების სააგენტოსგან, რომელთანაც პრობაციის ბიუროს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, ასევე, იყენებენ პირად სანაცნობო წრეს. კურსების ან ორგანიზაციების რაიმე სახის ჩამონათვალი ან სია, როგორც ოფიცრების უმეტესობა აცხადებს, არ არსებობს. მონაწილეებს უჭირთ, დაასახელონ კონკრეტული ორგანიზაციები, რომლებიც ტრენინგების ან სხვა რაიმე სერვისების კუთხით დახმარებას სთავაზობენ პრობაციონერებს. მონაწილეთა ნაწილი მაინც ახერხებს, დაასახელოს რამდენიმე ორგანიზაცია და ის სერვისები, რომლებსაც ისინი პრობაციონერებს სთავაზობენ. ზოგიერთ ბიუროში ხელმისაწვდომია ცალკეული ორგანიზაციების ბუკლეტები, რომლებიც თვით ამ ორგანიზაციებს მოაქვთ. იურიდიულ და სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნის რიცხვი გაცილებით გაიზარდა ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ოფიცრები აწვდიან სპეციალურ ბუკლეტებს იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ პრობაციონერებს და ყოფილ პატიმრებს.

მონაწილეების თქმით, ისევე, როგორც დასაქმების შემთხვევაში, ტრენინგებისა და სპეციალური კურსების მოძიებაც არ შედის პრობაციის ოფიცრის პირდაპირ მოვალეობაში. ეს მათ არცერთ დოკუმენტში არ უწერიათ, როგორც ვალდებულება და მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომ იარონ და ეძებონ მათთვის სამსახური. ასეთ თემებზე უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნიათ სოც. მუშაკებს.

**დასკვნა:** პრობაციის ოფიცრები უმეტესწილად თვითონ წყვეტენ, რომელმა პრობაციონერმა რომელ ტრენინგში მიიღოს მონაწილეობა. ინიციატივა ან მოთხოვნა ტრენინგებზე პრობაციონერების მხრიდან არ მოდის. მათი ტრენინგებზე მონაწილეობის ძირითადი მოტივატორი არის რეჟიმის (ბიუროში გამოცხადების სიხშირის) შერბილება. ტრენინგებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თუმცა სისტემატურად უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლებელია, ოფიცრმა უფროსობასთან შეთანხმებით გარკვეული სანქცია დააკისროს პრობაციონერს (მაგ., რეჟიმის დამძიმება).

პროფესიული გადამზადების კურსებზე უფრო ენთუზიაზმით ერთვებიან არასრულწლოვნები. ზრდასრულ პრობაციონერებს არ სურთ, დრო დახარჯონ რამდენიმეთვიან სწავლებაში. ზოგ მათგანს, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მქონეებს, ეთაკილებათ ასეთ კურსებში მონაწილეობის მიღება.

პრობაციის ყველა ოფიცერს არ აქვს სრული ნუსხა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც გარკვეულ სერვისებს სთავაზობენ პრობაციონერებს, თუმცა არსებობის შემთხვევაში ოფიცრები სთავაზობენ სპეციალურ ბუკლეტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრობაციონერებს სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობის თაობაზე. იურიდიულ და სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნის რიცხვი გაცილებით გაიზარდა ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ოფიცრები აწვდიან სპეციალურ ბუკლეტებს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ პრობაციონერებს და ყოფილ პატიმრებს. დასაქმების ან სპეციალური სწავლების მოძიება არ შედის ოფიცრის პირდაპირ მოვალეობაში. უმეტესად ოფიცრები ამ საქმიანობას ეწევიან მათი კეთილი ნებიდან და პრობაციონერებისადმი ემპათიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

## ნაწილი II (პრობაციონერები)

### სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

#### ა) ძირითადი ინფორმაცია

კვლევის მონაწილეთა ასაკი მერყეობს 20-დან 51 წლამდე. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა 40 წლამდე ასაკისაა. რესპონდენტთა უმეტესობა არის დაოჯახებული. მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი, ძირითადად, ახალგაზრდა ასაკის, არის დასაოჯახებელი. რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ არის მეუღლესთან გაშორებული.

კვლევის მონაწილეთა ნახევარზე ოდნავ მეტი არის საშუალო განათლების მქონე (9 წელი ან სრული 12 წელი). დანარჩენები არიან უმაღლესი განათლებით. უმაღლესი განათლების მქონენი ასახელებენ შემდეგ პროფესიებს: არქიტექტორი, იურისტი, აგრონომი, პოლიტოლოგი და სხვ.

კვლევის მონაწილეთა უმეტესობისათვის აღნიშნული სასჯელი არის პირველი ნასამართლეობა:

*„-: პირველი ნასამართლეობაა და ღმერთს ვეხვეწები, სასწაული მოხდეს და შეიცვალოს რაღაც და მეშველოს, მე ასე წელი ამის განმეორებელი აღარა ვარ და...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 16-18).*

მონაწილეთა დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ ეს არის მათთვის ხელმეორე სასჯელი და ადრეც ჰქონიათ ნასამართლეობა ციხის ან პირობითი სასჯელის სახით:

*„-: 2007 წლიდან სულ დავდივარ პრობაციაში, წინაზე ამნისტია შემეხო, მომიხსნეს და ორ კვირაში ისევ დამიჭირეს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 21-22).*

მონაწილეთა პირობითი სასჯელის ვადა, რასაც ისინი იხდიან ინტერვიუს ჩატარების მომენტისათვის, მერყეობს 3 თვიდან 4 წლამდე. უმეტეს შემთხვევაში ეს ვადა მერყეობს 4 თვიდან 1 წლამდე.

#### ბ) საცხოვრებელი პირობები, დამოკიდებულება ოჯახთან

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად. უმეტესობა საცხოვრებელს იყოფს ცოლ-შვილთან და მშობლებთან:

*„ +: ამდენი ადამიანი ცხოვრობს კიდე თქვენთან ერთად ამ სახლში?“*

*-: მე, მამაჩემი, ცოლ-შვილი და მამიდა.....დედა და ძმა საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ.“  
(ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 30-33).*

კვლევის მონაწილეების საცხოვრებელი ფართობი სხვადასხვაა და მერყეობს 40 კვადრატული მეტრიდან 700 კვადრატულ მეტრამდე. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული საცხოვრებელი ფართები არის მათი საკუთრება. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქირაობენ ან დაგირავებული აქვთ ბინა.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობის საკითხის შესახებ მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აქვთ კარგი და თბილი დამოკიდებულება ოჯახის თითოეულ წევრთან. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აქვს დაძაბული ურთიერთობა ოჯახის რომელიმე წევრთან. ყველა შემთხვევაში გართულებული ურთიერთობის მიზეზად მონაწილეები ასახელებენ მათ მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას:

*„+: როგორი ურთიერთობები გაქვს ოჯახის წევრებთან?*

*-: ჩემ დასთან ცუდი.*

*+: მიზეზი?*

*-: რა იქნება? [მისი ნარკომომხმარებლობა], იმდენი სისულელე ვაკეთე, რომ...(თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 53-56).*

კვლევაში მონაწილე პრობაციონერთა უმეტესობა ამბობს, რომ ოჯახის წევრების გარდა ისინი აქტიურად ეკონტაქტებიან ნათესავებს და მეგობრებს. უმრავლესობა აცხადებს, რომ შეინარჩუნეს მეგობრებთან ნორმალური ურთიერთობა, განსაკუთრებით, ბავშვობის მეგობრებთან. მხოლოდ რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ მეგობრების ნაწილმა ზურგი აქცია და აღარ აქვთ მათთან ურთიერთობა:

*„-: რა არის, იცით, ძალიან ახლოს ვისთანაც ვიყავი და ძმობას მეფიცებოდა, აი, იმ ავარიის დროს ყველამ ზურგი შემაქცია, ხო იცი, ფულზეა ყველაფერი დამოკიდებული. მე ციხეში ვიქნებოდი ახლა, ფული ჩემ ოჯახს რომ არ ეშოვა, ვისი იმედიც მქონდა, ზუსტად იმათმა შემაქციეს ზურგი“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 58-61).*

### **გ) დასაქმება, შემოსავალი**

კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ინტერვიუების ჩაწერის მომენტისათვის დაუსაქმებელია. ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში. ასახელებენ ბენზინგასამართ სადგურს, ავტოსამრეცხაოს, მაღაზიას, მშენებლობას, თხილის პლანტაციას. არცერთი მათგანი არ არის დასაქმებული საჯარო სტრუქტურებში. კერძო სექტორში დასაქმებაც ძირითადად უკავშირდება ახლო ნათესავების ხელშეწყობას და მხარში დგომას:

*„+: სად მუშაობთ?*

-: *მაღაზიაში, მამიდაჩემს აქვს მაღაზია და იქ ვეხმარები“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 42-43).*

„-: *რადგანაც პრობაციონერი ვარ, საჯარო სამსახურში მუშაობას ვერ ვიწყებ, აკრძალვა მაქვს სახელმწიფო სტრუქტურებში და თანამდებობაზე მუშაობის...“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 34-36).*

რამდენიმე რესპონდენტი პირობით სასჯელამდე მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურაში, როგორცაა დაცვის პოლიცია, ფოსტა, ჯარი. ორი რესპონდენტი წარსულში ნამსახურებია ჯარში, ავღანეთის მისიაში. ნაწილი რესპონდენტებისა ამჟამინდელ დაუსაქმებლობას უკავშირებს არსებულ პირობით სასჯელს. ძირითად მიზეზად სახელდება მართვის მოწმობის ჩამორთმევა:

„+ : *ასაქმებული პირობით სასჯელამდე იყავით?*

-: *კი, ფოსტაში ვმუშაობდი კურიერად.*

+ : *ახლა რატომ არ მუშაობთ?*

-: *ახლა მართვის უფლება აღარ მაქვს, 3 წელი მაქვს ლიშენი.*

+ : *თვენი დაუსაქმებლობა თქვენს ნასამართლეობას უკავშირდება?*

-: *ხო რა, ასე გამოდის“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 67-72).*

„-: *ეხლაც არის, მაგალითად [დასაქმების ვარიანტი], მაგრამ ვერ ვიწყებ, იმიტომ, რომ მართვის მოწმობა არ მაქვს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 17).*

„-: *საჯაროში კი არა, ისე სამსახურშიც არ გიღებენ, თუ ძმაკაცი და ბიძაშვილი არა გყავს. ფაქტიურად სამსახურს ვერ შოულობ რა, ვისაც რაღაცეები აქვს ნაკეთები და ნასამართლევია არ არის, ის ვერ შოულობს.“ თბ4, 137-139).*

დაუსაქმებელ რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ ფიზიკური დატვირთვით ვერ იმუშავენ. ზოგი ამის მიზეზად ასახელებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზოგიც კი უმაღლეს განათლებას და პოტენციურად მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის შანსს:

„-: *.... მშენებლობაზე და იმაზე ნამდვილად ვერ ვიმუშავე.*

+ : *ვტოსამრეცხაოზე, მაგალითად?*

-: *წელის პრობლემა მაქვს მალეების და ვერ ვიმუშავე“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 80-83).*

აღსანიშნავია, რომ დაუსაქმებელ რესპონდენტთა უმეტესობა თავიანთ უმუშევრობას არ უკავშირებს პირობითი სასჯელის ქონას:

„+ : *ქვენი სამუშაოს ვერ მოძებნა ხომ არ უკავშირდება იმას, რომ თქვენ პირობითი სასჯელი გაქვთ?*

- (რ.5): არა.. არანაირად.. (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 162-164).

რესპონდენტთა ოჯახების შემოსავალი მერყეობს 300-დან 1500 ლარამდე, თუმცა, უმრავლესობის შემოსავალი 500 ლარს არ აღემატება. ის რესპონდენტები, რომლებიც დაუსაქმებლები არიან, დახმარებას იღებენ ოჯახის სხვა წევრებისგან, რომლებსაც აქვთ სამსახური ან პენსია. რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ დახმარებას იღებს საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის წევრისაგან:

„+: ეგიძლიათ მიპასუხოთ, თუ რამდენია თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი?

- (რ.1): 500 ლარამდე.

- (რ.2): მეც მასე“ (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 182-185).

„-: მამაჩემის ზუსტად 373 ლარი, მამიდაჩემის - 295 ლარი. მე ვიღებ ბანკომატზე და ამიტომ ვიცი ასე ზუსტად (იცინის)“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 72-73).

„-: კი, დედა არის საზღვარგარეთ, მუშაობს“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #1, 98)

კითხვაზე ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ის რესპონდენტები, რომლებიც დასაქმებული არიან, ამბობენ, რომ უმეტეს დროს ატარებენ სამსახურში და შემდეგ ოჯახში. ნაწილი უმუშევარი პრობაციონერებისა, ასევე, ამბობს, რომ ოჯახურ საქმეებში ეხმარებიან თავიანთ ოჯახის წევრებს (ბავშვების აღზრდა, ნაკვეთის დამუშავება და სხვ). რესპონდენტთა მცირე ნაწილი აცხადებს, რომ თავისუფალი დრო ბევრი აქვთ და რაიმე კონკრეტულ საქმიანობაზე არ ხარჯავენ:

„+: ოგვიყვით თქვენი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ? რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

-: ჰმმმმ.. (იცინის) ვერთობი... საუბრითა და კარტის თამაშით მეგობრებში, ასე გამყავს დრო“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 108-111).

## დ) ჯანმრთელობის საკითხები და ქიმიურ ნივთიერებზე დამოკიდებულება

ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არიან ჯანმრთელები და სამედიცინო დაწესებულებებისათვის არ მიუმართავთ. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი აღნიშნავს სხვადასხვა სახის სამედიცინო პრობლემას. რამდენიმე პრობაციონერს გადატანილი აქვს ტუბერკულოზი. ერთ შემთხვევაში მკურნალობა არ არის მიყვანილი ბოლომდე:

„-: ...რთულად, როგორც ეგენი მეუბნებოდნენ, წამლებს რომ ვსვამდი, კვდებოდი ბოლოს, მთაში ვიყავი ექიმბაშთან ვიმკურნალე და მშვენივრად. ანალიზებს ვიკეთებ, ეხლა აღარ მივსულვარ კაი ხანია“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 76-77).



რამდენიმე პრობაციონერი ამბობს, რომ დაუდგინდათ ვირუსული ჰეპატიტი C, ასევე, სახელდება ქრონიკული პროსტატიტი, ძვლის მოტეხილობა, რბილი ქსოვილების ინფექცია, ხერხემლის პრობლემა და სხვ. სამედიცინო პრობლემების მქონე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოუგვარებელი აქვთ ეს პრობლემები, რისი მიზეზიც არის უსახსრობა:

„-: ლავიჩის ძვალი მაქვს საოპერაციო, ავარიის შემდეგ დამრჩა ასე და ფული უნდა რა ოპერაციას და ვერ ვიკეთებ, გამოყოფილი აქვს თავი ძვალს და სახსარიც მაწუხებს თითის და ვერ ვხრი თითს და ეგეც სანახავია, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მივდივარ ვერსად“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 87-90).

„- (რ.4): მე კიდევ ჰეპატიტი მაქვს და როგორ ვიმჯურნალო? ციხეზე მკურნალობა მაინც არის უფასოდ...“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 59-60)

რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი აღნიშნავს წარსულში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. მათი უმრავლესობის პირობითი სასჯელიც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას უკავშირდება. მოხმარებულ ნარკოტიკებს შორის სახელდება: მარიხუანა, „კრაკადილი“, სუბუტექსი და სხვ:

„+ : ...რა სახის ნივთიერებებს მოიხმარდით?

-: რა ვიცი, ყველანაირი, მაგრამ იყო ის უბედურებაც, „კრაკადილი““ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 60-61).

რამდენიმე რესპონდენტს ნარკოტიკის მოხმარების გამო წარსულშიც ჰქონია ადმინისტრაციული ჯარიმები:

„-: კი, ჯარიმები მქონია, პირველიც გადავიხადე, მერე მეორე და ეხლა აღარ გადამახდევინებს და მომცეს პირობითი“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 84-85).

### **პრობაციის სამსახურთან ურთიერთობის გამოცდილება**

რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ იცის პრობაციის სამსახურის დანიშნულება. მათი აზრით, პრობაციის სამსახურს ევალება პრობაციონერებზე ზედამხედველობა, რჩევების მიცემა ბიუროში დარეგისტრირებასთან, საზღვრის გადაკვეთასთან და ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე, შეძლებისამებრ, პრობაციონერის დახმარება მისი საჭიროებიდან გამომდინარე და „სწორ გზაზე“ დაყენება:

„-: რაც მე შეეხებდა და გამოვიტანე აზრი, მაგალითად, ვინც ცუდ აზრზეა, მაქსიმალურად ცდილობენ, რომ სწორ გზაზე დააყენონ, კარგისკენ გაახედონ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 99-100).

„- (რ.7): პრობაციის სამსახურის ვალია, რომ დაგვაყენოს სწორ გზაზე, სწორი რჩევები მოგვცეს, ცდილობენ, რომ ადამიანები გამოიყვანონ ცუდი მდგომარეობიდან“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 240-241).

„- : პრობაციის სამსახურის ფუნქციები ჩვენს შემთხვევაში ის არის, რო საზღვარი არ უნდა გადაკვეთო, რამე არ უნდა დააშაო და ამათი მიზანი არის, რო გამოგვასწორონ. ერთხელ რო დავაშავე, მაგალითად მე, უნდა მოვინანიო, ვინანიებ კიდევაც და მეორედ აღარ უნდა ჩავიდინო დანაშაული“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 103-106).

რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ პრობაციის სამსახურის დანიშნულებაა მხოლოდ პრობაციონერის ბიუროში მისვლის დაფიქსირება და ამ პროცესის კონტროლი:

„-: ჩვენ რომ გაგვაკონტროლო, მივდივართ იქა და ვფიქსირდებით“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 100).

რესპონდენტთა მცირე ნაწილს უჭირს, ჩამოაყალიბოს პრობაციის სამსახურის დანიშნულება და ამბობს, რომ კარგად ვერ ერკვევა:

„-: აი, მაგას დღემდე ვერ მივხვდი, რა არის მათი დანიშნულება, უბრალოდ უნდა მიხვიდე, თითი დაადო და მოდიხარ,“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 89-90).

„-: ბევრი არ ვიცი, მისი მოვალეობა რა არის, რაც შეეხება აღრიცხვას, დაავიანებ, მაშინვე ჯარიმა არის, ამ დარგში კარგად მუშაობენ“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 90-91).

რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ პრობაციის სამსახური ჯარიმების გამოწერით არის დაკავებული და ეს არის მათი დანიშნულება:

„+ : თქვენი აზრით, რა ფუნქცია აქვს პრობაციის სამსახურს?

-(რ.4): ფულის კეთების ადგილია, მეტი არაფერი...

+ : ონკრეტულად რას გულისხმობთ?

-(რ.6): ყველაფერში ჯარიმაა: დროზე არ მიხვდი - 100 ლარი, ნარკოტეკტზე დადებითი ამოვიგდო - 5000 ლარი..“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 35-40).

რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ პრობაციის სამსახური წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს და მოჰყავთ ამის კონკრეტული მაგალითები:

„-: კი, რა ვიცი, რაც ევალებათ, იმას აკეთებენ, ალბათ, ზოგიერთებს ასაქმებენ, ეხლა მე არ მჭირდება იმათი დასაქმება, მაგრამ ფოთში დაასაქმეს სამი კაცი, სამსახურები უშოვეს, ერთი საგზაო სამუშაოებზე მუშაობს...რა ვიცი, ალბათ, რაც შეუძლიათ, იმას აკეთებენ, იმათ რა, რასაც ავალებენ, იმას გააკეთებენ ზევიდან“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 97-100).

„-: კი ბატონო, რასაც ვხედავ ყველაფერი, რეგისტრაციის დღიდან, პრობლემა თუ მექნება, მივალ ჩემს ოფიცერთან. რეგისტრაციის გოგონები, როგორც მივალ, მაშინვე მემსახურებიან, რომ არ დამაყოვნონ, კარგი გარემოა, კულტურული ატმოსფერო“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 109-112).

რამდენიმე რესპონდენტი გამოთქვამს სკეპტიციზმს პრობაციის სამსახურის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. მათი თქმით, მათ დიდად არ სჯერათ, რომ პრობაციის სამსახურს შეუძლია ადამიანის გამოსწორება:

„-: პრობაციამ რა უნდა დააყენოს პრობაციონერი სწორ გზაზე, არ მჯერა მე მაგნიარების.  
+ : ანუ, თქვენი აზრით პრობაცია ვერავის ვერ დაეხმარება?  
- : ხო რა, მასეა“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 148-150).

პრობაციონერთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ სამსახურის გაუმჯობესების კუთხით შეცვლიდნენ ბიუროში პრობაციონერის გამოცხადების სიხშირეს. მათი აზრით, კვირაში ერთხელ გამოცხადება არის მეტად მოუხერხებელი, რადგანაც ეს დაკავშირებულია ხარჯებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი დადის სოფლიდან ან რაიონული ცენტრისგან მოშორებული დასახლებული პუნქტიდან. ის პრობაციონერები, რომლებიც დასაქმებული არიან, აცხადებენ, რომ ყოველკვირეული გამოცხადება ბიუროში კონფლიქტში მოდის მათ სამუშაო გრაფიკთან:

„- (რ.2): იცით, კი, ვივლი კვირაში ერთხელ, მაგრამ ტრანსპორტირება მაინც უზრუნველყონ, შორს ვცხოვრობ და ძნელია ყოველთვის გზის ფული იშოვო.. (დანარჩენები თავს აქნევენ დასტურის ნიშნად)“ (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 68-70).

„-: უკეთესი იქნებოდა, თვეში 1-ჯერ რომ იყოს მისვლა, მაგალითად..“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 414).

„-: სოფლიდან ფეხით მოვდივარ, თოვლი რომ იყო, ფეხით მოვედი აქამდე, როგორია ეხლა, ადგე და სოფლიდან ქალაქში ფეხით...მე უფრო ეს მიჭირს, ფეხით სიარული“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 149-152).

პრობაციონერთა უმრავლესობა აცხადებს, რომ გათვიცნობიერებულები არიან თავიანთ უფლება-მოვალეობებში. ისინი აცხადებენ, რომ მთავარია, არაფერი დაამავონ,

კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინონ, მოერიდონ ჩხუბს და გაუგებრობებს და, რაც მთავარია, დროულად მივიდნენ და დაფიქსირდნენ პრობაციის ბიუროში:

„-: არაფერი არ უნდა დავაშავო რა, კანონის საწინააღმდეგოდ არაფერი არ უნდა გააკეთო, კვირაში ერთხელ უნდა ვიარო და დავფიქსირდე“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 136-137).

„-: აქ რომ მოვიდე და თითი დავაჭირო, დავაფიქსირო, რომელ დღეს და რომელ საათზე მოვედი“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 91-92).

კითხვაზე, თუ როდის და ვინ გააცნო პრობაციონერებს მათი უფლება-მოვალეობები, რესპონდენტების უმრავლესობა პასუხობს, რომ ამ უფლება-მოვალეობების გაცნობა მოხდა მათი პრობაციის ოფიცრის მიერ შეხვედრის პირველსავე დღეს. პრობაციის ოფიცერი, როგორც წესი, ზეპირად განუმარტავს პრობაციონერს უფლება-მოვალეობებს, შემდეგ დოკუმენტზე ხელს აწერინებს. რიგ შემთხვევაში პრობაციონერს მიაქვს/ატანენ სპეციალურ დაბეჭდილ ბუკლეტს, სადაც მისი უფლება-მოვალეობებია გაწერილი:

„+: აიდან გაქვთ ინფორმაცია თქვენი მოვალეობების შესახებ?

-: მითხრეს და წერილობითაც გავეცანი.

+: ანუ არსებობს სპეციალური დოკუმენტი?

-: კი. ერთი სახლში მაქვს, გამომატანეს, სადაც წერია ამის შესახებ“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 110-113).

„-: საიდან და იქ რომ მოვედი პირველად, ხომ ამიხსნეს, მერე იქ გარეთ, რომ შემოდიხარ, ბუკლეტებია ჩაწყობილი, იქ წერია“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 121-122).

რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი აცხადებს, რომ წერილობითაც გააცნეს მათი უფლებები, რაზეც ხელიც მოაწერეს. რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ ამ დოკუმენტის ქსეროასლიც გაატანეს. რამდენიმე რესპონდენტი აღიარებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ხელიც მოაწერეს და ასლიც წაიღეს სახლში, ერთხელაც არ წაუკითხავთ ეს დოკუმენტი:

„-: კი, სულ თავიდან რომ მივედი პრობაციაში, გამეცნო ჩემი ოფიცერი, გამესაუბრა და ეს დოკუმენტიც გამაცნო, სადაც ჩემი მოვალეობები და უფლებები წერია და თან მითხრა, რომ კარგად გადაიკითხე და მერე მოაწერე ხელიო და ეს რომ არ ეთქვა, მე ისედაც აღარავის აღარ ვენდობი და ისედაც კარგად წავიკითხავდი, რა ვიცი, რაზე მაწერინებს ხელს“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 125-129).

„+: ხელი მოაწერეთ მასზე?

-: კი, ხელიც მოვაწერე, სიტყვიერად ამიხსნეს კიდევაც, ასე, ასე, ასეო, რჩევა-დარიგებებიც მომცეს სიტყვიერად, ამომიბეჭდეს კიდევაც ქსეროქსზე და გამატანეს“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 134-136).

„-: არ ვიცი, რაღაც დოკუმენტი გამატანეს, მაგრამ არ ვიცი, რა იყო.

+: ანუ თქვენ არ წაგიკითხავთ ეს დოკუმენტი?

:- არა“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 138-140).

რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ მათ გააცნეს თავისი უფლება-მოვალეობანი და ხელიც მოაწერეს შესაბამის საბუთს, მაგრამ კარგად ვერ გაიგეს, რადგან მათი თქმით, მაღალფარდოვანი სიტყვებით მიაწოდეს ეს ინფორმაცია:

„+: და რაზე მოაწერეთ ხელი, იცით?

:- აუ, მაგდენი არ ვიცი...(იცინის)

+: არ გაგაცნოთ ოფიცერმა დოკუმენტი?

:- კი გამაცნო, მაგრამ მაღალფარდოვან სიტყვებში ცოტა ვერ ვერკვევი კარგად (იცინის)“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 262-265).

რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ მათი უფლება-მოვალეობების გაცნობის შემდეგ ხელი არაფერზე მოუწერიათ და არც ქსეროასლი არ გაუტანებიათ სახლში:

„+: ოდის გაგაცნეს ეს დოკუმენტი?

:- მისვლისთანავე, პირველივე დღეს.

+: ხელი მოაწერეთ ამ დოკუმენტს გაცნობის შემდეგ?

:- არავითარი“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 121-132).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ამბობს, გააცნეს მათ თუ არა საკუთრივ პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობანი. ასევე, ვერ იხსენებენ, წერია თუ არა რაიმე დოკუმენტში, რაზეც ხელი მოუწერიათ პრობაციის ბიუროში, ოფიცრის პასუხისმგებლობების შესახებ:

„+: პრობაციის ოფიცერმა გაგაცნო შენი მოვალეობების შესახებ და თუ მოგაწოდა ინფორმაცია თავის უფლება-მოვალეობების შესახებ?

:- არაფერი, არა. მე მგონი, მითხრა, თუ დახმარება რამეში დაგჭირდა, მითხარიო“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 52-54).

პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საკითხებზე საუბრისას რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ პრობაციის სამსახური ზრუნავს მათზე და საკმარისს აკეთებს ამ კუთხით:

„- (რ.1): ნუ, აი, ჩემს შემთხვევაში, როცა მივდივარ პრობაციაში, მუდმივად შევყავარ ჩემ ოფიცერს ფსიქოლოგთან და ის მეუბნება, რომ მუდმივად მინდა ვიცოდე შენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და კაია რა, ასე რო ზრუნავენ ჩვენზე“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 441-446).

„- (რ.5): კი, აი მე, მაგალითად, ფსიქოლოგიურად მან ცუდად ვიყავი დაავადებული, ვერ ვცნობდი ხალხს და წამიყვანენ, მიმკურნალეს და ის როა, ჯისიართი, ორგანიზაცია, აი მაგენიც იყვნენ ჩართული და თავის მანქანით მივყავდი და მოვყავდი და კი მიმკურნალეს, ნუ ახლა მთლად ისე აღარ ვარ, ბევრად უკეთესად ვარ“ (ბათუმი, ჩაღმავებული ინტერვიუ #2).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დიდ ნაწილს უჭირს ამ თემაზე საუბარი: არ გააჩნიათ ინფორმაცია ან არასდროს უფიქრიათ ამ თემაზე:

„+ : რას მეტყობდით, საკმარისია ის, რაც დღეს კეთდება პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით?

-: არ ვიცი, რა გითხრათ, მე არ ვიცი, რა კეთდება, ერთი ის ვიცი, აქ რომ ვარ მოსასვლელი ყოველ კვირაში“ (ზუგდიდი, ჩაღმავებული ინტერვიუ # 1, 95-98).

„+ : თქვენი აზრით საკმარისი აქცენტი კეთდება პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით?

(დუმს).

+ : რისი გაუმჯობესება შეიძლება ამ კუთხით?

(სდუმს)“: (ქ1, 133-137).

ხშირ შემთხვევაში რესპონდენტები ფსიქოსოციალურ საკითხებს აიგივებენ თავიანთ რეჟიმთან, და ამ სფეროს გაუმჯობესების გზებზე საუბრისას აქცენტს აკეთებენ პრობაციაში გამოცხადების წესთან და ვადების შემცირებასთან:

„- : აი, გამიგია, რომ ასაქმებენ პრობაციონერებს, ჯანმრთელობის მხრივ ეხმარებიან, ასევე ეხმარებიან ვადის შემცირებაზე, აი მე, მაგალითად, შემპირდა ოფიცერი, თუ ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მითითებულია კანონით, შეიძლება შემიმცირონ ვადა, ანუ გამინახევრდეს ვადა“ (ქუთაისი, ჩაღმავებული ინტერვიუ # 4, 128-131).

რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაინერგებოდა ინდივიდუალური მიდგომა პრობაციონერთან. მათი თქმით, ყველა პრობაციონერთან ერთნაირი მუშაობა არ უნდა წარმოებდეს. ისინი, ვინც ნაკლები სიმძიმის დანაშაულზე იხდიან სასჯელს და ისინი, ვისთვისაც ეს სასჯელი პირველია, სხვანაირ (უფრო ლმობიერ) მიდგომას საჭიროებენ:

„- : აი, რაღაც ჯგუფივით რომ იყოს, ხალხს გაესაუბროს, იმის წარსულიც გაიგონ, რომ ის ნამდვილად ნორმალური პიროვნებაა, პატიოსანია...იქ ისეთ სახეებს ვუყურებ, ისეთ ნაპირლებს, ბოდიში ამ სიტყვაზე... ზოგი ისეთია, შეგეცოდება, საწყლად მოდიან, ადებენ ხელს და მიდიან... ყველა ხომ ერთ ქვაბში არ უნდა მოიხარშოს, ამას გამოვასწორებდი მე პირადად, გამოვარჩევდი, ვისაც ოჯახები ყავთ, შვილი და ვინც მათზე ზრუნავს...“ (თბილისი, ჩაღმავებული ინტერვიუ # 1, 136-141).

პრობაციონერთა უმეტესობას უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა პასუხისმგებლობა ენიჭება სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საქმეში. მათი უმრავლესობა შემოიფარგლება ზოგადი და ზედაპირული პასუხებით იმის შესახებ, რომ რაც მეტს გააკეთებს სახელმწიფო, მით უკეთესი იქნება:

„+ : როგორ ფიქრობ, სახელმწიფოს რაიმე პასუხისმგებლობა ეკისრება პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სფეროში?

- : თუ რამეს ეკისრება სახელმწიფო, უარს არ ვეტყვი (ივინის).

+ : სამოქალაქო საზოგადოებას აქვს რაიმე პასუხისმგებლობა?

(დუმს)

- : არ ვიცი, რა გიპასუხობ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 146-152).

„- : ...ასი პროცენტით თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოასწორონ და ჩააყენონ ცხოვრების სწორ ფერხულში“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 144-146).

პრობაციონერთა დიდი ნაწილი მოითხოვს საზოგადოებისაგან, რომ მოეპყრონ არა როგორც კრიმინალს და არ გამოხატონ პრობაციონერების ან ყოფილი პატიმრების მიმართ აგრესია ან დამაცირებელი დამოკიდებულება. ნაწილი რესპონდენტების ამბობს, რომ უჭირთ საზოგადოებაში ინტეგრირება და თვითონაც ერიდებიან ხალხმრავალ ადგილებს:

„- (რ.4): მოგვერიდონ, იმიტომ რომ ძან ადვილად შემიძლია ავფეთქდე და დავაზიანო. ამიტომ მეც ვერიდები თავშეყრის ადგილებს.

- (რ.9): არანაირი აგრესია ჩვენ არ გვაქვს, ნურც ნურავინ გამოხატავს ჩვენს მიმართ, გვედრებით და არაფერიც არ დაემართება“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 460-463).

„- : დიახ, მიუდგნენ, როგორც ადამიანს და არა როგორც კრიმინალს და არა საზოგადოებიდან მოკვეთოს“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 259-260).

კვლევის აბსოლუტურად ყველა მონაწილე უარყოფს პრობაციის სამსახურის ან ძალოვანი სტრუქტურის რომელიმე წარმომადგენლის მხრიდან ზეწოლის ან შანტაჟის ფაქტის არსებობას:

„+ : ხომ არ გქონია პრობაციის ოფიცრისგან ან სხვა თანამშრომლისგან შევიწროვება რაიმე ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით ან შანტაჟის მომენტი ხომ არ ყოფილა?

- : არა, არასოდეს, მაგ მხრივ არავის არ შევუწუხებია“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 205-208).

„+ : თუ ქონია ადგილი უხეშ მოპყრობას, ინფორმაციის გამომალვის ან სხვა მიზნით?

-: არა, არანაირი არ ყოფილა. ოფიცერთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ასე რომ... (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 163-165).

### **პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის გამოცდილება**

ყველა რესპონდენტი აცხადებს, რომ ჰყავს თავისი პირადი ოფიცერი პრობაციის ბიუროში. ყველა მათგანმა იცის თავისი ოფიცრის სახელი და ტელეფონის ნომერი. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტს გაუჭირდა საკუთარი ოფიცრის გვარის გახსენება. რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ თავიანთ პირად ოფიცერთან აქვთ კარგი და, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ თბილი დამოკიდებულება:

„- (რ.6): ძალიან ყურადღებიანი არიან. მე ვერ ვგრძნობ, რომ ვარ მსჯავრდებული. თუნდაც მომართვის ფორმა, თუ გინდ ტელეფონზე დარეკვის ფორმა... ძალიან ყურადღებიანი და რაღაც კარგი დამოკიდებულება აქვთ...“ (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 284-286).

„-: ჩემი ოფიცერი ნამდვილად კარგია ადამიანია, ბრწყინვალე, კარგი პიროვნებაა, ღმერთმა გაუმარჯოს...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 56-57).

„+: იცით მისი ვინაობა (სახელი და გვარი)?“

-: კი და გვარი არ ვიცი, კარგი პიროვნებაა და ნორმალური ურთიერთობა მაქვს...“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 137-138).

პრობაციონერთა უმეტესობა აცხადებს, რომ ხვდებიან თავის ოფიცერს პრობაციაში თავიანთი გამოცხადების გრაფიკიდან გამომდინარე. უმეტესობა ცხადდება პრობაციაში კვირაში ერთხელ და, შესაბამისად, ხვდება კიდევაც თავის ოფიცერს. ნაწილი რესპონდენტებისა ამბობს, რომ ყოველ ჯერზე პრობაციაში მისვლისას არ არის აუცილებელი საკუთარი ოფიცრის ნახვა, თუ რაიმე კონკრეტული საქმე არ აქვთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ დაფიქსირდნენ თითის ანაბეჭდით და არ მოინახულონ პრობაციის პირადი ოფიცერი. თუმცა, თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პრობაციონერს სურდა თავის ოფიცერთან დაკავშირება და ეს ვერ მოახერხა:

„- (რ.9): ყოველ შემთხვევაში იმნაირი შემთხვევა არ ყოფილა, ოფიცერის ნახვა მინდოდეს და ვერ ვნახო, ან ვერ დავუკავშირდე“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 517-518).

კვლევის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ პრობაციის ოფიცერი მათ საკმარის დროს უთმობს და მათთან არც ტელეფონით დარეკვა არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს. თავის მხრივ, პრობაციის ოფიცრებსაც აქვთ ყველა მიმდგრებული პრობაციონერის ნომერი და ურეკავენ, როცა ამის საჭიროება არის:

„+: პირადი ოფიცერი საკმარის დროს გითმობთ?“



„-: კი, თუ რამე მჭირდება, ჩემი პირადი ოფიცერი ყველაფერზე პასუხს მცემს“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 189-190).

„-: თუ დამჭირდება, 2-ჯერ დავურეკე, რაღაცა ჩემს საქმეზე, “პრავა” მინდოდა და ვკითხე ამის თაობაზე“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 148-149).

„+: რა შემთხვევაში გიკავშირდებიან?

„-: ნუ, რაღაცა ხდება, რაღაც წასასვლელი ვართ სადმე, რაღაცას აწყობს პრობაციის ბიურო და თუ წამოხვალთ, ამას წინ პოეზიის საღამო იყო, თუ წამოხვალთ, გვატყობინებენ ესე, გვთავაზობენ“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #1, 209-212).

„-: აი, მაგალითად ტრენინგებზე დამირეკა, დღეს მითხრა ინტერვიუზე რომ წავსულიყავი და მანამდეც ვიყავი სხვებთან ერთად აქ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 176-178).

კითხვაზე, ყოფილა თუ არა რამე სახის დამაბულობა ან გაურკვეველობა ოფიცერსა და პრობაციონერს შორის, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და არც სხვებისაგან სმენიათ მსგავსი რამ. პრობაციონერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ პრობაციის ოფიცრის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ მსგავსი რამ არავის გაუკეთებია და არც სმენიათ სხვა პრობაციონერებისაგან.

პრობაციონერთა ნაწილს ჰქონია საუბარი თავის ოფიცერთან საკუთარ საჭიროებებზე. მათი თქმით, რიგ შემთხვევებში ხდება სამომავლო გეგმების დასახვა. ძირითადად, რასაც რესპონდენტები აღნიშნავენ, არის დასაქმების საჭიროება და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები:

„-: სულ მეუბნება, თუ რამე იქნება ან დასაქმება, ან სხვა რამ, აუცილებლად შეგატყობინებ. იცის, რომ ამჟამად ვმუშაობ მშენებლობაზე და ისიც ვუთხარი, რომ თუ აღარ მექნება სამუშაო, შეგატყობინებ-მეთქი, კარგი, [ამბობს თავის სახელს, რომლითაც ოფიცერმა მიმართა] პრობლემა არ არისო...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #1, 123-125).

„- (რ.4): მე, მაგალითად, ჩემმა ოფიცერმა დამირეკა და მითხრა, თუ უმუშევარი ხარ, არის რაღაც სამსახურების შემოთავაზება და დაგასაქმებთო“ (ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 288-289).

„- (რ.1): ნუ, ახლა, თუ, ვთქვათ, მკურნალობა დამჭირდა რამე, კი მოხდა მასე, რომ დავგეგმეთ, რის მერე რას გავაკეთებთ და ვისთან მივალ და რას გავიკეთებ“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 573-574).

პრობაციონერთა ნაწილი ამბობს, რომ მსგავსი დაგეგმვის შედეგად, პრობაციის ოფიცერს შემდგომში შემოუთავაზებია გარკვეული სახის დახმარება. ზოგ შემთხვევაში ეს არის დასაქმების საშუალება, ზოგჯერ - სამედიცინო პრობლემის გადაჭრის გზა:

„+ : რამდენად ეფექტური იყო დაგეგმვა ამ პროცესის და რამდენად შედეგიანი იყო თქვენთვის?

- (რ.1): ძალიან დამეხმარა, ბევრთან ფული უნდა გადამეხადა და ოფიცრის თხოვნის მერე უფასოდ მიმიღეს და ისედაც უფრო პასუხისმგებლობით მიუდევქი ამ საქმეს, მანამდე არ დავდიოდი ექიმებთან, არ ვესინჯებოდი და კი ვიყავი სულ გლახათ, ახლა გამევიხედე თვალეში და კარგად ვარ, ალბათ, იმ დაგეგმვის შედეგია ეგი ხო. (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 575-580).

„-(რ.5): პროსტატიტი და ფსიქოლოგიურად ვიყავი ძალიან ცუდად, ვერ აგიღწერთ ისე და პრობაციიდან წამიყვანეს და მაგრად დამეხმარეს, ექიმებს შემახვედრეს და ძალიან ბევრი ის ჩაატარა, გამოკვლევა რა. (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 184-185).

„- : კი იყო დასაქმება, მშენებლობა იყო, ხელობის სწავლა და კურსების გავლა იყო საჭირო, მე არ მსურდა, ისე კი იყო შეთავაზება“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 195-196).

რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ მსგავსი სახის დაგეგმვა და პრობაციონერების საჭიროების კვლევა ოფიცრის მხრიდან არ მომხდარა:

„+ : ირად ოფიცერთან გქონიათ თუ არა საუბარი თქვენს საჭიროებებზე?

- : არა.

+ : ანუ, თქვენი პრობლემების შეფასება არ მომხდარა?

- : არა.

+ : რა გჭირდებოდათ, რა საჭიროებები გაქვთ...

- : არა“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #1, 202-207).

„+ : თქვენი საჭიროებების და პრობლემების გადახედვა და დაგეგმვა თუ შედგა?

- : არა, არ ვიცი მაგნაირი (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 202-203).

უმეტეს შემთხვევაში, კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ კმაყოფილები არიან ოფიცრის მიერ შეთავაზებული დახმარებით:

„- : დამასაქმა პრობაციის ოფიცერმა, [ასახელებს ოფიცრის სახელსა და გვარს]. დამასაქმა, პირველი, თუ მეორე რეგისტრაციაზე შემომთავაზა სამუშაო და დავთანხმდი.

+ : სად დაგასაქმათ?

- : ... ავტოსამრეცხაოზე, მოიკას რო ეძახიან“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 67-70).

პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ მათთვის ოფიცერს შეუთავაზებია დასაქმების კონკრეტული შესაძლებლობა, მაგრამ მათ უარი თქვეს. მიზეზებად ხშირად სახელდება ის, რომ პრობაციონერს უბრალოდ არ სურს არანაირი სახის სამუშაოს შესრულება:

-: კი, სამუშაოს და სწავლებასთან დაკავშირებით.

+: დათანხმდით შემოთავაზებას?

-: არა, არ მინდოდა.

+: რატომ? არც სამსახურის და არც სწავლას?

-: არა, სამუშაო არ მინდა..(ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 263-267).

ერთი პრობაციონერი აცხადებს, რომ მას აქვს ორი უმაღლესი განათლება, იცის რამდენიმე უცხო ენა, შემოთავაზებული სამუშაო იყო მეტად დაბალკვალიფიციური მისთვის და არ დათანხმდა:

„-: როგორც გითხარით, მე ფიზიკურად არ ვიმუშავე და არც მიმუშავია, სამი ენა ვიცი, ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, გონებრივად შემძლია ვიმუშაო, მაგრამ საშუალება არ მაქვს. მაღალანაზღაურებად სამსახურში ვიმუშაებდი ჩემი პოტენციალით“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 66-69).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პრობაციონერი, რომელთაც არ აქვთ უმაღლესი განათლება, ასევე არ თანხმდებიან სამსახურს, თვლიან რა, რომ უფრო მაღალ პოზიციებს იმსახურებენ:

„-: არა, სად შემძლია ვიმუშაო, კაბინეტში მე არავინ დამსვამს და.. (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #5, 84-87).

პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ ოფიცრებს მათთვის შეუთავაზებიათ სხვადასხვა ტრენინგში და პროფესიულ სწავლებაში მონაწილეობა. მათი თქმით, მონაწილეობა მსგავს ტრენინგებსა თუ სწავლებებში არის ნებაყოფლობითი. რამდენიმე პრობაციონერი დასწრებია ტრენინგს და კმაყოფილია, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ ტრენინგებს რაიმე შედეგი მათი შემდგომი დასაქმების კუთხით არ გამოუღია:

„-: კი, ვიყავი სამდღიან ტრენინგზე ჯეოკაპიტალში, სივების დაწერას გვასწავლიდნენ სხვადასხვა ფორმით, მაგრამ პრინციპში მე ეგ ვიცოდი, რაიმე ახალი შევიძინე-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მივესალმები ასეთ ტრენინგებს.

+: ნებაყოფლობითია დასწრება ტრენინგებზე?

-: რა თქმა უნდა, თუ არ გინდა, არავინ არ გაძალეებს“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 177-181).

„-: ცუდი არ იყო ნამდვილად. რაიმე ისეთი სახის შევიძინე, რაც ჩემთვის აუცილებელი იყო - მასეთი არ ყოფილა, თუმცა მე მივესალმები, რომ ასეთი რაღაცეები ტარდება“ (ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 606-608).

„-: კი, შემომთავაზეს, დაახლოებით თვენახევრის წინ, სამთვიანი სწავლებააო, შემდუღებლობა, ტექნიკოსობა და კიდე რაღაცეები. მე ვუთხარი, დავფიქრდები-მეთქი.

მერე დრო აღარ , რო მველო და დავუკავშირდი ოფიცერს და უარი ვთქვი“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 216-218).

ნაწილი რესპონდენტებისა, ძირითადად დასაქმებულები, აცხადებენ, რომ აქვთ სურვილი მსგავს სწავლებებში მონაწილეობის მიღებისა, მაგრამ გამომდინარე მათი სამუშაო გრაფიკიდან, ფიზიკურად არ აქვთ დრო, რომ მიიღონ მონაწილეობა:

„-: წავიდოდი...ბოდიში მოვუხადე ჩემს ოფიცერს და ვუთხარი, რომ არ მაქვს იმის დრო, რომ ვისწავლო-მეთქი, ავირჩევდი სიამოვნებით რომელიმე სპეციალობას და ვისწავლიდი, ცოლ-შვილი რომ არ მყავდეს სარჩენი. მაგრამ ახლა ვმუშაობ მშენებლობაზე, რითიც ვკმაყოფილდები ...ბანკის ვალებსაც ვიხდი...“ (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 75-78)

„-: კი არის, მაგრამ მე რომ ყველაფერზე თავს ვიკავებ, არ დავდივარ, არ მცალია.

+: მიზეზი არის, ის, რომ ხართ დასაქმებული და არ გცალიათ?

-: კი“ (ბათუმი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 3, 243-345).

რამდენიმე რესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება არის ნებაყოფლობითი, ხანდახან ადგილი აქვს ოფიცრის მხრიდან დაჟინებულ მოთხოვნას, რომ თუ ტრენინგში მონაწილეობას არ მიიღებს, შეიძლება დაუმძიმდეს რეჟიმი:

„-: არ მომეწონა რა, რათ მინდოდა, თან მაშინ ვიკეთებდი, თუ არ წახვალო, მითხრეს, კვირაში სამჯერ გადამატანინებდნენ [ხელის მოწერას], ოფიცერმა მითხრა

+: გამოვიდა, რომ იძულების წესით წახვედით?

-: მე-მგონი ეგრე გამოვიდა (თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 74-78).

„+: ანუ, თქვენ მოგთხოვეს ამ შეხვედრაზე მოსვლა?

-(რ.4): აბა, ჩემით მომსვლელი ვიყავი? სხვა საქმე არ მაქვს, გგონიათ?

-(რ.1): კი, თქვეს, უნდა წახვიდეო და წამოვედი, აქ გავიგე თქვენგან [ფასილიტატორს გულისხმობს], რომ ნებით ყოფილა და შემეძლო, უარი მეთქვა..

-(რ.7): რა, უარს ეტყოდი? (მიმართავს რ.1-ს) ეტყოდი, არ წავალო? არ ეტყვი რა... მერე ცხვირში ამოგადენენ... (თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 16-21).

„-(რ.5): ... ღონისძიებები და აქტივობები თუ არის, მირეკავს. პოეტებთან შეხვედრაზე ვყავდი. მერე ფეხბურთის თამაში იყო და იქაც ვყავდი. ყველაფერს გატყობინებს... პოეზიის საღამო იყო და იქაც წავედი.. კიი - მატყობინებს... მწვანე კონცხზეც წავგიყვანეს და რავი აბა...

+: ეს ყველაფერი შეთავაზებით არის თუ დავალებაა?

-(რ.1): დავალებაა..

-(რ.5): შეთავაზებით. ჯერ რეკავს, რომ თუ გამოხვალ?.. თუ არ შეგიძლია და რამე პრობლემა გაქვს, არაა პრობლემაო, გეუბნება. პასუხს თუ გასცემ - წამოვალო, მაშინ

*უნდა წახვიდე. როგორც დღეს აქ უნდა მოვსულიყავით 6-ზე. მოკლედ აქტიურობენ, ასეთი შემოთავაზებებია: თუ გაწყობს, თუ გინდა - ჩაგწერ და ასე...“(ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 374-382).*

ნაწილი რესპონდენტებისა ამბობს, რომ მათთვის არ შეუთავაზებიათ არანაირი ტრენინგი და თვითონვე აღნიშნავენ, რომ სავარაუდოდ ეს ხდება იმიტომ, რომ შედარებით ახალი დარეგისტრირებული არიან პრობაციის ბიუროში:

*„ +: რამე ტრენინგში თუ შემოგთავაზათ თქვენმა ოფიცერმა მონაწილეობის მიღება?  
- : ტრენინგი ჯერ არ, ახალი ვარ ჯერ“ (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 208-209).*

გარდა ტრენინგებისა, რესპონდენტების თქმით, მათ რესოციალიზაციის მიზნით სთავაზობენ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, როგორცაა კინო, თეატრი. რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ მათ არ მოსწონთ კოლექტიურად თეატრში სიარული, როცა ყველამ (ირგვლივ მყოფებმა) იცის, რომ მოსულია პრობაციონერთა ჯგუფი. მათი თქმით, ეს ვერ მოახდენს ეფექტურ რესოციალიზაციას:

*-(რ.7): თეატრშიც წასვლა ისეთი პონტია... მომცენ ბილეთი და მე თვითონ წავალ და ბავშვს წავიყვან და ეგრე უფრო იქნება ეს სოციალიზაცია. ნახირვით რომ შეგყრიან და ყველა სპექტაკლის სანახავად აეე.. რა მინდა, ან რა გულით ვუყურო, როცა ყველამ.. იქ მებილეთა თუ ვინც ემსახურება იქ - დამლაგებელი, მსახიობი- ყველამ იცის, რომ კრიმინალები მოიყვანეს... სისულელეა...“(თბილისი, ფოკუსირებული დისკუსია, 152-156).*

რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ იშვიათად მიმართავენ თავიანთ ოფიცერს რაიმე იურიდიული სახის დახმარების მიღების მიზნით. ნაწილი აცხადებს, რომ მათ ჰყავდათ ადვოკატი ან ნაცნობი იურისტი და მათგან იღებდნენ ყველა საჭირო იურიდიულ ინფორმაციას. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, პირადი ოფიცერიც აწვდის მათთვის საჭირო ინფორმაციას:

*+ : თქვენს პირად სასჯელთან დაკავშირებით არანაირი კითხვა არ გაგჩენიათ?  
- : არა, ადვოკატი მყავდა და ის აგვარებდა ყველაფერს. ისე ოფიცერმაც ამიხსნა, რაც იყო საჭირო. (ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 1, 220-222)*

პრობაციონერების ნაწილი აცხადებს, რომ მიუღიათ ინფორმაცია თავისი ოფიცრისგან სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც გარკვეულ სერვისს სთავაზობენ ყოფილ პატიმრებს და პრობაციონერებს. გარდა ოფიცრის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა, მათი თქმით, არის სპეციალური ბუკლეტებიც, რომლებიც ხელმისაწვდომია პრობაციის ბიუროში:

*„- (რ.1): იყო შემოთავაზება გამოკვლევებზე.  
+ : რა სახის გამოკვლევებზე?*

- (რ.1): *C ჰეპატიტიზე..* “*ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია, 572-574*).

„-: *პატარა ბუკლეტები და ისედაც მითხრა და ბროშურები მომცა და ამიხსნა, სად უნდა მივიდე და რაზე და მე არ ჩავთვალე საჭიროდ*“ (*ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 223-224*).

„-: *კი, თანადგომა ვიცი, უთქვამს ჩემთვის, საია [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია], მეტი არ ვიცი ჯერ*“ (*ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 4, 193-196*).

პრობაციონერთა უმეტესობა დადებითად აფასებს მსგავსი ინფორმაციის მიწოდებას და თვლის, რომ ეს სასარგებლოა მათთვის:

„+ : *თუ გჭირდებოდათ ასეთი ინფორმაცია?*

- : *კი, უფასო ყველაფერი კაია და ვისაც აინტერესებს სამედიცინო გამოკვლევები, იმისთვის ვააბში მაგარია*“ (*ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 5, 222-224*).

პრობაციონერთა ნაწილის თქმით, ოფიცერს შეუთავაზებია და გაჰყოლია მის დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერებს რაიმე სახის სერვისის მიღებაში დასახმარებლად:

„- (რ.5): *მე წამყვა ოფიცერიც და სოციალური მუშაკიც, თავის მანქანით წამიყვანეს.*

- (რ.4): *მეც გამყვენ, სამსახური დამაწყებებს.*

- (რ.6): *მე პროკურატურაში წამიყვანეს, არასრულწლოვანი ვიყავი და ყველა, ვინც ვიყავით არასრულწლოვნები, წაგვიყვანეს*“ (*ქუთაისი, ფოკუსირებული დისკუსია, 660-663*).

პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის ნდობის საკითზე საუბრისას, რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ ენდობიან თავის ოფიცერს და დარწმუნებული არიან, რომ მიწოდებული ინფორმაციის ან საკითხის კონფიდენციალობა დაცული იქნება. პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ ენდობიან ოფიცრებს, მაგრამ ენდობიან მათ მხოლოდ მათ სასჯელთან ან რეჟიმთან დაკავშირებულ საკითხებზე. როცა საკითხი ეხება პირადულ ან ოჯახურ საკითხებს, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ურჩევნიათ, არ ესაუბრონ ამის შესახებ პრობაციის ოფიცერს:

„+ : *ინტერვიუერი: ენდობით თქვენს პირად ოფიცერს?*

- : *რა მხრივ?*

+ : *პირადი საკითხები რომ გაუზიაროთ, ამის სურვილი გაგჩენიათ?*

- : *ნაკლებად*“ (*თბილისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ #2, 149-152*).

„- : *არაფერ პირადულზე, არასდროს, სურვილიც კი არ გამჩენია, ოფიცერს დავლაპარაკებოდი ჩემი და ჩემი ოჯახის შესახებ*“ (*ქუთაისი, ჩაღრმავებული ინტერვიუ # 2, 234-235*).

„+ კარგით, რამდენად ენდობით თქვენს პირად ოფიცერს?

- მეტი რა გზა მაქვს (ივინის), ვენდობი“ (ქუთაისი, ჩაღმავებული ინტერვიუ # 4, 199-200).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ოფიცრები მათ კარგად და კეთილგანწყობილად ექცევიან. არაკორექტული ან უდიერი მოპყრობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია:

„+ ანუ არ გეპყრობათ, როგორც მსჯავრდებულს?

- (რ.4): არა.

- (რ.3): არა (ყველანი ერთად „არა“..)

-(რ.2): ზემოდან ყურება და რაღაცა ასეთები გამორიცხულია!...“(ბათუმი, ფოკუსირებული დისკუსია 504-507).

## **ძირითადი მიგნებები და დასკვნები (პრობაციონერები)**

### **სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები**

კვლევის მონაწილეთა ასაკი მერყეობს 20-დან 51 წლამდე. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა 40 წლამდე ასაკისაა. კვლევის მონაწილეთა ნახევარზე ნაკლები არის უმაღლესი განათლებით. კვლევის მონაწილეთა უმეტესობისათვის აღნიშნული სასჯელი არის პირველი ნასამართლეობა. მონაწილეთა პირობითი სასჯელის ვადა, რასაც ისინი იხდიან ინტერვიუს ჩატარების მომენტისათვის, მერყეობს 3 თვიდან 4 წლამდე. უმეტეს შემთხვევაში ეს ვადა მერყეობს 4 თვიდან 1 წლამდე.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად. უმეტესობა საცხოვრებელს იყოფს ცოლ-შვილთან და მშობლებთან. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული საცხოვრებელი ფართები არის მათი საკუთრება. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქირაობენ ან დაგირავებული აქვთ ბინა.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მხრივ, მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აქვთ კარგი და თბილი დამოკიდებულება ოჯახის თითოეულ წევრთან. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს ოჯახის რომელიმე წევრთან. ყველა შემთხვევაში გართულებული ურთიერთობის მიზეზად მონაწილეები ასახელებენ მათ მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას. მეგობრებთან ურთიერთობას აგრძელებს პრობაციონერთა უმრავლესობა. მხოლოდ რამდენიმე მონაწილე ამბობს, რომ მეგობრების ნაწილმა ზურგი აქცია და აღარ აქვთ მათთან ურთიერთობა.

**დასკვნა:** რესპონდენტთა უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად საკუთარ ბინაში ან სახლში. ოჯახის წევრებთან აქვთ ნორმალური ურთიერთობა. გამონაკლისია ნარკოტიკების მოხმარებლები, რომელთაც მოხმარების პროცესში ჰქონიათ სიმძნელები ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში. პრობაციონერთა ნაწილს მეგობრები ჩამოშორდნენ ნასამართლეობის გამო.

### **დასაქმება, შემოსავალი**

კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ინტერვიუს მომენტისათვის დაუსაქმებელია. დასაქმებულთაგან არცერთი არ არის დასაქმებული საჯარო სტრუქტურებში. კერძო სექტორში დასაქმებაც ძირითადად უკავშირდება ახლო ნათესავების ხელშეწყობას და მხარში დგომას.



რამდენიმე რესპონდენტი პირობით სასჯელამდე მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურაში, როგორცაა დაცვის პოლიცია, ფოსტა, ჯარი. ნაწილი რესპონდენტების ამჟამინდელ დაუსაქმებლობას უკავშირებს არსებულ პირობით სასჯელს. დაუსაქმებლობის ძირითად მიზეზად სახელდება მართვის მოწმობის ჩამორთმევა. დაუსაქმებელ რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ ფიზიკური დატვირთვით ვერ იმუშავენ; ზოგი ამის მიზეზად ასახელებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზოგიც კი - უმაღლეს განათლებას და პოტენციურად მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის შანსს. რამდენიმე რესპონდენტი ღიად აცხადებს, რომ საერთოდ არ სურს მუშაობა და რაიმე ობიექტურ არგუმენტს ამისათვის არ ასახელებს. აღსანიშნავია, რომ დაუსაქმებელ რესპონდენტთა უმეტესობა თავიანთ უმუშევრობას არ უკავშირებს პირობითი სასჯელის არსებობას.

რესპონდენტთა ოჯახების შემოსავალი მერყეობს დაახლოებით 300-დან 1500 ლარამდე. თუმცა, უმრავლესობის შემოსავალი 500 ლარს არ აღემატება. რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ დახმარებას იღებს საზღვარგარეთ მომუშავე ოჯახის წევრისაგან.

ნაწილი უმუშევარი პრობაციონერებისა ამბობს, რომ ოჯახურ საქმეებში ეხმარებიან თავიანთ ოჯახის წევრებს (ბავშვების აღზრდა, ნაკვეთის დამუშავება და სხვ). რესპონდენტთა მცირე ნაწილი აცხადებს, რომ თავისუფალი დრო ბევრი აქვთ და რაიმე კონკრეტულ საქმიანობაზე არ ხარჯავენ.

**დასკვნა:** კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ინტერვიუს ჩაწერის მომენტისათვის დაუსაქმებელია. მომუშავე პრობაციონერებიდან არცერთი არ არის დასაქმებული საჯარო სტრუქტურაში. კერძო სექტორში დასაქმებაც უკავშირდება პირად ნაცნობობას და ნათესავების მხარდაჭერას. პრობაციონერთა ოჯახების საშუალო შემოსავალი, უმეტეს შემთხვევაში, არ აღემატება 500 ლარს. უმუშევარ პრობაციონერთა ნაწილი, ძირითადად დასაოჯახებლები, აცხადებს, რომ ბევრი თავისუფალი დრო აქვს და არ იცის, როგორ გამოიყენოს ეს დრო.

## **ჯანმრთელობის საკითხები და ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება**

ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არიან ჯანმრთელები და სამედიცინო დაწესებულებებისათვის არ მიმართავენ. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი აღნიშნავს სხვადასხვა სახის სამედიცინო პრობლემას. სამედიცინო პრობლემების მქონე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოუგვარებელი აქვთ ეს პრობლემები, რისი მიზეზიც არის უსახსრობა. თუმცა, მოუგვარებელ პრობლემებში სახელდება ტუბერკულოზიც, რომლის მკურნალობასაც სახელმწიფო აფინანსებს.

რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი აღნიშნავს წარსულში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. მათი უმრავლესობის პირობითი სასჯელიც ნარკოტიკული

ნივთიერების მოხმარებას უკავშირდება. რამდენიმე რესპონდენტს ნარკოტიკის მოხმარების გამო წარსულშიც ჰქონია ადმინისტრაციული ჯარიმები.

**დასკვნა:** პრობაციონერთა უმეტესობას არ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, რაც, სავარაოდოდ მათ ახალგაზრდა ასაკთან არის დაკავშირებული. რამდენიმე პრობაციონერს აქვს სხვადასხვა სახის დაავადება, რომელთაც ვერ მკურნალობენ უსახსრობის გამო. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მკურნალობა შესაძლებელია სახელმწიფო ხარჯით (ტუბერკულოზის შემთხვევაში), პრობაციონერებს არ მიჰყავთ ბოლომდე მკურნალობა და უპასუხისმგებლოდ უდგებიან ამ საკითხს.

პრობაციონერთა დაახლოებით მეოთხედს აქვს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ისტორია; მოუხმარიანთ როგორც ინექციური, ასევე არაინექციური ნივთიერებები. მათი პირობითი სასჯელიც უმეტესწილად უკავშირდება ნარკოტიკების უკანონო მოხმარებას.

### **პრობაციის სამსახურთან ურთიერთობის გამოცდილება, პრობაციის სამსახურის დანიშნულებისა და პრობაციონერთა უფლება-მოვალეობების ცოდნა**

რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ იცის პრობაციის სამსახურის დანიშნულება. მათი აზრით, პრობაციის სამსახურს ევალება პრობაციონერებზე ზედამხედველობა, რჩევების მიცემა ბიუროში დარეგისტრირებასთან, საზღვრის გადაკვეთასთან და ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე, შეძლებისამებრ პრობაციონერის დახმარება მისი საჭიროებიდან გამომდინარე და „სწორ გზაზე“ დაყენება. რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ პრობაციის სამსახურის დანიშნულებას მხოლოდ პრობაციონერის ბიუროში მისვლის დაფიქსირება და ამ პროცესის კონტროლი. რამდენიმე რესპონდენტს უჭირს, ჩამოაყალიბოს პრობაციის სამსახურის დანიშნულება და ამბობს, რომ კარგად ვერ ერკვევა. რამდენიმე რესპონდენტი გარკვეული სკეპტიციზმით უყურებს პრობაციის ბიუროს დანიშნულებას და მათ ფუნქციას მხოლოდ ჯარიმების გამოწერაში ხედავს. ამ რესპონდენტებს დიდად არ სჯერათ, რომ პრობაციის სამსახურს შეუძლია ადამიანის გამოსწორება. რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ პრობაციის სამსახური წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

პრობაციონერთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ სამსახურის გაუმჯობესების კუთხით შეცვლიდნენ ბიუროში პრობაციონერის გამოცხადების სიხშირეს. მათი აზრით, კვირაში ერთხელ გამოცხადება არის მეტად მოუხერხებელი, რადგანაც ეს დაკავშირებულია ხარჯებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი დადის სოფლიდან ან რაიონული ცენტრიდან მოშორებული დასახლებული პუნქტიდან. ის პრობაციონერები, რომლებიც დასაქმებული არიან, აცხადებენ, რომ ყოველვირეული გამოცხადება ბიუროში კონფლიქტში მოდის მათ სამუშაო გრაფიკთან.

პრობაციონერთა უმრავლესობა აცხადებს, რომ გათვიცნობიერებულები არიან თავიანთ უფლება-მოვალეობებში. მათი აზრით, მთავარია, მათ არაფერი დააშავონ, კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინონ, მოერიდონ ჩხუბს და გაუგებრობებს და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, დროულად მივიდნენ და დაფიქსირდნენ პრობაციის ბიუროში.

ამ უფლება-მოვალეობების გაცნობა მოხდა მათი პრობაციის ოფიცრის მიერ შეხვედრის პირველსავე დღეს. პრობაციის ოფიცერი, როგორც წესი, ზეპირად განუმარტავს პრობაციონერს უფლება-მოვალეობებს, შემდეგ დოკუმენტზე ხელს აწერინებს. რიგ შემთხვევაში პრობაციონერს მიაქვს/ატანენ ხელმოწერილი დოკუმენტის ასლს და სპეციალურ დაბეჭდილ ბუკლეტს, სადაც მათი უფლება-მოვალეობებია გაწერილი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, პრობაციონერები ამას მექანიკურად აკეთებენ და არ კითხულობენ არც ამ დოკუმენტს და არც ბუკლეტს. რამდენიმე რესპონდენტი აცხადებს, რომ ვერ გაიგეს ეს უფლება-მოვალეობები, რადგანაც ზედმეტად მაღალფარდოვნად მიაწოდეს ინფორმაცია.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ამბობს, გააცნეს მათ თუ არა საკუთრივ პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობანი. ასევე, ვერ იხსენებენ, წერია თუ არა რაიმე დოკუმენტში, რომელზეც ხელი მოუწერიათ პრობაციის ბიუროში, ოფიცრის პასუხისმგებლობების შესახებ.

კვლევის აბსოლუტურად ყველა მონაწილე უარყოფს პრობაციის სამსახურის ან ძალოვანი სტრუქტურის რომელიმე წარმომადგენლის მხრიდან ზეწოლის ან შანტაჟის ფაქტის არსებობას.

**დასკვნა:** მიუხედავად იმისა, რომ პრობაციონერთა უმეტესობა კარგად ერკვევა პრობაციის ბიუროს დანიშნულებაში, არიან პრობაციონერები, რომლებმაც ან არ იციან პრობაციის სამსახურის დანიშნულება და ფუნქცია, ან გარკვეული სკეპტიციზმით უყურებენ პრობაციის ბიუროს დანიშნულებას.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ პრობაციის ბიურო წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. პრობაციონერთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ სამსახურის გაუმჯობესების კუთხით შეცვლიდნენ ბიუროში პრობაციონერის გამოცხადების სიხშირეს. პრობაციონერისათვის კვირაში ერთხელ გამოცხადება არის მეტად მოუხერხებელი, რადგანაც ეს დაკავშირებულია ხარჯებთან და დროის ფაქტორთან, განსაკუთრებით დასაქმებული პრობაციონერების შემთხვევაში.

პრობაციონერს თავის უფლება-მოვალეობებს აცნობს პრობაციის ოფიცერი შეხვედრის პირველსავე დღეს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით. პრობაციონერთა ნაწილი არ კითხულობს მათ უფლება-მოვალეობას და არის შემთხვევები, როდესაც

ზეპირად ახსნილ მოვალეობებსაც ვერ იგებს, რადგანაც ინფორმაცია ზედმეტად მაღალფარდოვნად არის მიწოდებული.

პრობაციონერთა უმეტესობამ არ იცის საკუთრივ პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობანი და არ იცის, სად არის დაფიქსირებული ეს უფლება-მოვალეობები.

პრობაციონერების მიმართ არ ვლინდება ოფიცრის ან პრობაციის სხვა თანამშრომლის მხრიდან რაიმე სახის ძალადობის ან შანტაჟის ფაქტები.

### **პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია**

რესპონდენტთა დიდ ნაწილს უჭირს საუბარი პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საჭიროებებზე, მათ არ აქვთ ინფორმაცია ან არასდროს უფიქრიათ ამ თემაზე. ხშირ შემთხვევაში რესპონდენტები ფსიქოსოციალურ საკითხებს აიგივებენ თავიანთ რეჟიმთან, და ამ სფეროს გაუმჯობესების გზებზე საუბრისას აქცენტს აკეთებენ პრობაციაში გამოცხადების წესსა და ვადების შემცირებაზე.

რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაინერგებოდა ინდივიდუალური მიდგომა პრობაციონერების მიმართ. მათი თქმით, ყველა პრობაციონერთან ერთნაირი მუშაობა არ უნდა წარმოებდეს. ისინი, ვინც ნაკლები სიმძიმის დანაშაულზე იხდის სასჯელს და ისინი, ვისთვისაც ეს სასჯელი პირველია, სხვანაირ (უფრო ლმობიერ) მიდგომას საჭიროებენ.

პრობაციონერთა უმეტესობას უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა პასუხისმგებლობა ენიჭება სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საქმეში. მათი უმრავლესობა შემოიფარგლება ზოგადი და ზედაპირული პასუხებით, რომ რაც მეტს გააკეთებს სახელმწიფო, მით უკეთესი იქნება.

**დასკვნა:** პრობაციონერთა უმეტესობას არ უფიქრია და ვერ ერკვევა თავის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საჭიროებებში. ფსიქოსოციალური საკითხები გაიგივებულია რეჟიმთან, პრობაციაში გამოცხადების წესთან და ვადების შემცირებასთან. ასევე, უჭირთ საუბარი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების როლზე პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საქმეში.

### **პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის გამოცდილება**

ყველა რესპონდენტი აცხადებს, რომ ჰყავს თავისი პირადი ოფიცერი პრობაციის ბიუროში. ყველა მათგანმა იცის თავისი ოფიცრის სახელი და ტელეფონის ნომერი. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტს გაუჭირდა საკუთარი ოფიცრის გვარის გახსენება.

რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ თავიანთ პირად ოფიცერთან კარგი და, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ თბილი დამოკიდებულება აქვს.

პრობაციონერთა უმეტესობა აცხადებს, რომ ხვდებიან თავის ოფიცერს პრობაციის ბიუროში თავიანთი გამოცხადების გრაფიკის მიხედვით. ნაწილი რესპონდენტების ამბობს, რომ ყოველ ჯერზე პრობაციაში მისვლისას არ არის აუცილებელი საკუთარი ოფიცრის ნახვა, თუ რაიმე კონკრეტული საქმე არ აქვთ. მათი თქმით, არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პრობაციონერს სურდა თავის ოფიცერთან დაკავშირება და ეს ვერ მოახერხა.

კითხვაზე, ყოფილა თუ არა რამე სახის დაძაბულობა ან გაურკვეველობა ოფიცერსა და პრობაციონერს შორის, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და არც სხვებისაგან სმენიათ მსგავსი რამის შესახებ. პრობაციონერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ პრობაციის ოფიცრის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ მსგავსი რამ არავის გაუკეთებია და არც სმენიათ სხვა პრობაციონერებისაგან.

პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის არსებობს ნდობის ფაქტორი, თუმცა ეს ნდობა ვრცელდება მხოლოდ მათ სასჯელთან ან რეჟიმთან დაკავშირებულ საკითხებზე. როცა საკითხი ეხება პირად ან ოჯახურ საკითხებს, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ურჩევნია, პირად საკითხებზე პრობაციის ოფიცერს არ ესაუბროს.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ოფიცრები მათ კარგად და კეთილგანწყობილად ექცევიან და არაკორექტული ან უდიერი მოპყრობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**დასკვნა:** ყველა რესპონდენტი კარგად იცნობს თავის პირად ოფიცერს და აქვს მისი საკონტაქტო ტელეფონი. ოფიცერთან შეხვედრა ან ტელეფონით დაკონტაქტება საჭიროების შემთხვევაში ყველა პრობაციონერს იოლად შეუძლია.

პრობაციონერსა და პრობაციის ოფიცერს შორის არ ყოფილა კონფლიქტური სიტუაცია, რასაც მოჰყვებოდა ოფიცრის შეცვლა. პრობაციონერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ პრობაციის ოფიცრის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ მსგავსი რამ არავის გაუკეთებია და არც სმენიათ სხვა პრობაციონერებისაგან.

რესპონდენტები კმაყოფილები არიან ოფიცრების მხრიდან მათდამი კეთილგანწყობილი და კორექტული დამოკიდებულებით. პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის არსებობს ნდობის გარკვეული დონე, თუმცა პრობაციონერები თავიანთ ოფიცერთან არ განიხილავენ პირადულ ან ოჯახურ საკითხებს.

## პრობაციონერების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილება პრობაციის სამსახურის მიერ

პრობაციონერთა ნაწილს თავის ოფიცერთან ჰქონია საუბარი საკუთარ საჭიროებებზე და, ასევე, მომხდარა სამომავლო გეგმების ერთობლივი დასახვა. ძირითადი საკითხი, რასაც რესპონდენტები აღნიშნავენ, არის დასაქმების საჭიროება და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები.

პრობაციონერთა ნაწილი ამბობს, რომ, მსგავსი დაგეგმვის შედეგად, პრობაციის ოფიცერს შემდგომში შემოუთავაზებია გარკვეული სახის დახმარება. ზოგ შემთხვევაში ეს არის დასაქმების საშუალება, ზოგჯერ - სამედიცინო პრობლემის გადაჭრის გზა. თუმცა, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ მსგავსი სახის დაგეგმვა და პრობაციონერების საჭიროების კვლევა ოფიცრის მხრიდან არ მომხდარა.

პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ მათთვის ოფიცერს შეუთავაზებია დასაქმების კონკრეტული შესაძლებლობა, მაგრამ მათ უარი თქვეს. მიზეზებად ხშირად სახელდება ის, რომ პრობაციონერს უბრალოდ არ სურს რაიმე სახის სამუშაოს შესრულება ან თავილობს გარკვეული ტიპის სამუშაოს. ერთი პრობაციონერი აცხადებს, რომ მას აქვს ორი უმაღლესი განათლება, იცის რამდენიმე უცხო ენა, შემოთავაზებული სამუშაო იყო მეტად დაბალკვალიფიციური მისთვის და არ დათანხმდა.

პრობაციონერთა ნაწილი აცხადებს, რომ ოფიცრებს მათთვის შეუთავაზებიათ სხვადასხვა ტრენინგში და პროფესიულ სწავლებაში მონაწილეობა. მათი თქმით, მონაწილეობა მსგავს ტრენინგებსა თუ სწავლებებში არის ნებაყოფლობითი. მიუხედავად ამისა, ხანდახან ადგილი აქვს ოფიცრის მხრიდან დაჟინებულ მოთხოვნას და გაფრთხილებას, რომ, თუ პრობაციონერი ტრენინგში მონაწილეობას არ მიიღებს, შეიძლება დაუმძიმდეს რეჟიმი. დასაქმებული პრობაციონერები ხშირად ვერ ახერხებენ ტრენინგებზე დასწრებას, რადგანაც დაკავებული არიან სამსახურში.

პრობაციონერები, რომლებიც დასწრებიან რაიმე ტრენინგს, ზოგადად კმაყოფილები არიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ ტრენინგებს რაიმე შედეგი მათი შემდგომი დასაქმების კუთხით არ გამოუღია. ახლად დარეგისტრირებული პრობაციონერების უმეტესობას არ მიუღია ტრენინგში მონაწილეობის შეთავაზება.

გარდა ტრენინგებისა, რესპონდენტების თქმით, მათ რესოციალიზაციის მიზნით სთავაზობენ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, როგორცაა კინო, თეატრი. რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ მათ არ მოსწონთ კოლექტიურად თეატრში სიარული, როდესაც ყველამ იცის, რომ მოსულია პრობაციონერთა ჯგუფი. მათი თქმით, ეს ვერ მოახდენს ეფექტურ რესოციალიზაციას.

რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ იშვიათად მიმართავენ თავიანთ ოფიცერს რაიმე იურიდიული სახის დახმარების მიღების მიზნით.

პრობაციონერების ნაწილი აცხადებს, რომ მიუღიათ ინფორმაცია თავისი ოფიცრისგან სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც გარკვეულ სერვისს სთავაზობენ ყოფილ პატიმრებს და პრობაციონერებს. გარდა ოფიცრის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა, მათი თქმით, არის სპეციალური ბუკლეტებიც, რომლებიც ხელმისაწვდომია პრობაციის ბიუროში, თუმცა ყველა ბიუროში ეს შესაძლებლობა არ არის.

პრობაციონერთა უმეტესობა დადებითად აფასებს მსგავსი ინფორმაციის მიწოდებას და თვლის, რომ ეს სასარგებლოა მათთვის, განსაკუთრებით სამედიცინო მომსახურების კუთხით.

პრობაციონერთა ნაწილის თქმით, ამა თუ იმ სერვისის მისაღებად ოფიცრის მხრიდან ყოფილა როგორც თანხლების შეთავაზება, ისე უშუალოდ თანხლებაც.

**დასკვნა:** პრობაციონერთა ნაწილს ჰქონია საუბარი თავის ოფიცერთან საკუთარ საჭიროებებზე და დაუსახავს სამომავლო გეგმების ამ საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. მსგავსი დაგეგმვის შედეგად ყოფილა დასაქმების ან საჭირო სამედიცინო სერვისის მიწოდების შემოთავაზება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში საჭიროების კვლევა არ მომხდარა, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია იმასთან, რომ პრობაციონერს არ მიეწოდა მისთვის გასაგებ ენაზე აღნიშნული ინფორმაცია ან საჭიროებების შეფასება მოხდა ფორმალურად.

დასაქმების შეთავაზების მიუხედავად, პრობაციონერები ხშირად უარს აცხადებენ კონკრეტულ სამუშაოზე, რისი მიზეზიც არის ის, რომ შეთავაზებული სამუშაო არის დაბალკვალიფიციური ან, ზოგ შემთხვევაში, თვითონ პრობაციონერს არ სურს მუშაობა და გადაჭარბებული ამბიციია აქვს სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით.

პრობაციონერების მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგში და პროფესიულ სწავლებაში არის ნებაყოფლობითი. თუმცა, ხანდახან ადგილი აქვს ოფიცრის მხრიდან მონაწილეობის დაჟინებულ მოთხოვნას, გაფრთხილებით, რომ, თუ პრობაციონერი ტრენინგში მონაწილეობას არ მიიღებს, შეიძლება მას დაუმძიმდეს რეჟიმი. დასაქმებული პრობაციონერები ხშირად ვერ ახერხებენ ტრენინგებზე დასწრებას, რადგანაც დაკავებული არიან სამსახურში. პრობაციონერები, რომლებიც დასწრებიან ტრენინგს, ზოგადად კმაყოფილები არიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ ტრენინგებს რამე შედეგი მათი შემდგომი დასაქმების კუთხით არ გამოუღია.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, თეატრში ან კინოში კოლექტიური წასვლა ვერ ემსახურება პრობაციონერების საზოგადოებაში რესოციალიზაციას, რადგანაც ასეთ ღონისძიებებზე ყველამ იცის, რომ მოსულია პრობაციონერთა ჯგუფი. საზოგადოებაში კი არსებობს გარკვეული წინასწარგანწყობა და სტიგმა ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების მიმართ.

პრობაციის ბიუროში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც გარკვეულ სერვისს სთავაზობენ პრობაციონერებს. თუმცა, ყველა პრობაციონერი ვერ იღებს ამ ინფორმაციას.



## რეკომენდაციები

- სასურველია, პრობაციის ოფიცერს ჰქონდეს პრობაციონერთან ცალკე შეხვედრის ოთახი, რაც ხელს შეუწყობს პრობაციონერსა და მის ოფიცერს შორის მეტ გახსნილობას და ასევე, მეტად იქნება დაცული კონფიდენციალობა.
- ოფიცრის მომზადების კურსი საკმაოდ ხანმოკლეა (10 სამუშაო დღე), შესაბამისად, რეკომენდებულია კურსის ხანგძლივობის გაზრდა დამატებითი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და/ან სამსახურში აყვანის შემდეგ ოფიცრებისთვის დამატებითი რელევანტური (ოფიცრების მიერ მოთხოვნილი და მათი საჭიროებებიდან გამომდინარე) ტრენინგების ჩატარება.
- სასურველია, პრობაციის თანამშრომლებისათვის ტრენინგების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს თავად ოფიცრების საჭიროებები და მოთხოვნილებები.
- მიუხედავად იმისა, რომ ოფიცრებმა კარგად იციან თავისი უფლება-მოვალეობები, სასურველია, შეიქმნას პრობაციის ოფიცრის დეტალური სამუშაო აღწერილობა. სასურველია, რომ პრობაციის ოფიცრისა და სოციალური მუშაკის მოვალეობები იყოს გაწერილი და გამიჯნული ერთმანეთისაგან. ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია მოხდეს მათი დეტალური გაცნობა პრობაციის ოფიცრებისადმი მათ ამ პოზიციაზე დანიშვნისთანავე.
- რეკომენდებულია ერთ ოფიცერზე მიმაგრებული პრობაციონერების რიცხვის ოპტიმიზაცია და დაახლოება ევროსტანდარტებთან.
- რეკომენდებულია, პრობაციონერისათვის უფლება-მოვალეობების გაცნობისა და დოკუმენტზე ხელის მოწერის შეთავაზებისას, ოფიცერი დარწმუნდეს, თუ რამდენად გულისხმიერად წაიკითხა პრობაციონერმა ოქმი და რამდენად გაიგო მასზე დაკისრებული მოვალეობები. ასევე, პრობაციონერისათვის ინფორმაციის მიწოდება მოხდეს მისთვის გასაგებ ენაზე. პრობაციონერისათვის საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობის პარალელურად სასურველია, მათ ასევე მიეწოდოთ თვითონ ოფიცრის უფლება-მოვალეობების შესახებ უფრო დეტალური და სტრუქტურირებული ინფორმაცია.
- რეკომენდებულია პრობაციონერის რისკებისა და საჭიროებების შეფასების პროცესში ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ჩართვა თავიდანვე, პირველივე დღიდან, რადგანაც მხოლოდ ოფიცერი ვერ იქნება ბოლომდე კომპეტენტური ამ საქმეში. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრობაციონერისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საჭიროებებზე საუბარს და აქაც სასურველია,

სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის ჩართულობის გაზრდა პრობაციონერის პრობაციაში მოხვედრის საწყისი ეტაპიდანვე. გარდა ამისა, სასურველია, პრობაციონერებს განემარტოს, თუ რას ნიშნავს ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, რადგან ამ ცნებების მათ მიერ აღქმა ხშირად განსხვავებულია.

- სასურველია, პრობაციონერისათვის ტრენინგების ან გადამზადების კურსების შეთავაზება მოხდეს რელევანტურად, პრობაციონერის საჭიროებებიდან, ინტერესებიდან და დროის რესურსებიდან გამომდინარე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი ასაკი, განათლების დონე, უნარები, სამუშაო გრაფიკი (დასაქმებულთა შემთხვევაში).
- სასურველია, რომ ტრენინგებში ან სხვა სასწავლო/გადამზადებელ კურსებში მონაწილეობის შეთავაზებას ჰქონდეს უფრო მეტად სარეკომენდაციო ხასიათი და არა დავალების ფორმა.
- რადგანაც პრობაციონერის რესოციალიზაციისა და მომავალში დანაშაულის ჩადენის რისკის მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან, კარგი იქნება, თუ მეტი ყურადღება დაეთმობა პრობაციის ბიუროში დასაქმების შესაძლებლობების მოძიებას. კარგი იქნება, თუ ეს მოვალეობა დეტალურად და ოფიციალურად გაიწერება და შევა პრობაციის ბიუროს რომელიმე თანამშრომლის (სოც. მუშაკის ან ოფიცრის) სამუშაო აღწერილობაში.
- პრობაციონერის პრობაციის ბიუროში გამოცხადების სიხშირე სტანდარტულია, მაგრამ კარგი იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება ცალკეული ინდივიდების საჭიროებები და რისკები. კვირაში ერთხელ გარკვეულ დროს გამოცხადება შეიძლება მართლაც მოუხერხებელი იყოს იმ პრობაციონერებისათვის, რომლებიც დასაქმებულები არიან და მუშაობენ (და დანაშაულის ჩადენის რისკი რეალურად ნაკლებია), ან იმ პირებისათვის, რომლებიც ბიუროდან დაშორებულ სოფლებში ან დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ.
- მისასალმებელია კულტურულ ღონისძიებებში პრობაციონერების ჩართვა, თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ კინოში ან თეატრში მათ წაყვანას არ ექნება ჯგუფური სახე და პრობაციონერებს მიეცემათ იქ წასვლის საშუალება ინდივიდუალურად და/ან ოჯახის წევრებთან ერთად.

## დანართი No 1 - ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიის სახელმძღვანელო კითხვარი პრობაციის ოფიცრებისათვის

**ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი:** „საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების დაარსება ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის“

**პროექტის განმახორციელებლები:** საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“, ჰოლანდიური ორგანიზაცია „შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი“.

**კვლევის დასახელება:** ხარისხობრივი კვლევა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის სამსახურის პრობაციის ოფიცრებთან და პრობაციონერებთან.

თარიღი:	
შეხვედრის წამყვანის სახელი და გვარი:	
ჩამწერის სახელი და გვარი:	
კვლევის მონაწილის კოდი:	
შეხვედრის დაწყების დრო	
შეხვედრის დასრულების დრო:	

### ინსტრუქცია ინტერვიუერს:

წაიკითხეთ შესავალი, რომელიც განმარტავს შეხვედრის მიზნებს. (გახსოვდეთ, მონაწილეებს უნდა განემარტოს, რომ თუ ნებისმიერ დროს ისინი უხერხულად იგრძნობენ თავს ამ თემაზე საუბრისას, ისინი არ არიან ვალდებული, ისაუბრონ. ასევე აცნობეთ მათ, რომ არ არსებობს აბსოლუტურად სწორი და მცდარი პასუხები თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე. არ არის აუცილებელი, დასვათ ყველა კითხვა ან იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ხანდახან თემა სპონტანურად წამოიჭრება და სასურველია ამ თემაზე საუბრის გამართვა მიუხედავად იმისა, რომ მისი თანმიმდევრობა შეიძლება ინსტრუქციებისგან განსხვავდებოდეს. ასევე არ არის აუცილებელი ყველა კონკრეტული კითხვის დასმა. ეს კითხვები დაგეხმარებათ საკითხის სიღრმისეულ გაგებაში და შეხვედრის მონაწილეებს საუბრისკენ უფრო წახალისებს. თუ მონაწილეები ისედაც კარგი მოსაუბრეები გამოდგებიან, შეიძლება ეს კონკრეტული კითხვები საჭიროც აღარ გახდეს. ფასილიტატორმა კარგად უნდა შეისწავლოს ინსტრუქციები ჯგუფთან შეხვედრის

დაწყებამდე, რათა სპონტანურად წამოჭრილ საკითხებზე საუბარი სასურველი დეტალურობით წარმართოს და იცოდეს, როდის შეიძლება კონკრეტული კითხვების მაქსიმალური გამოყენება.)

## შესავალი:

გამარჯობა, ჩემი სახელია \_\_\_\_\_, მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას „თანადგომა“. ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანია საქართველოს პრობაციის სამინისტროს პოტენციალის შეფასება და მასზე დაყრდნობით, ეფექტური სამომავლო ინტერვენციების შემუშავება პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გაუმჯობესების მიზნით. დღეს ჩვენ ვისაუბრებთ საქართველოს პრობაციის სამსახურის შესახებ, კონკრეტულად კი ვისაუბრებთ ამ სამსახურის ფუნქციაზე, მისი თანამშრომლების უფლებებზე და მოვალეობებზე, თქვენს ურთიერთობაზე პრობაციის სამსახურთან, პრობაციონერებთან. ეს ემსახურება იმის გამორკვევას, თუ რამდენად მზადაა დღევანდელი პრობაციის სამსახური იმ გამოწვევებისათვის, რაც მის წინაშე დგას, აკმაყოფილებს თუ არა დღევანდელი პრობაციის სამსახური პირობით სასჯელმისჯილთა საჭიროებებს.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალური. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ გეკითხებით არც სახელს, არც გვარს, თქვენი მონაცემები არსად ფიქსირდება. თქვენ შეგიძლიათ, შეწყვიტოთ ინტერვიუში (ფოკუსირებულ დისკუსიაში) მონაწილეობა ნებისმიერ დროს და უარი თქვათ ინტერვიუს გაგრძელებაზე. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ იმ კითხვებს, რომლებზე პასუხიც საჭიროდ არ მიგაჩნიათ. შეხვედრის დროს თქვენს მიერ გაჟღერებული ინფორმაცია გავლენას არ იქონიებს თქვენს სამსახურზე. პირიქით, თქვენს მიერ გაზიარებული ინფორმაცია დაგვეხმარება, მივაწოდოთ პრობაციის სამსახურს რეკომენდაციები, რათა მისი მუშაობა გაუმჯობესდეს და უფრო მეტად მოერგოს პრობაციონერების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ეს კი დაგეხმარებათ თქვენ, სხვა პრობაციის ოფიცრებს და პირობით სასჯელზე მყოფ ადამიანებს, იცოდნენ თავიანთი უფლებები და მოვალეობები პირობითი სასჯელის ქვეშ ყოფნის დროს და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, რაც მათ ამ პერიოდში ეკუთვნით.

## I. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

### ა) ძირითადი ინფორმაცია

მოდით, დავიწყოთ. კვლევის პირველი ნაწილი ეხება გარკვეულ სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღებას...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით (თუ რესპონდენტმა არ იცის/არ ესმის რომელიმე ტერმინი, განუმარტეთ მას მისი მნიშვნელობა და შემდეგ გაუმეორეთ შეკითხვა):*

- რამდენი წლის ხართ?
- რა სახის განათლება გაქვთ მიღებული?
  - სწავლობდით/დაამთავრეთ თუ არა უმაღლესი სასწავლებელი?
  - რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდით/დაამთავრეთ?
- რა არის თქვენი პროფესია/სპეციალობა?
  - ეს თქვენი ძირითადი პროფესიაა?
  - გიმუშავიათ თუ არა თქვენი პროფესიით?
  - სხვა პროფესიაც ხომ არ გაქვთ?

*მითითება ინტერვიუერს: მიეცით შესაძლებლობა რესპონდენტს, ისაუბროს იმ საკითხებზე, რაც მიაჩნია მნიშვნელოვანად.*

## ბ) სამუშაო პირობების შეფასება

- რამდენი ხანია, რაც პრობაციის სამსახურში მუშაობთ?
  - სრულ განაკვეთზე ხართ თუ არა?
  - გაქვთ თუ არა თქვენი პირადი სამუშაო ადგილი?
  - თუ გაქვთ, რა ფართია ეს? საკმარისია თუ არა ეს ფართობი თქვენთვის, თქვენი სამუშაოს შესასრულებლად?
  - თუ არა, რამდენ კაცთან ერთად გიწევთ ერთ ოთახში მუშაობა?
  - ისინიც პრობაციის ოფიცრები არიან?
  - თუ არა, რა პროფესიის წარმომადგენლები არიან ან რა პოზიციებზე მუშაობენ?
  - როგორ ფიქრობთ, აკმაყოფილებს თუ არა თქვენი სამუშაო ადგილი იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც თქვენ გაკისრიათ?

## გ) სპეციფიურ ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება და უფლებების/მოვალეობების ცოდნა

- თუ გაიარეთ სპეციფიური მომზადება სამსახურის დაწყებამდე?
  - რა სახის მომზადება გაიარეთ? იყო ეს ტრენინგები თუ რაიმე სახის პრაქტიკული მეცადინეობა?
  - რა ტრენინგები იყო შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?
  - რომელ მათგანს გამოყოფდით, როგორც ყველაზე წარმატებულს? წარუმატებულს?
  - რა პრაქტიკული მეცადინეობა გაიარეთ?
  - რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი მომზადება?
  - იყო თუ არა ეს საკმარისი?
  - თუ არ იყო საკმარისი, რომელი კურსის, ტრენინგის გავლას ისურვებდით დამატებით?
- რა უფლებები/მოვალეობები გაკისრიათ პრობაციის სამსახურში?
  - თუ შეიძლება, ჩამოთვალეთ თქვენი, როგორც პრობაციის ოფიცრის, უფლებები და მოვალეობები.

- არეგულირებს თუ არა თქვენს უფლებებს/მოვალეობებს რაიმე სახის დოკუმენტი?
- რა სახის დოკუმენტია? მისი სახელწოდება?
- გაქვთ თუ არა მასზე ხელი მოწერილი? ანუ ეს კანონმდებლობით ან რაიმე შიდა რეგულაციებით რეგულირდება?
- არსებობს თუ არა პრობაციის ოფიცრის „სამუშაოს აღწერის“ დოკუმენტი?
- თუ არსებობს, გაგაცნეს თუ არა ეს დოკუმენტი სამსახურის დაწყებისას?
- თუ გაქვთ მასზე ხელი მოწერილი?
- ამ დოკუმენტის მიხედვით, რა უფლებები აქვს პრობაციის ოფიცრებს?
- რა მოვალეობები აკისრიათ მათ?

#### დ) შემოსავლის შეფასება

- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სამუშაო ანაზღაურებით?
  - რამდენად შეესაბამება თქვენი ანაზღაურება თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს?

#### II. ურთიერთობა პრობაციონერებთან და მათდამი დამოკიდებულება

კვლევის კითხვარის მეორე თავი ეხება პრობაციონერებთან ურთიერთობასა და დამოკიდებულებას. თუ მზად ხართ ამ თემებზე სასაუბროდ, შეგვიძლია გავაგრძელოთ...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- რამდენი პრობაციონერია ერთ პრობაციის ოფიცრის დაქვემდებარებაში? ანუ რამდენი პრობაციონერის საქმეს განაგებთ?
  - როგორ ფიქრობთ, ეს ბევრია თუ ცოტაა?
  - საკმარისია თუ არა ის დრო, რაც გაქვთ მათთან სამუშაოდ?
  - რამდენჯერ ხვდებით კვირის განმავლობაში ერთ პრობაციონერს?
  - შეხვედრების ჯერადობა რამეზეა დამოკიდებული? კერძოდ რაზე?
  - სად ხვდებით? გაქვთ თუ არა ამისთვის გამოყოფილი ცალკე ოთახი?
  - სულ შეხვედრებისთვის ასეთი რამდენი ოთახია გამოყოფილი თქვენს პრობაციის ბიუროში?
  - როგორია ამ შეხვედრების შინაარსი?
  - გაქვთ თუ არა პრობაციონერების ტელეფონის ნომრები?
  - რა შემთხვევაში ურეკავთ მათ?
  - მათ თუ აქვთ თქვენი ტელეფონის ნომერი?
  - გიკავშირდებიან თუ არა პრობაციონერები ტელეფონით?
  - რა შემთხვევაში გიკავშირდებიან?
- რა ინფორმაციას აწვდით პრობაციონერებს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ?

- აცნობთ თუ არა თავის უფლებებს თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერებს?
- აცნობთ თუ არა მათ მოვალეობებს?
- რა სახით აცნობთ - ზეპირად, წერილობით?
- არსებობს რაიმე სპეციფიური დოკუმენტი, რომელიც მათ უფლება-მოვალეობებს არეგულირებს?
- რა დოკუმენტია ეს?
- როდის ხდება ამ დოკუმენტის პრობაციონერებისთვის გაცნობა?
- აწერენ თუ არა ისინი ამ დოკუმენტზე ხელს?
- ეძლევათ თუ არა პრობაციონერებს ხელმოწერილი დოკუმენტის მეორე ეგზემპლარი?
- ინტერვენციის რა მეთოდებს იყენებთ პრობაციონერებთან მუშაობისას?
  - თუ გაქვთ გავლილი სპეციალური სასწავლო კურსები ინტერვენციის ამ მეთოდებში?
  - სად გაიარეთ?
  - რა ხანგრძლივობის კურსები იყო ეს?
  - შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ ინტერვენციის ის მეთოდები, რომლებსაც იყენებთ პრობაციონერებთან მუშაობის დროს?
  - როგორ ფიქრობთ, ეფექტურია ამ მეთოდების გამოყენება კლიენტებთან მუშაობისას?
  - რაში გეხმარებათ ეს მეთოდები თქვენ?
  - თქვენს კლიენტებს თუ ეხმარება?
  - რაში ეხმარება?
- გთხოვთ, აღგვიწეროთ პრობაციონერებთან მუშაობის პროცესი.
  - გარდა უფლებების და მოვალეობების გაცნობისა, რა სახის მუშაობას აწარმოებთ მათთან?
  - ხდება თუ არა მათი საჭიროებების გამოკვლევა/გამოკითხვა?
  - რა სახით ხდება?
  - რა საჭიროებების გამოკითხვას ახდენთ?
  - ხდება თუ არა ამ საჭიროებების დაფიქსირება დოკუმენტის სახით?
  - თუ კი, რა ეწოდება ამ დოკუმენტს?
  - სხვა რა დოკუმენტების აღრიცხვას აწარმოებთ?
  - რას ემსახურება ამ დოკუმენტების აღრიცხვა?
  - თუ პრობლემა წარმოიშვება თქვენსა და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ პრობაციონერს შორის, შეუძლია თუ არა მას, რომ მოითხოვოს თქვენი შეცვლა და გადამისამართდეს სხვა პრობაციის ოფიცერთან?
  - თუ მომხდარა ასეთი ფაქტი? დაკმაყოფილდა თუ არა? თუ არ დაკმაყოფილდა, რა იყო ამის მიზეზი?
- თუ მოუმართავთ პრობაციონერებს თქვენთვის რაიმე სახის დახმარებისთვის?
  - რა სახის დახმარებაზე მოგმართეს?
  - შეძელით თუ არა მისი საჭიროების დაკმაყოფილება?
  - რამდენად სრულფასოვანი იყო ეს დახმარება?

- კმაყოფილი დარჩა თუ არა პრობაციონერი თქვენს მიერ გაწეული დახმარებით?
- თუ არა, რა იყო უკმაყოფილების მიზეზი?
- თუ სთავაზობთ (ოდესმე შეგითავაზებიათ) პრობაციონერებს რაიმე სახის ტრენინგებში მონაწილეობას?
  - რა ტრენინგებია, შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?
  - რამდენად ხშირად ხდება ასეთი სახის ტრენინგების დაგეგმვა?
  - ვინ არის ასეთი ტრენინგების ორგანიზატორი?
  - სად ტარდება?
  - თუ გაიხსენებთ, ბოლოს როდის ჩატარდა ასეთი ტრენინგი?
  - რა ტრენინგი იყო?
  - ამ ტრენინგებში პრობაციონერების მონაწილეობა ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო?
  - თუ სავალდებულოა და პრობაციონერმა განაცხადა მონაწილეობაზე უარი, რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება მას?
  - თანხმდებიან თუ არა პრობაციონერები ასეთ ტრენინგებში მონაწილეობაზე?
  - ბოლო წლის განმავლობაში თქვენს დაქვემდებარებაში მყოფმა რამდენმა პრობაციონერმა მიიღო ტრენინგებში მონაწილეობა?
  - ხდება თუ არა ტრენინგების შემდეგ მონაწილეების კმაყოფილების შეფასება?
- თუ მუშაობთ პრობაციონერებთან მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით?
  - როგორ მუშაობთ ანუ რას სთავაზობთ მათ ამ კუთხით?
  - თუ სთავაზობთ პროფესიული გადამზადების კურსებს?
  - კერძოდ, რა კურსებს სთავაზობთ?
  - თქვენმა რამდენმა პრობაციონერმა გაიარა ასეთი გადამზადება?
  - თუ შეუწყო ხელი მათ დასაქმებას ამ კურსებში მონაწილეობამ?
  - დასაქმდა თქვენი რომელიმე პრობაციონერი?
  - თუ კი, სად დასაქმდა?
- თუ მოუმართავთ თქვენთვის პრობაციონერებს იურიდიული დახმარების თაობაზე?
  - თუ კი, რამდენად ხშირად ხდება ეს?
  - ძირითადად რა საკითხებია?
  - ბოლო ასეთ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით?
  - კონკრეტულად რა სახის იურიდიულ დახმარებასთან გქონდათ საქმე?
  - როგორ მოახერხეთ ამ საკითხის გადაწყვეტა?
- თუ ფლობთ ინფორმაციას იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც აქვთ მომსახურების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი პრობაციონერებისთვის?
  - საიდან მოიძიეთ ამ ორგანიზაციების შესახებ ეს ინფორმაცია?
  - თვითონ ორგანიზაციებმა მოგაწოდეს?
  - თქვენ თვითონ მოიძიეთ?
  - პრობაციის სააგენტომ მოგაწოდათ?
  - შეგიძლიათ რამოდენიმე ასეთი ორგანიზაცია ჩამოგვითვალოთ?



- რა სერვისებს სთავაზობენ ეს ორგანიზაციები კლიენტებს?
- რა სახით აწვდით მათ შესახებ ინფორმაციას თქვენს კლიენტებს/პრობაციონერებს? ზეპირად? რაიმე მასალის, ვთქვათ საინფორმაციო ბროშურის სახით?
- შემდეგში ეკითხებით თუ არა კლიენტს, მიაკითხა თუ არა მან ამ ორგანიზაციას, მიიღო თუ არა რაიმე მომსახურება? კმაყოფილი დარჩა თუ არა?
- თქვენ თვითონ თუ გაქვთ რაიმე სახის კომუნიკაცია ასეთ ორგანიზაციებთან?
- რა სახის კომუნიკაცია გაქვთ?
- თუ ახდენთ რეფერირებას/გადამისამართებას თქვენი კლიენტებისა სხვადასხვა ორგანიზაციებში?
  - მაგალითად, სად მოგიხდენიათ, რომელ ორგანიზაციაში მათი გადამისამართება? ახდენთ თუ არა იმის გადამოწმებას, მივიდა თუ არა თქვენს მიერ გადამისამართებული კლიენტი მომსახურების მისაღებად? როგორ ამოწმებთ?
  - თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა, როცა კლიენტს დამოუკიდებლად არ შეუძლია მომსახურების მისაღებად წასვლა სხვა რომელიმე დაწესებულებაში, სადაც მისთვის საჭირო სერვისია?
  - თუ უთხოვია კლიენტს, რომ გაყოლოდით ასეთი სერვისის მისაღებად?
  - დაეხმარეთ თუ არა მას?
  - თქვენი აზრით, შედის თუ არა თქვენს მოვალეობებში ასეთი სახის სოციალური თანხლება?
- როგორი დამოკიდებულება გაქვთ პრობაციონერებთან?
  - როგორ დაახასიათებდით თქვენს ურთიერთობას პრობაციონერებთან?
  - განსხვავდება თუ არა თქვენი დამოკიდებულება პრობაციონერების მიმართ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით?
  - რამდენად გენდობიან თქვენი კლიენტები, ვგულისხმობ პრობაციონერებს?
  - რამდენად გესაუბრებიან სხვადასხვა პირად საკითხებზე?
  - აქვთ თუ არა თქვენი ნდობა ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით?
  - თუ არ გენდობიან, თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
  - რა გზებით იქნებოდა შესაძლებელი პრობაციის ოფიცერსა და პრობაციონერს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება?
- თქვენი აზრით საკმარისი აქცენტი კეთდება პრობაციონერების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით?
  - კერძოდ რა კეთდება ამ მიმართულებით?
  - რისი გაუმჯობესება შეიძლება?
  - რის გაკეთებას ისურვებდით მომავალში?
  - რა გიშლით ამ კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში ხელს?
  - რა პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სფეროში?
  - რა პასუხისმგებლობა ეკისრება სამოქალაქო საზოგადოებას?

- კიდევ ხომ არ დაამატებდით რაიმეს (ან ვინმეს, ვთქვათ ბიზნის სტრუქტურებს)?

*მითითება ინტერვიუერს: მიეცით შესაძლებლობა რესპონდენტს, ისაუბროს იმ საკითხებზე, რაც მიაჩნია მნიშვნელოვანად.*

### III. დამოკიდებულებები პრობაციის სამსახურისადმი

კითხვარის მესამე თავი ეხება თქვენს მიერ პრობაციის სამსახურის შეფასებას, მის დანიშნულებას, მისი მუშაობის ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობების განხილვას...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- იცით თუ არა, რა დანიშნულება აქვს პრობაციის სამსახურს?
  - თუ იცით, შეგიძლიათ თუ არა ჩამოთვალოთ ამ სამსახურის დანიშნულება, მისი ფუნქციები?
  - თქვენი აზრით, რას უნდა ემსახუროდეს პრობაციის სამსახური?
  - თქვენი აზრით, ასრულებს თუ არა ამ მოვალეობებს დღევანდელი პრობაციის სამსახური?
  - თუ არ ასრულებს, რა არის ამის მიზეზი?
  - რას შეცვლიდით დღევანდელ პრობაციის სამსახურში?
- ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამ სამსახურში (ან სხვა ძალოვან სტრუქტურაში) განუხორციელებიათ თქვენზე ზეწოლა, შანტაჟი რაიმე ინფორმაციის მიღების (ან სხვა) მიზნით?
  - ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი ინფორმაცია უბრალოდ მოუთხოვიათ?
  - თუ იყო ასეთი შემთხვევა, რას უკავშირდებოდა იგი?
  - დათანხმდით მათ მოთხოვნებს?
  - თუ არ დათანხმდით როგორ განვითარდა მოვლენები?

## დანართი No 2 - ჩალრმავებული ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიის სახელმძღვანელო კითხვარი პრობაციონერებისათვის

**ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი:** „საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების დაარსება ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის“

**პროექტის განმახორციელებლები:** საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“, ჰოლანდიური ორგანიზაცია „შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი“.

**კვლევის დასახელება:** ხარისხობრივი კვლევა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის სამსახურის პრობაციის ოფიცრებთან და პრობაციონერებთან.

თარიღი:	
შეხვედრის წამყვანის სახელი და გვარი:	
ჩამწერის სახელი და გვარი:	
კვლევის მონაწილის კოდი:	
შეხვედრის დაწყების დრო	
შეხვედრის დასრულების დრო:	

### ინსტრუქცია ინტერვიუერს:

წაიკითხეთ შესავალი, რომელიც განმარტავს შეხვედრის მიზნებს. (გახსოვდეთ, მონაწილეებს უნდა განემარტოს, რომ თუ ნებისმიერ დროს ისინი უხერხულად იგრძნობენ თავს ამ თემაზე საუბრისას, ისინი არ არიან ვალდებული, ისაუბრონ. ასევე აცნობეთ მათ, რომ არ არსებობს აბსოლუტურად სწორი და მცდარი პასუხები თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე. არ არის აუცილებელი, დასვათ ყველა კითხვა ან იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ხანდახან თემა სპონტანურად წამოიჭრება და სასურველია ამ თემაზე საუბრის გამართვა მიუხედავად იმისა, რომ მისი თანმიმდევრობა შეიძლება ინსტრუქციებისგან განსხვავდებოდეს. ასევე არ არის აუცილებელი ყველა კონკრეტული კითხვის დასმა. ეს კითხვები დაგეხმარებათ საკითხის სიღრმისეულ გაგებაში და შეხვედრის მონაწილეებს საუბრისკენ უფრო წაახალისებს. თუ მონაწილეები ისედაც კარგი მოსაუბრეები გამოდგებიან, შეიძლება ეს კონკრეტული კითხვები საჭიროც აღარ გახდეს.

ფასილიტატორმა კარგად უნდა შეისწავლოს ინსტრუქციები ჯგუფთან შეხვედრის დაწყებამდე, რათა სპონტანურად წამოჭრილ საკითხებზე საუბარი სასურველი დეტალურობით წარმართოს და იცოდეს, როდის შეიძლება კონკრეტული კითხვების მაქსიმალური გამოყენება.)

## შესავალი:

გამარჯობა, ჩემი სახელია \_\_\_\_\_. მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას „თანადგომა“. ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანია საქართველოს პრობაციის სამინისტროს პოტენციალის შეფასება და მასზე დაყრდნობით ეფექტური სამომავლო ინტერვენციების შემუშავება პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გაუმჯობესების მიზნით. დღეს ჩვენ ვისაუბრებთ საქართველოს პრობაციის სამსახურის შესახებ, კონკრეტულად კი ვისაუბრებთ ამ სამსახურის ფუნქციაზე, მის უფლებებზე და მოვალეობებზე, თქვენს ურთიერთობაზე პრობაციის სამსახურთან, პრობაციის ოფიცრებთან. ეს ემსახურება იმის გამორკვევას, თუ რამდენად მზადაა დღევანდელი პრობაციის სამსახური იმ გამოწვევებისათვის, რომლებიც აღნიშნული სამსახურის წინაშე დგას, აკმაყოფილებს თუ არა დღევანდელი პრობაციის სამსახური პირობით სასჯელმისჯილთა საჭიროებებს.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალური. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ გეკითხებით არც სახელს, არც გვარს, თქვენი მონაცემები არსად არ ფიქსირდება. თქვენ შეგიძლიათ, შეწყვიტოთ ინტერვიუში (ფოკუსირებულ დისკუსიაში) მონაწილეობა ნებისმიერ დროს და უარი თქვათ ინტერვიუს გაგრძელებაზე. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ იმ კითხვებს, რომლებზე პასუხიც საჭიროდ არ მიგაჩნიათ. შეხვედრის დროს თქვენს მიერ გაჟღერებული ინფორმაცია გავლენას არ იქონიებს თქვენს სასჯელზე. პირიქით, ობიექტურად მოწოდებული ინფორმაცია დაგვეხმარება, მივაწოდოთ პრობაციის სამსახურს რეკომენდაციები, რათა მისი მუშაობა გაუმჯობესდეს და უფრო მეტად მოერგოს პრობაციონერების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ეს კი დაეხმარება თქვენ და პირობით სასჯელზე მყოფ სხვა ადამიანებს, იცოდნენ თავიანთი უფლებები და მოვალეობები პირობითი სასჯელის ქვეშ ყოფნის დროს და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, რაც მათ ამ პერიოდში ეკუთვნით.

## I. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

### ა) ძირითადი ინფორმაცია

მოდიტ, გავეცნოთ ერთმანეთს. მომიყვით თქვენს შესახებ...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- რამდენი წლის ხართ?
- როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

- დაოჯახებული ხართ თუ არა ამჟამად?
- ოდესმე ყოფილხართ თუ არა დაოჯახებული?
- გყავთ თუ არა შვილები? თუ კი, რამდენი?
- რა სახის განათლება გაქვთ მიღებული?
  - გაქვთ თუ არა რაიმე სახის განათლება მიღებული? რა სახის?
  - რამდენი კლასი გაქვთ დამთავრებული?
  - ტექნიკური განათლება ხომ არ გაქვთ?
  - ხომ არ ფლობთ რაიმე სახის ხელობას?
  - სწავლობდით/დაამთავრეთ თუ არა უმაღლესი სასწავლებელი?
- რა არის თქვენი პროფესია/სპეციალობა?
  - ეს თქვენი ძირითადი პროფესიაა?
  - გიმუშავიათ თქვენი პროფესიით?
  - სხვა პროფესიაც ხომ არ გაქვთ?
- რამდენი ხანია, რაც პირობითი სასჯელი გაქვთ?
  - ეს თქვენი პირველი ნასამართლეობაა?
  - პირობით სასჯელამდე ხომ არ იყავით დაკავებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში? თუ იყავით, რამდენი წლით?

*მითითება ინტერვიუერს: მიეცით შესაძლებლობა რესპონდენტს, ისაუბროს იმ საკითხებზე, რაც მიაჩნია მნიშვნელოვანად.*

## **ბ) საცხოვრებელი პირობები, დამოკიდებულება ოჯახთან**

- გთხოვთ, აღმიწეროთ თქვენი საცხოვრებელი პირობები.
  - გაქვთ თუ არა საკუთარი საცხოვრებელი?
  - ქირით ცხოვრობთ?
  - რა ფართია თქვენი საცხოვრებელი?
  - მარტო ცხოვრობთ თუ ვინმესთან ერთად?
  - რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენთან ერთად?
  - ვისთან ერთად ცხოვრობთ? გთხოვთ ჩამოთვალოთ.
- გთხოვთ, მომიყვეთ, თუ რა დამოკიდებულება გაქვთ ოჯახის წევრებთან.
  - თქვენი ოჯახის წევრებიდან არის თუ არა ვინმე, ვისთანაც უფრო ახლო ურთიერთობა გაქვთ, ვინც მხარს გიჭერთ? ვინ არის ეს ადამიანი?
  - თუ გქონიათ ოჯახის წევრებთან დამაბული ურთიერთობა? რა იყო ამის მიზეზი?
  - როგორ გადაჭერთ ეს პრობლემა? ვინმე დაგეხმარათ? თქვენ თვითონ მოაგვარეთ?
- თქვენი ოჯახის წევრების გარდა, ვისთან გაქვთ კიდევ ახლო ურთიერთობა?
  - რა სახის ურთიერთობა გაქვთ ამ ადამიანებთან?
  - რა სიხშირით ხვდებით ამ ადამიანებს?
  - რა გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე ამ ადამიანებთან ურთიერთობა?

- გეხმარებიან თუ არა ისინი თქვენი პრობლემების გადაწყვეტაში?

### გ) დასაქმება, შემოსავალი

- ხართ თუ არა დასაქმებული?
  - თუ კი, სად მუშაობთ? რას საქმიანობთ?
  - ეს თქვენი მუდმივი სამსახურია თუ დროებითი?
  - იყავით თუ არა თავისუფლების აღკვეთამდე/პირობით სასჯელამდე დასაქმებული?
  - თუ კი, სად მუშაობდით?
  - თუ არ იყავით დასაქმებული, რა იყო ამის მიზეზი?
  - როდისმე გიცდიათ სამუშაოს მოძიება? სად და როგორ ეძებდით სამსახურს?
  - თუ მიგიმართავთ დასაქმებისთვის რომელიმე ოფიციალური სტრუქტურისთვის?
  - რის გამო ვერ საქმდებოდით?
- ხომ არ უკავშირდება თქვენი დაუსაქმებლობა თქვენს ნასამართლეობას?
  - ხომ არ მიგიღიათ უარი სამსახურზე თქვენი პირობითი სასჯელის გამო?
  - ხომ არ გაუთავისუფლებინათ სამსახურიდან თქვენი პირობითი სასჯელის გამო?
  - ხომ არ გსმენიათ სხვა პრობაციონერისგან ასეთი ფაქტის შესახებ?
- თქვენი ოჯახიდან რამდენი წევრია დასაქმებული?
  - რამდენია თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი?
  - რამდენია თქვენი ოჯახის წევრების რაოდენობა, რომლებიც თქვენზე არიან დამოკიდებული და თქვენ უწევთ მატერიალურ დახმარებას?
  - თქვენ თუ გიწევთ ოჯახის წევრები მატერიალურ დახმარებას?
- გთხოვთ, მომიყვით თქვენი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.
  - ჩვეულებრივ, რას აკეთებთ თავისუფალ დროს?
  - როგორ ატარებთ დასვენების დღეებს და დღესასწაულებს?

### დ) ჯანმრთელობის საკითხები

- თუ გაწუხებთ ჯანმრთელობის მხრივ რაიმე პრობლემა/პრობლემები?
  - შეგიძლიათ, მოგვიყვით ამ პრობლემის/პრობლემების შესახებ?
  - თუ მიგიმართავთ ამ პრობლემების გამო სამედიცინო დახმარების მისაღებად?
  - თუ არა, რა იყო ამის მიზეზი?
  - იცოდით, ვისთვის უნდა მიგემართათ?
  - ან იქნებ უსახსრობის გამო ვერ მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას?
- ხომ არ ყოფილხართ ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებული ან მათი მომხმარებელი?
  - რა სახის ნივთიერებებს მოიხმარდით?
  - თქვენი მოახერხეთ დამოკიდებულების დაძლევა, თუ იმკურნალეთ?

- ხომ არ ყოფილხართ ნასამართლავი ქიმიური ნივთიერების (ნარკოტიკის) მოხმარების გამო?
- ხომ არ გქონიათ ადმინისტრაციული სასჯელი ნარკოტიკების მოხმარების გამო?
- თუ გქონდათ რა სახის სასჯელი იყო?
- ხომ არ გქონიათ პრობლემები ოჯახის წევრებთან ნარკოტიკების მოხმარების გამო?
- ამჟამად თუ გაქვთ ასეთი პრობლემა?

## II. პრობაციის სამსახურთან ურთიერთობის გამოცდილება

მოდით ამჟამად ვისაუბროთ პრობაციის სამსახურის შესახებ...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- იცით თუ არა, რა დანიშნულება აქვს პრობაციის სამსახურს?
  - თუ იცით, შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ მისი უფლებები?
  - მოვალეობები?
  - რა პასუხისმგებლობა აკისრია ამ სამსახურს?
  - რას ემსახურება?
- თქვენი აზრით, რას უნდა ემსახურებოდეს პრობაციის სამსახური?
  - შეგიძლიათ თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბოთ?
  - თქვენი აზრით, ასრულებს თუ არა ამ მოვალეობებს დღევანდელი პრობაციის სამსახური?
  - თუ კი, რაიმე ამის მაგალითს ხომ ვერ გაგვიზიარებდით?
  - თუ არ ასრულებს, რა არის ამის მიზეზი?
  - რას შეცვლიდით, გააუმჯობესებდით დღევანდელ პრობაციის სამსახურში?
- თქვენ რა პასუხისმგებლობები გაკისრიათ, როგორც პრობაციონერს?
  - რა მოვალეობები გაკისრიათ?
  - საიდან გაქვთ ინფორმაცია თქვენი მოვალეობების შესახებ?
  - რაიმე სპეციალური დოკუმენტი არეგულირებს თქვენს პასუხისმგებლობას პირობითი სასჯელის მოხდის პერიოდში?
  - რა დოკუმენტია ეს?
  - როდის მოხდა თქვენს მიერ ამ დოკუმენტის გაცნობა?
- თქვენი აზრით საკმარისი აქცენტი კეთდება პრობაციონერების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით?
  - კერძოდ რა კეთდება ამ მიმართულებით?
  - რისი გაუმჯობესება შეიძლება?
  - რის გაკეთებას ისურვებდით მომავალში?
  - რა უშლის პრობაციის სამსახურს ხელს ამ კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში?

- რა პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სფეროში?
- რა პასუხისმგებლობა ეკისრება სამოქალაქო საზოგადოებას?
- კიდევ ხომ არ დაამატებდით რაიმეს (ან ვინმეს, ვთქვათ ბიზნოს სტრუქტურებს)?
- ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პრობაციის სამსახურში (ან რომელიმე ძალოვან სტრუქტურაში) განუხორციელებიათ თქვენზე ზეწოლა, შანტაჟი რაიმე ინფორმაციის მიღების (ან სხვა) მიზნით პირობითი სასჯელის მოხდის პერიოდში?
  - თუ იყო ასეთი შემთხვევა, რას უკავშირდებოდა იგი?
  - დათანხმდით მათ მოთხოვნებს?
  - თუ არ დათანხმდით, მოყვა თუ არა ამას გართულება?
  - რა გართულება მოყვა?
  - როგორ მოაგვარეთ ეს სიტუაცია?
  - ხომ არ გსმენიათ სხვა პრობაციონერისგან ასეთი ფაქტების (ვგულისხმობ ძალადობას, შანტაჟს) შესახებ?
  - რამდენად ხშირად გსმენიათ ასეთი ფაქტების შესახებ?
  - თუ გსმენიათ, შეგიძლიათ გაგვიზიაროთ, თუ რა შემთხვევა იყო?

### III. პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის გამოცდილება

გადავდივართ კითხვარის მესამე თავზე, რომელიც პრობაციის ოფიცერთან ურთიერთობას მოიცავს... რას იტყვით ამის შესახებ...

*მითითება ინტერვიუერს: მოახდინეთ ჩაღრმავება შემდეგი სქემის მიხედვით:*

#### პრობაციის პირად ოფიცერთან ურთიერთობის ფორმა, სიხშირე

- გყავთ თუ არა თქვენი პირადი პრობაციის ოფიცერი?
  - იცით თუ არა მისი ვინაობა (სახელი, გვარი)?
  - რა სახის ურთიერთობა გაქვთ მასთან?
  - რა სიხშირით ხვდებით მას?
  - თქვენი აზრით, თქვენი პირადი ოფიცერი საკმარის დროს გითმობთ შეხვედრებისთვის?
  - როგორია ამ შეხვედრების შინაარსი?
  - გაქვთ თუ არა მისი ტელეფონის ნომერი?
  - რა შემთხვევაში ურეკავთ მას?
  - მას თუ აქვს თქვენი ტელეფონის ნომერი? თუ გიკავშირდებათ?
  - რა შემთხვევაში გიკავშირდებათ?
- საერთოდ ერთ პირად ოფიცერთან გაქვთ ურთიერთობა თუ რამოდენიმესთან?
  - რამდენად ხშირად ხდება პირადი ოფიცრის შეცვლა?



- თუ თქვენსა და თქვენს პირად ოფიცერს შორის პრობლემა წარმოიშვა, შეგიძლიათ თუ არა, მოითხოვოთ მისი შეცვლა?
- თუ მომხდარა ასეთი რამ და დაკმაყოფილდა თუ არა თქვენი მოთხოვნა?
- თუ არ დაკმაყოფილდა, რა იყო ამის მიზეზი?
- თუ გსმენიათ სხვა პრობაციონერისგან ამგვარი ფაქტის შესახებ?

პრობაციონერის და პრობაციის ოფიცრის უფლება-მოვალეობები

- თქვენს პირად ოფიცერთან პირველი კონტაქტის შემდეგ ან მის დროს თუ მოხდა თქვენი უფლება-მოვალეობების თქვენთვის გაცნობა?
  - რა სახით გაეცანით ამ მოვალეობებს: წერილობით? ზეპირად?
  - მოაწერეთ თუ არა რაიმე დოკუმენტს ხელი?
  - რა დოკუმენტი იყო ეს?
  - მოგცეს თუ არა ამ დოკუმენტის მეორე ეგზემპლარი?
  - თუ ეწერა ამ დოკუმენტში თავად პრობაციის სამსახურის (პირადი ოფიცრის) უფლება-მოვალეობების შესახებ?
  - თუ არ ეწერა, მოხდა თუ არა მისი მხრიდან იმ უფლება-მოვალეობების გაცნობა, რაც თავად პრობაციის სამსახურს (და თქვენს პირად ოფიცერს) გააჩნია თქვენს მიმართ?

პრობაციონერების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილება პრობაციის სამსახურის მიერ

- თქვენი პირად ოფიცერთან პირველი კონტაქტის შემდეგ გქონდათ თუ არა მასთან საუბარი თქვენს საჭიროებებზე?
  - თუ კი, ვისი ინიციატივით მოხდა ეს?
  - შეგიძლიათ, აღწეროთ ეს პროცესი?
  - ჩატარდა თუ არა თქვენი პრობლემების შეფასება?
  - მოხდა თუ არა ამ საჭიროებების/პრობლემების აღრიცხვა რაიმე დოკუმენტის სახით?
  - მოხდა თუ არა იმ რესურსების შეფასება, რომლებიც დაგეხმარებათ ამ პრობლემების გადაწყვეტაში?
  - მოხდა თუ არა სამოქმედო გეგმის შედგენა პრობლემების გადასაწყვეტად?
  - თუ შემოგთავაზათ პირადმა ოფიცერმა დახმარება ამ გეგმის განხორციელებაში?
  - რაში გამოიხატა ეს დახმარება?
  - თუ შემოუთავაზებია პირად ოფიცერს სხვა რაიმე სახის დახმარება?
  - დათანხმდით მის შემოთავაზებას?
  - თუ არ დათანხმდით, რა იყო ამის მიზეზი?
- თუ მიგიმართავთ თქვენი ოფიცრისთვის რაიმე სახის დახმარებისთვის?
  - რა სახის დახმარებაზე მიმართეთ მას?
  - აღმოგიჩინათ თუ არა მან დახმარება?
  - რამდენად სრულფასოვანი იყო ეს დახმარება?
  - კმაყოფილი დარჩით თუ არა?
  - თუ არა, რა იყო უკმაყოფილების მიზეზი?

- თუ შემოუთავაზებია თქვენთვის თქვენს ოფიცერს რაიმე სახის ტრენინგში მონაწილეობა?
  - მიიღეთ თუ არა შემოთავაზებულ ტრენინგში მონაწილეობა?
  - მე ვგულისხმობ იმას, რომ ტრენინგში თქვენი მონაწილეობა იყო თქვენი სურვილი?
  - თუ არა, რა იყო მიზეზი, რომ მაინც დათანხმდით ტრენინგში მონაწილეობაზე?
  - რამდენად სასარგებლო იყო თქვენთვის ამ ტრენინგში მონაწილეობა?
  - თუ მომხდარა პრობაციის სამსახურიდან რაიმე სახის შეხვედრებზე თქვენი მიმართვა (წაყვანა) ინფორმაციის მოწოდების გარეშე?
  - მე ვგულისხმობ ისეთ შეხვედრებს, როცა არ გქონიათ ინფორმაცია, თუ სად მიდიხართ? რას ეხება აღნიშნული შეხვედრა? ვინ არიან შეხვედრის ინიციატორები?
  - თუ გაგიგიათ სხვა პრობაციონერისგან ტრენინგებში ან სხვა შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ?
  - ხომ არ გაგიგიათ, რომ სხვა პრობაციონერის ტრენინგებში, შეხვედრებში ჩართვა მოხდა მათი ინფორმირების გარეშე?
  - ან მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალდატანებით?
- თუ გქონიათ საუბარი თქვენს ოფიცერთან თქვენთვის სამუშაოს მოძიების შესახებ?
  - თუ შემოუთავაზებიათ ასეთი სახის დახმარება?
  - რა სახის სამუშაოზე იყო საუბარი?
  - თუ არ დათანხმდით, რა იყო ამის მიზეზი?
  - თუ გსმენიათ ვინმე სხვა პრობაციონერისგან ასეთი სახის შეთავაზების შესახებ?
  - ან იქნებ გსმენიათ, რომ ვინმე სხვა პრობაციონერმა დაიწყო მუშაობა პრობაციის ბიუროს დახმარებით?
  - თუ იცით, რა სახის სამუშაოზე მოხდა მისი დასაქმება?
- თუ დაგჭირვებიათ რაიმე სახის იურიდიული დახმარება და თუ მიგიმართავთ ამის თაობაზე თქვენი ოფიცრისადმი?
  - რა სახის დახმარება იყო?
  - გაგიწიათ თუ არა მან ეს დახმარება?
  - პრობაციის ბიუროში გაგიწიეს დახმარება თუ სხვა ორგანიზაციაში?
  - კმაყოფილი ხართ აღმოჩენილი დახმარებით?
  - თუ არა, რა არის უკმაყოფილების მიზეზი?
  - ხომ არ გსმენიათ სხვა პრობაციონერებისგან ასეთი (იურიდიული) სახის დახმარების შესახებ?
  - თუ კი, ხომ არ იცით, ისინი კმაყოფილები დარჩნენ?
- თუ გქონიათ შემთხვევა, რომ თქვენს პირად ოფიცერს მოუწოდებია ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა საკითხებზე უფასო ან ფასიანი მომსახურების სახეები?
  - თუ გჭირდებოდათ ასეთი ინფორმაციის მიღება?

- თუ გჭირდებოდათ, გამოიყენეთ თუ არა?
- თუ არ გამოიყენეთ, რა იყო ამის მიზეზი?
- თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ ასეთი ორგანიზაცია/დაწესებულება, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგაწოდებდათ პრობაციის ოფიცერმა?
- თუ გსმენიათ სხვა პრობაციონერებისგან ასეთი ინფორმაციის მიღების შესახებ?
- თუ შემოუთავაზებია პრობაციის ოფიცერს რაიმე სახის დახმარებისთვის თქვენი თანხლება? (მე ვგულისხმობა პრობაციის ოფიცრის გამოყოლას რაიმე სახის სერვისის მისაღებად?)
  - დათანხმდით ასეთ შემთავაზებას?
  - თუ არა, რა იყო არდათანხმების მიზეზი?
  - თუ გამოგყვანთ, მიიღეთ თუ არა თქვენთვის სასურველი მომსახურება?
  - რამდენად დაგეხმარათ პრობაციის ოფიცრის თანხლება აღნიშნული სერვისის მისაღებად?
  - თუ გსმენიათ სხვა პრობაციონერისგან მსგავსი სახის მომსახურების შესახებ?
- რამდენად ენდობით თქვენს პრობაციის ოფიცერს?
  - ვგულისხმობ, თუ გქონიათ საუბარი პირადი ცხოვრების საკითხებზე?
  - რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ ოფიცერი თქვენგან მიღებულ ინფორმაციას კონფიდენციალურად შეინახავს?
  - თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენს ოფიცერს გაუმჟღავნებია ვინმე მესამე პირისთვის თქვენი თანხმობის გარეშე თქვენი პირადი ინფორმაცია?
  - თუ კი, ვინ იყო ეს მესამე პირი?
  - როგორ იმოქმედა თქვენს ურთიერთობებზე ამ ფაქტმა?
  - თუ გსმენიათ სხვა პრობაციონერისგან ანალოგიური შემთხვევის შესახებ?